მალთაყვის ხიდი - ახალი ობიექტი, ახალი ეკოლოგიური საფრთხე A2

პროჟექტორების, ფიზიკოსების და სხვა ნავირების ბეოგრაფიის შესახებ A8

რას ფიქრობს ხალხი განათლების რეფორმის შესახებ? B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 20 სექტემბერი, 2004 წელი. №223 (772)

ფასი 50 თეთრი

## ეკონომიკა

### დღეს, შესაძლოა, სატრანსპორტო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვის ბედი გადაწყდეს

დღეს საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები რუსეთსა და საქართველოს შორის სატრანსპორტო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვის გაუქმებას შეეცდებიან.

A4

## უცხოეთი

### ძიან ძემინი პოლიტიკიდან მიდის?



პირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში, მხცოვანმა კომუნისტმა ძალაუფლება შედარებით ახალგაზრდას მშვიდობიანი გზით გადაულოცა.

A5

## საზოგადოება

### დალოცვა და მოთხოვნა განათლების სამინისტროში



პატრიარქმა განათლების სამინისტროს ღვთისმშობლის ხატი გადასცა.

A6

## სამართალი

### საადვოკატო ტესტირების საბოლოო შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი



იუსტიციის საბჭოს მდივანი მიმდინარე ტესტირებისას "ჩაწყობის" მექანიზმს გამორიცხავს.

A7

## ამინდი

| | 20/9 | 21/9 |
|---|---|---|
| თბილისი | 24 | 26 |
| ქუთაისი | 30 | 32 |
| ბათუმი | 29 | 32 |
| სოხუმი | 29 | 30 |
| ფოთი | 31 | 32 |
| თელავი | 24 | 26 |
| ზუგდიდი | 32 | 32 |
| გორი | 23 | 24 |
| ახმეტა | 24 | 26 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8450 |
| ევრო | 2.2518 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3107 |
| რუბლი | 0.0631 |

# ალყა

## ჩვენა ვართ, ძმაო, "პლენები"!



ბერულას საშუალო სკოლის ახალი მერხების გადმოზიდვაში პარლამენტის დელეგაციის წევრები თავად მონაწილეობდნენ.

ბესო გულაშვილის ფოტო

ზაზა ფაჩუაშვილი

*დიდი და პატარა ლიახვის ხეობაში არის ისეთი სოფლები, რომელთაც ოსი სეპარატისტების "ბოევიკები" ყოველ ღამე ესვრიან. გარშემო ყოველი გორაკი თუ მთა "ბოევიკების" სანგრებითაა გადათხრილი. განსაკუთრებით მიზანში სკოლებია ამოღებული, სადაც თავის დროზე ჩვენი ძალოვანი სტრუქტურების ნაწილები იყვნენ დისლოცირებული. ახლა იქ ფორმიანები აღარ არიან და სკოლებს სასწავლო წლისთვის ამზადებენ. სროლა კი არ წყდება.*

გუშინ კონფლიქტის ზონა მოინახულეს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ ვასილ მაღლაფერიძემ, ახლადდანიშნულმა ომბუდსმენმა სოზარ სუბარმა და სხვა ოფიციალურმა პირებმა. ამჯერად ცხინვალის ხელისუფლებამ დიდსულოვნება გამოიჩინა და 20-25 მანქანისგან შემდგარ კოლონას ცხინვალზე გავლის უფლება მისცა. ასე აღმოვჩნდით თამარაშენში.

### თამარაშენი

გუშინ პარლამენტის დელეგაციის პრიორიტეტი იყო სკოლების

გაგრძელება A3 გვერდზე

# ექსპერიმენტის მემკვიდრეობა - ქაოსი

ბექა სისაური

*ქუთაისიდან*

*წელს პირველად ქუთაისის განათლების სისტემა ერთიან საგანმანათლებლო სივრცეში მოექცა, ანუ დასრულდა შაშიაშვილისეული ექსპერიმენტი, რომლის საფუძველზეც ქუთაისის საშუალო სკოლები სამ ნაწილად დაიშალა და განათლების სისტემის ერთიანი სივრციდან ამოვარდა. ამჟამად ადგილობრივ განათლების განყოფილებასა და სასკოლო ოლქს, დიდი სამუშაოების გაწევა მოუხდა იმისათვის, რომ სკოლები კვლავ გაეერთიანებინა.*

დღეს კი პრველი კლასის მერხებს ქუთაისში 2300 მოსწავლე მიუჯდება, განათლების სამინისტროს საჩუქარს - წიგნების კომპლექტსა და ჩანთას უკლებლივ ყველა მოსწავლე მიიღებს. მშობლების უკმაყოფილებას მხოლოდ ის ფაქტორი იწვევს, რომ თითქმის ყოველ მათგანს ბავშვის შეყვანა პირველ, მეორე ან მესამე საშუალო სკოლაში სურდათ. 2300 პირველკლასელი კი, ბუნებრივია, სამ სკოლაში ვერ განთავსდებოდა. ახლ კი იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენდა ყბადაღებული შაშიაშვილისეული რეფორმა და რა ზარალი მიაყენა მან როგორც ადგილობრივ განათლების სისტემას, ასევე ბიუჯეტს.

ერთ-ერთი პირველი, რაც შაშიაშვილმა ქუთაისის მერად დანიშვნის შემდეგ გააკეთა, განათლების სისტემის რეფორმირება იყო. კერძოდ, მან საშუალო სკოლები სამ საფეხურებად დაყო: დაწყებითი (1-6-ე კლასი), საბაზო (7-9-ე კლასი), და ლიცეუმი (10-11). შაშიაშვილის რეფორმა 1993 წელს მაშინდელი მთავრობის ხელმძღვანელის თენგიზ სიგუას ნორმატიული აქტის საფუძველზე განხორციელდა, რასაც საფუძვლად დაედო იმჟამინდელი განათლების მინისტრის მოადგილის კახა ქორიძის "უწყვეტი განათლების კონცეფციის" პროექტი. **"1992 წლის 25 ივნისს განათლების სამინისტროს მიერ განხილული "უწყვეტი განათლების კონცეფციის" პროექტი არ დაუმტკიცებია არც სახელმწიფო საბჭოს, არც მთავრობას და არც საქართველოს პარლამენტს, და იგი არ წარმოადგენდა ნორმატიული აქტის ძალის მქონე დოკუმენტს"** - ნათქვამია სპეციალური კომისიის დასკვნაში, რომელმაც აღნიშნული რეფორმების კანონიერება შეისწავლა. ქუთაისის სასკოლო ოლქის ხელმძღვანელის ლადო პატარიძის განმარტებით, მე-10 და მე-11 კლასებისთვის შეიქმნა ლიცეუმები, რომლებიც თავის მხრივ ყოფილი პროფტექნიკუმების ბა-

გაგრძელება A2 გვერდზე

# სახელმწიფო ჰიმნი

A8




## რას მოიტანს ჟვანია-კოკოითის შეხვედრა?

ნინო გომართელი

სამაჩაბლოში გუშინწინ მთელი ღამის განმავლობაში სროლის ხმა ისმოდა. თექვსმეტი ქართველი მშვიდობიანი მოსახლის გატაცებისა და სასტიკად ცემის შემდეგ, ოსურმა მხარემ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება კიდევ ერთხელ დაარღვია და დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით, სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა ცეცხლი ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიიდან, ეგრეთ წოდებული ტექსტილის დასახლებიდან გახსნეს. საქართველოს ძალოვანი უწყებების ცნობით, სროლისას იყენებდნენ როგორც მსხვილკალიბრიან ცეცხლსასროლ იარაღს, ასევე ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს. ერთ-ერთი ნაღმი სოფელ თამარაშენში მდებარე ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმს დაეცა და მნიშვნელოვნად დააზიანა შენობის დასავლეთ ფასადი. მეორე ჭურვი ასევე სოფელ თამარაშენში, დაუსახლებელ ადგილას ჩავარდა. აფეთქებების შედეგად არავინ დაზიანებულა.

ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი ჯერ კიდევ 1997 წელს ააფეთქა ოსურმა მხარემ და მას შემდეგ შენობა ფაქტობრივად დანგრეული იყო. ბოლო ორი წლის განმავლობაში კი, მისი რესტავრაცია მიმდინარეობდა, რაც თითქმის დასრულებული იყო.

შინაგან საქმეთა სამხარეო მთავარი სამმართველოს უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, ქართულ მხარეს ორი ვერსია გააჩნია აფეთქებებთან დაკავშირებით. "პირველი - ეს არის სეპარატისტული მთავრობის მხრიდან პროვოკაციის მიზნით განხორციელებული სროლები, ხოლო მეორე მხრივ, შესაძლოა, დე ფაქტო სამხრეთ ოსეთის ხელისუფლება ვეღარ აკონტროლებს შეიარაღებულ ბანდფორმირებებს, რომლებიც ცეცხლს ხსნიან დიდი ლიახვის ხეობის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართულებით," - აღნიშნა მან.

გაგრძელება A2 გვერდზე

## კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლება ბანდფორმირებებს ვეღარ აკონტროლებს

*სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ვითარება განიმუხტა. კოკოითის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ დააკმაყოფილა შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს უფროსის ალეკო სუხიტაშვილის კატეგორიული მოთხოვნა და გუშინწინ, გვიან ღამით გატაცებული ქართველი მძევლები გაათავისუფლეს.*

გათავისუფლებულ ყოფილ მძევალთა უმრავლესობა ავტომატის კონდახებითაა ნაცემი, თუმცა მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. რაც შეეხება იმ ხუთ სატვირთო ავტომანქანას, რომლებიც, მძევლებთან ერთად, სოფელ დისევის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ტყიანი ფართობებიდან გაიტაცეს, ჯერჯერობით, გამტაცებლებს მანქანები არ დაუბრუნებიათ. შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი ოსური მხარისგან სატვირთო ავტომანქანების დაბრუნებას კატეგორიულად მოითხოვს. სუხიტაშვილი დარწმუნებულია, რომ სეპარატისტული ხელისუფლება მის ამ მოთხოვნასაც დააკმაყოფილებს და ქართულ მხარეს შეეძლება გატაცებული ავტომანქანების ქართული მხარის კონტროლს დაქვემდებარებულ ტერიტორიაზე გადმოყვანა.

გაგრძელება A7 გვერდზე

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ჰიმნი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 პროექტი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# რას მოიტანს ჟვანია-კოკოითის შეხვედრა?

პირველი გვერდიდან

თავის მხრივ სამხრეთ ოსეთის ინფორმაციისა და ბეჭდვითი კომიტეტის ხელმძღვანელი ირინა გაგლოევა აცხადებს, ოსურ შეიარაღებულ ფორმირებებს ცეცხლი არ გაუხსნიათ.

"ცეცხლი ქართული პოზიციებიდან გაიხსნა და ეს სამშვიდობო ძალებმაც დააფიქსირეს. რამდენიმე ჭურვი აფეთქდა ტრიკოტაჟის ამჟამად უმოქმედო ქარხნის ტერიტორიაზე," - აღნიშნა მან "24 საათთან" ინტერვიუში.

მისივე განცხადებით, სროლები თამარაშენის მხრიდან სამი დღეა, ხორციელდება, ისვრიან მართალია უმისამართოდ, ანუ მიზანს არ წარმოადგენს ვინმეს მოკვლა, თუმცა ეს იწვევს ფსიქოლოგიურ დაძაბულობას.

"როგორ წარმოგიდგენიათ, სამი ღამე არ გეძინოთ, არ გამოიწვევს ეს თქვენში დაძაბულობას?" - თქვა მან.

ამასთან, გაგლოევას აზრით, შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გზა მოლაპარაკებათა მაგიდასთან დაჯდომაა.

შექმნილი ვითარების ფონზე სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი, რომელიც უკვე საკმაოდ დიდი ხანია, რაც მოსკოვში იმყოფება, რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროში შეხვედრებს მართავს და მზადყოფნას გამოთქვამს, შეხვდეს საქართველოს პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას რიგი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის მიზნით. ჟვანია კოკოითთან პირისპირ შეხვედრას კონფლიქტის ზონაში ვითარების დაძაბვის დღიდან ითხოვდა, რასაც ოსური მხარე რეაგირების გარეშე ტოვებდა. ახლა კი, როგორც რუსეთის საგარეო უწყება იტყობინება, კოკოითი მზადაა, განიხილოს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების აღსრულების საკითხი, შერეული საკონტროლო კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, კონფლიქტის ზონიდან ყველანაირი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების გაყვანის საკითხი და "სხვა საჭირო გადაუდებელი მოქმედებები, რომლებიც კრიზისულ სიტუაციას სამომავლოდ განმუხტავს, ვითარების სტაბილიზებას მოახდენს და მხარეებს შორის ნდობის აღდგენას შეუწყობს ხელს".

ამასთანავე, დე-ფაქტო პრეზიდენტი "არ არის წინააღმდეგი", კონფლიქტის ზონაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დამკვირვებელთა რაოდენობა ექვსიდან ათამდე გაიზარდოს, თუმცა იმ პირობით, რომ "მათი მოქმედება იქნება მიუკერძოებელი, ობიექტური და ადრე განსაზღვრული მანდატის შესაბამისი".

როგორც რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო იტყობინება, სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი "პრინციპში არ არის წინააღმდეგი, რომ პრემიერთან შეხვედრა გაიმართოს შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში".

გამორიცხული არ არის, შეხვედრა სექტემბრის ბოლოს, ან ოქტომბრის დასაწყისში, ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გაიმართოს, რადგან ასეთი წინადადება მხარეებს უკვე შესთავაზა ეუთო-ს მოქმედმა თავმჯდომარემ, ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სოლომონ პასიმ.

ამის საპასუხოდ, თბილისმაც გამოთქვა დე-ფაქტო მთავრობასთან შეხვედრის მზადყოფნა.

როგორც გუშინ საქართველოს სახელმწიფო მინისტრმა კონფლიქტების დარეგულირების საკითხებში და ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარემ ქართული მხრიდან გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, ადრე მოლაპარაკება იყო შეხვედრის ვლადიკავკაზში ჩატარების შესახებ, მაგრამ ბესლანის ტრაგიკული მოვლენების გამო ეს ვერ მოხერხდა.

"თბილისი ახლაც ვლადიკავკაზს თვლის შეხვედრის ოპტიმალურ ადგილად, მაგრამ ასევე მხარს უჭერს წინადადებას შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის სოფიაში ჩატარებასთან დაკავშირებით," - თქვა მან.

სახელმწიფო მინისტრის აზრით, ეს სხდომა შედეგიანი იქნება კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დარეგულირების თვალსაზრისით.

# საქართველო მალე დაიბრუნებს გაერო-ში ხმის უფლებას

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი 18 სექტემბერს, გვიან ღამით, ოფიციალური ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. იგი მონაწილეობას მიიღებს გაეროს გენერალური ასამბლეის 59-ე სხდომაში. პრეზიდენტს ვიზიტისას თან ახლავს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი.

მიხეილ სააკაშვილი 21 სექტემბერს გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე მოხსენებით გამოვა. დაგეგმილია აგრეთვე შეხვედრები რუმინეთის, სლოვაკეთის, ესტონეთისა და ლიტვის პრეზიდენტებთან. სალომე ზურაბიშვილი კი 23 სექტემბერს მონაწილეობას მიიღებს სუუამის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრაში. საქართველოს დელეგაცია სამშობლოში 25 სექტემბერს დაბრუნდება.

ამასთან, გაეროს გენერალურ ასამბლეაში ხმის უფლება საქართველოს, შესაძლოა, უახლოეს ხანში აღუდგეს. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2004-დან 2013 წლამდე ქართულმა მხარემ გაეროს ბიუჯეტში ყოველწლიურად უნდა გადაირიცხოს 766.299 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა მიმდინარე წლის 7 სექტემბერს დაიფარა და გაეროს შესაბამის კომიტეტებში აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ საქართველოს ხმის უფლება აღუდგება. გაეროს მიმართ საქართველოს დავალიანება დაახლოებით 6 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს. ზემოაღნიშნული გრაფიკის მიხედვით, დავალიანების ნაწილი 30 ივნისამდე უნდა გადახდილიყო, მაგრამ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ზუსტად 30 ივნისს გაეროს გენერალური ასამბლეის რეზოლუციის მიხედვით, საქართველოს ხმის უფლება ჩამოერთვა.

*მედია-ნიუსი*

# კონკურსი

ცხადდება კონკურსი საუკეთესო ტელე და რადიო სიუჟეტის და საგაზეთო სტატიის გამოსავლენად, თემაზე - "ქალი და პოლიტიკა". თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული დაჯილდოვდება 200 აშშ დოლარის ეკვივალენტით ლარებში.

განცხადებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ ან გამოაგზავნოთ 2004 წლის 15 ოქტომბრამდე, შემდეგ მისამართებზე:

თაყაიშვილის N3, 0179, თბილისი
ელ-ფოსტა: Lela@wprc.ge
ფაქსი: 99532 + 250836
ტელ: 99532 + 224018

*ქალთა პოლიტიკური რესურსცენტრი*

რეგიონი

# ექსპერიმენტის მემკვიდრეობა - ქაოსი

პირველი გვერდიდან

ზეზე დაფუძნდა.



*ლადო პატარიძე შაშიაშვილის ექსპერიმენტს განათლების სისტემისთვის დამღუპველად მიიჩნევს.*

**"იმდროინდელი პროფესიული სასწავლებლები შეცვალა ლიცეუმებმა. ისინი არ იყვნენ მესამე საფეხურის სკოლები, არამედ წარმოადგენდნენ პროფილური კუთხის სასწავლებლებს. ჩამოყალიბდა ჰუმანიტარული, ეკონომიკური, საბუნებისმეტყველო, სამხედრო, მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკის, მოდელირების, კვების და ა. შ. ლიცეუმები. სულ - 11,"** -აცხადებს ლადო პატარიძე. საშუალო სკოლებს გამოეყო დაწებითი სკოლები, რომლებიც ცალკე დაფუძნდნენ. რეფორმის შედეგად ქუთაისში არსებული სკოლების რაოდენობა, 39-დან 54-მდე გაიზარდა. სასკოლო ოლქის მონაცემებით, ამ პერიოდში მოსწავლეთა რაოდენობა 7 000-ით ანუ 20 პროცენტით შემცირდა. **"ბავშვს, თუ ის საბაზო სკოლას ამთავრებდა, სურდა თუ არა, ლიცეუმიც უნდა დაემთავრებინა. ამან მშობლებსა და მასწავლებლებში პროტესტი გამოიწვია, მაგრამ რეფორმა მკაცრი ადმინისტრირების წესით ტარდებოდა და მათ არაფერი გამოუვიდათ... ლიცეუმის მასწავლებელს, ჩვეულებრივი სკოლის მასწავლებელთან შედარებით, 40 პროცენტით მეტი ხელფასი უნდა ჰქონოდა. ეს არის დაახლოებით 1993 წელი, და იმ არეულობის პირობებში, არავინ კითხულობდა ქუთაისის გაღლეტილ ბიუჯეტს ეს თანხები როგორ უნდა გაეცა. ლიცეუმების მასწავლებლები გაზრდილ ხელფასს მხოლოდ 7 თვე იღებდნენ,"** -განმარტავს ლადო პატარიძე.

სასკოლო ოლქის მონაცემებით, სამსაფეხურიან საშუალო სკოლებში, მესამე საფეხურზე, სახელმწიფოს ერთი მოსწავლის დაფინანსება უჯდებოდა დაახლოებით 270 ლარი, ლიცეუმებში ეს თანხა შეადგენდა 394 ლარს. წლების მანძილზე ქუთაისის სასკოლო რეფორმის გამო ადგილობრივმა ბიუჯეტმა, მხოლოდ ლიცეუმების შექმნით, 10 800 000 ლარი იზარალა. **"ამავე დროს ლიცეუმების შექმნით შეილახა ბავშვის უფლება, მას არ გააჩნდა არჩევანის საშუალება, აუცილებლად ერთ-ერთ ლიცეუმში უნდა შესულიყო და იქაც მისაღები გამოცდების ჩაბარებას სთხოვდნენ. ამავე დროს, შეიცვალა დამოკიდებულება პედაგოგებს შორისაც. საბაზო სკოლების მასწავლებლები მიიჩნევდნენ, რომ ლიცეუმები მოგონილი იყო იმისათვის, რომ მათი სკოლები გაენადგურებინათ... ამ პერიოდში ქუთაისის განათლების სისტემა ამოვარდა ერთიანი საგანმანათლებლო სივრციდან,"** - მიაჩნია სასკოლო ოლქის ხელმძღვანელს. პირველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ლიცეუმების კურსდამთავრებულებს უმაღლეს სასწავლებლებში მიღების პრობლემებიც შექმნიათ. ექსპერტების განმარტებით, ლიცეუმების სასწავლო გეგმებში ზოგიერთი ძირითადი საგნის არასაკმარისი საათობრივი დატვირთვის გამო. **"1997 წლიდან დღემდე, ქუთაისური ლიცეუმები, ჰუმანიტარული ლიცეუმის გარდა, გაურკვეველი იურიდიული სტატუსის მქონე სასწავლო დაწესებულებებად რჩებიან. შაშიაშვილი, ქუთაისის განათლების განყოფილება და სასკოლო ოლქი ბლოკავდნენ საბაზო სკოლების ინიციატი-**

# მალთაყვის ხიდი

## ახალი ობიექტი, ახალი ეკოლოგიური საფრთხე

ქეთინო ჭაკობია
*ფოთიდან*

ფოთში ხშირად ამბობენ: "ვარდების რევოლუცია ქალაქს არ შეხებია"-ო. ამბობენ და არცთუ უსაფუძვლოდ: ადგილობრივი მასშტაბის ჩინოვნიკები, რომლებიც შევარდნაძის ზეობისას კარგად ითბობდნენ ხელს, დღესაც "გისოსებს იქიდან" აკვირდებიან მოვლენების განვითარებას. ახლო წარსულში დაშვებული შეცდომები კი სულ უფრო მწვავედ იჩენს თავს. დაუდევრობამ და ფულის იოლად შოვნის სურვილმა განაპირობა ის ფაქტი, რომ დღეს ზღვამ დაფარა მალთაყვის პლაჟის საკმაოდ ვრცელი ტერიტორია.

კონკრეტულად: რამდენიმე თვის წინ ექსპლუატაციაში შევიდა მდინარე კაპარჭინაზე ახალი სახიდე გადასასვლელი, რომელიც არაბთა ეკონომიკური განვითარების კუვეიტის ფონდის სესხითა და ქართული მხარის თანადაფინანსებით აიგო. ობიექტი საზეიმოდ გაიხსნა და ღონისძიებაზე დამსწრე პრეზიდენტ შევარდნაძეს და თანმხლებ ოფიციოზს განწყობა ამაღლებული ჰქონდა; თუმცა, ფოთელების გარდა არავის გახსენებია ის ხელოვნურად შექმნილი კარიერი, რომელიც მშენებლებმა ქალაქს ეკოლოგიურ საფრთხედ დაუტოვეს. თემასთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ფოთის მერის მრჩეველს ეკოლოგიის, გარემოს დაცვისა და აგრარულ საკითხებში, ანზორ ტყებუჩავას:

- ბატონო ანზორ, ფოთის იზომეტრიული დონე ზღვასთან შედარებით მხოლოდ 40-80 სანტიმეტრია. მეტიც, ზოგიერთი უბანი ზღვის დონეზე დაბლა მდებარეობს. ექსპერტთა დასკვნით, ზღვამ უკვე 350 ჰექტრამდე ტერიტორია მიიტაცა. გვაქვს თუ არა იმის თქმის საბაზი, რომ ხელოვნური კარიერის შექმნა დანაშაულის ტოლფასია?

**- რა თქმა უნდა. კატეგორიულად ვაცხადებ: ფოთში საერთოდ არ შეიძლება ინერტული მასალის მოპოვება. ამით ზღვას ნაპირის წარეცხვაში ვუწყობთ ხელს. ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობისას თვითნებურად შექმნილი კარიერის ადგილზე ახლა წყალია. მდინარე კაპარჭინას, ფაქტობრივად, კალაპოტი არა აქვს. მდინარისა და ზღვის გარჩევა შეუძლებელი გახდა. პლაჟი უკვე აღარ არსებობს.**

- ვისი ნებართვით ხდებოდა სანაპირო ზოლიდან ინერტული მასალის მოპოვება?

**- მშენებლობის დაწყებისას, საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტის მაშინდელი თავმჯდომარე, ბორის სალარიძე შეგვხვდა ქალაქის სამსახურების ხელმძღვანელებს. წესით, მათ ინერტული მასალა ლანჩხუთის ან ხობის კარიერზე უნდა მოეპოვებინათ. ფოთის მერმა დავით ქანთარიამ ობიექტის მიმდებარედ, ზღვის სანაპიროსკენ მიუთითა და სიტყვიერად შეუთანხმდა მშენებლებს ხელოვნური კარიერის წარმოების თაობაზე.**

- თქვენ იცოდით მოსალოდნელი შედეგების შესახებ და წინააღმდეგობის გაწევა არ სცადეთ?

**- წინააღმდეგობის გაწევა ვცადეთ, მაგრამ უშედეგოდ. ქანთარიამ კატეგორიულად გაგვაფრთხილა, რომ ხმის ამოღების შემთხვევაში სამსახურის დატოვება მოგვიწევდა. წერილების მთელი დასტა მაქვს გაგზავნილი შესაბამის სამინისტროებში, თვითონ სალარიძის უწყებაში, მაგრამ რეაგირება არც ერთს არ მოჰყოლია.**

- გამოდის, მშენებლებსა და მათთან კონტაქტში მყოფ ჩინოვნიკებს ფულის შოვნის ახალი არხი გაუხსენით. წესით, ხომ არ შეიძლება, სამშენებლო პროექტი დამტკიცდეს კარიერის მითითებისა და ინერტული მასალის მოსაპოვებლად საჭირო ხარჯთაღრიცხვის გარეშე?

**- რა თქმა უნდა. ეს დანაშაულია. თვით პროექტში მითითებული ლანჩხუთისა და ხობის კარიერიდან ინერტული მასალის მოსაზიდად დაახლოებით 20-ჯერ მეტი თანხა იყო საჭირო. რადგან ობიექტის მიმდებარედ, ფოთის პლაჟიდან უსასყიდლოდ მოჰქონდათ ქვიშა, გათვალისწინებული თანხა კონკრეტულ ჯიბეებში ილექებოდა. ჩვენი ხმაურის შედეგად სალარიძემ განაცხადა, რომ სადმე გამონახავდა ათი ათას ლარს და ამოღებული ქვიშის საფასურად ქალაქის ბიუჯეტში ჩარიცხავდა. ფაქტია, ეს დღემდე არ გაკეთებულა.**

- სალარიძე, როგორც ვიცი, საბუთად იშველიებდა ფოთის მთავრობის მიერ მიღებულ დადგენილებას, რომლის თანახმად ნებადართული ხდებოდა ინერტული მასალის მოპოვება.

**- ხსენებულ დადგენილებაში მართლაც არის ერთ-ერთი მუხლი: მდინარე კაპარჭინის კალაპოტის რეგულირებისა და ზღვის ტალღების ზემოქმედების შედეგად მისი მოზიდვის თავიდან აცილების მიზნით, მოსახლეობას, გარკვეული თანხის საფასურად, ინერტული მასალის მოპოვების უფლება ეძლევა. ვიმეორებ, მხოლოდ კალაპოტიდან და არა სანაპირო ზოლიდან, როგორც ამას სალარიძე აკეთებდა. დადგენილებაში მითითებულია, რომ ეს იყო დროებითი ღონისძიება ეროზიული პროცესების თავიდან აცილების მიზნით. საუბარი იყო მცირე რაოდენობით ინერტულ მასალაზე და არა ათასობით კუბურ მეტრ ქვიშაზე.**

- დღეს რატომ გახდა პრობლემა აქტუალური?

**- დღეს, რა თქმა უნდა, არავის არაფერი მოეკითხება. დიდი ხანია, წავიდა სალარიძის მატარებელი. ადრე საუბარიც არ შეიძლებოდა იმაზე, თუ ხიდის მშენებლობით რა ზიანი მიადგა გარემოს. პრობლემა აქტუალურია და იქნება. თუ ასე გაგრძელდა, კატასტროფა გარდუვალია.**

*P.S. ჰოლანდიელ ექსპერტთა გაანგარიშებით, ნაპირგამაგრებისთვის აუცილებელი ღონისძიებების გაუტარებლობის შემთხვევაში, მომდევნო მეოთხედი საუკუნის მანძილზე ზღვა ქალაქში დაახლოებით 300 ჰექტარ ნაპირს მიიტაცებს. უახლოეს წარსულში პრობლემის გადაჭრის გზები ადგილზეც და ქვეყნის დედაქალაქშიც მხოლოდ დეკლარაციული განცხადებებით შემოიფარგლებოდა. საფრთხე კი რეალურია და არ არის გამორიცხული, პრობლემა ეკოლო-*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** კრემლის პრესსამსახურის ინფორმაციით, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ, მიხეილ სააკაშვილი ტელეფონით ესაუბრა რუსეთი პრეზიდენტს. ამავე წყაროს ცნობით, ორი ქვეყნის პრეზიდენტებმა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თანამშრომლობის გააქტიურებაზე ისაუბრეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია 20 სექტემბერს ბაქოში მიემგზავრება. იგი მონაწილეობას მიიღებს საუკუნის კონტრაქტის ხელმოწერის 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებში. მასში მონაწილეობას მიიღებენ ასევე უდიდეს ნავთობკომპანიათა ხელმძღვანელები,,რომლებიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტს ახორციელებენ. საქართველოს დელეგაცია აზერბაიჯანიდან იმავე დღეს, საღამოს დაბრუნდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრის გიორგი ბარამიძის განცხადებით, გუშინ საქართველოს საჰაერო საზღვრის დარღვევის კიდევ ერთი ფაქტი დაფიქსირდა. მისი თქმით, რადარებმა მცირე ხნით საჰაერო სივრცის დარღვევის ფაქტი დააფიქსირეს, თუმცა ქართულ მხარეს დღეს არსებული ტექნიკით ამ ფაქტის გადაღებისა და სათანადო რეაგირების საშუალება არ გააჩნია. "პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, მიმდინარე წლიდან ქვეყანაში საჰაერო კონტროლის ახალი სისტემის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით სათანადო დაფინანსება დაიწყება. საქართველოში საჰაერო კონტროლის სისტემა ე.წ. "აქილევსის ქუსლია", რომელიც მუდმივად იჩენს თავს, როდესაც ჩვენი ქვეყნის საჰაერო საზღვარს სხვა სახელმწიფოს საფრენი აპარატები არღვევენ. ჯერჯერობით, იმ ტექნიკით, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია, საჰაერო სივრცის დარღვევის სათანადოდ დაფიქსირებაც კი ვერ ხერხდება " - აღნიშნა ბარამიძემ, რომელმაც დღეს მომხდარი ინციდენტის დეტალები არ დააკონკრეტა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ევროსაბჭო ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგებაში რუსეთის არასახარბიელო როლზე მიუთითებს და გაგებით ხვდება სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილებებს, - განაცხადა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის სხდომიდან დაბრუნებულმა ელენე თევდორაძემ. პარლამენტარის თქმით, საქართველოსთან მიმართებაში სხვადასხვა საკითხზე მონიტორინგის კომიტეტის რეკომენდაციები და რეზოლუციები ჯერ ჩამოყალიბებული არ არის, ისინი მხოლოდ შემუშავების პროცესშია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის სამინისტროს ალექსეევკის შვეულმფრენთა ბაზაზე გუშინ საქართველოს საჰაერო ავიაციის დაარსების მე-12 წლისთავის აღსანიშნავი საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებას საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე, გენერალური შტაბის უფროსი ვახტანგ კაპანაძე, საჰაერო ძალების სარდალი ამირან სალუქვაძე და სხვა ოფიციალური პირები ესწრებოდნენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, დიდი და პატარა ლიახვის ხეობების ყველა სკოლაში 20 სექტემბერს უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები იქნება მიღებული. როგორც ორივე ხეობის გამგებლები აცხადებენ, სკოლებში ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის შესაბამისი ქვეგანყოფილების თანამშრომლები იმორიგევებენ. უსაფრთხოების ზომებზე იზრუნებენ, აგრეთვე, კონფლიქტის ზონაში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც. **მედია-ნიუსი**.

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შინაგან ჯარში ნატო-ს სტანდარტების შესაბამისი მართვის სტრუქტურები ჩამოყალიბდება. თავდაცვის სამინისტროში ანალოგიური ცვლილებები უკვე განხორციელდა, თუმცა შინაგანი ჯარი დღემდე, ფაქტობრივად, საბჭოთა დროინდელი ფორმით არსებობდა, - აცხადებს საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე. მისივე თქმით, ამ საკითხებზე იგი ესაუბრა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის დელეგაციას, რომლის წევრებიც თბილისში იმყოფებოდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი**. ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები - ახლების" ლიდერი დავით გამყრელიძე პარლამენტის ახალი რეგლამენტის შეცვლას მოითხოვს. დავით გამყრელიძე კანონის იმ ნაწილითაა უკმაყოფილო, სადაც კანონპროექტის მეორე მოსმენით განხილვის პროცედურაა განსაზღვრული. მოქმედი რეგლამენტით, პროექტის მეორე მოსმენით განხილვა კომიტეტების პრეროგატივა გახდა. "პარლამენტის პლენარული სხდომა მეორე მოსმენით კანონპროექტს აღარ იხილავს, რაც კანონის მიღების ხარისხზე აისახება," - აღნიშნა გამყრელიძემ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე გელა ზოზიაშვილი "აბსოლუტურ სისულელეს" უწოდებს პარლამენტის ფრაქცია "მემარჯვენე ოპოზიცია - მრეწველები, ახლების" ლიდერის დავით გამყრელიძის განცხადებას, შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულის მიხეილ ქარელის და მასთან დაახლოებული პირების კონტრაბანდული საქმიანობის შესახებ. როგორც ზოზიაშვილმა განაცხადა, არ არის გამორიცხული, რომ კონტრაბანდის შემომტანი პირები ქარელის სახელით სპეკულირებენ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ალყა

პირველი გვერდიდან

მონახულება და სწავლის დაწყებისათვის საჭირო ინვენტარის ჩატანა. ამთავითვე ვიტყვით, რომ სკოლები შეკეთებულია. ახალი მერხები და სკამებიც ადგილზეა, თითო სკოლას თითო ტელევიზორიც გადაეცა, მაგრამ სწავლის დაწყება ყველგან, ალბათ, ვერ მოხერხდება. თამარაშენის სკოლა ხელისგულივით ჩანს სიმაღლიდან, სადაც ოსური მხარეა გამაგრებული. სკოლას თითქმის ყოველ ღამე ესვრიან. სწავლის დასაწყებად ყველაფერი მზადაა, მაგრამ მშობლებს სკოლაში შვილების გაშვებისა ეშინიათ. პარლამენტის თავმჯდომარესთან შესახვედრად სკოლაში მრავალი ადამიანი მოვიდა. ათასი პრობლემის მიუხედავად, ისინი იმედს გამოთქვამდნენ, რომ ყველაფერი მოგვარდება. ეს იმედი იმდენად ძლიერია, რომ სოფლიდან გაყვანილი ბავშვები ოჯახებმა ისევ უკან დააბრუნეს და არსად წასვლას არ აპირებენ. ასეთი განწყობისთვის ხალხს მხურვალე მადლიერების გრძნობით მიმართა ნინო ბურჯანაძემ. მისი და მისი თანამოაზრეების დაპირებით, მთავრობა ყველაფერს აკეთებს, რათა ხეობაში სიმშვიდე იყოს და ხალხმა ნორმალურად გამოიზამთროს. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, სახლების შესაკეთებლად საჭირო თანხა დანიშნულების ადგილზე დღეს უნდა გადაირიცხოს. ეს საკითხი მან პირად კონტროლზე აიყვანა. უახლოეს მომავალში გადაწყდება გათბობის საკითხიც - ხალხი ან შეშის ფულს მიიღებს, ან ქვანახშირს.

სხვა თაშორის, ამ ჰუმანურ საქმეში ჩართული ყოფილან არა მარტო პარლამენტარები, არამედ ბიზნესმენები და უცხოელი მეგობრები, რომლებიც არაერთ ჰუმანიტარულ აქციას გეგმავენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ვაშლის შესყიდვის საკითხს ენიჭება, რაზეც ამჟამად სერიოზული მუშაობა მიმდინარეობს. როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, ეს თუ გაკეთდა, მრავალი ოჯახი ამოისუნთქებს.

## ქურთა

ქურთის საშუალო სკოლაში შეხვედრა მძიმედ დაიწყო. პარლამენტართა დელეგაცია წუთით შეყოვნდა პატარა ნაძვის ხესთან, რომელიც სკოლის ეზოში იმ ადგილზე დაურგავთ, სადაც რამდენიმე კვირის წინათ ახლომდებარე სიმაღლიდან ნასროლი ჭურვით ახალგაზრდა ჯარისკაცი მოგვიკლეს. ნინო ბურჯანაძემ განსაკუთრებული სიამაყით ისაუბრა დაღუპულ ჯარისკაცებზე და მათ დედებზე, რომლებსაც სამშობლოსთვის თავგანწირვა შვილის სიკვდილად არ მიაჩნიათ.

შემდეგ ჩვეულებრივი შეხვედრა გაიმართა, თუმცა ერთი არაჩვეულებრივი ფაქტიც მოხდა. დარბაზში მყოფმა ერთმა მენახირემ პარლამენტის თავმჯდომარეს 200 ლარი სთხოვა. სახლი არა მაქვს, ბოსელში ვცხოვრობ და ერთი პატარა ოთახის აშენება მინდაო. ეს პრობლემა იქვე მოგვარდა. ჰუმანიტარული ორგანიზაციის "კარიტასის" წარმომადგენელმა მენახირეს 100 ლარი და 50 ევრო გადასცა. გლეხკაცს 50 ევროიანი ცოტა ეუცხოვა, მაგრამ მალე მიახვედრეს, რომ ის ფული 100 ლარს ბევრად სჯობს.

## ვანათი

180 კომლიანი სოფელი ვანათი პატარა ლიახვის ხეობაშია და ამჟამად, შეიძლება ითქვას, საქართველოს მოწყვეტილია და სეპარატისტების ხახაშია მოქცეული. ასეთივე მდგომარეობაშია ხეობის კიდევ ოთხი სოფელი. ერთ მხარეს სამშვიდობოების პოსტია, სადაც ოსები და რუსები დგანან, მეორე მხარეს - ჯავის რაიონი. მთაზე, რომელიც ხეობას თავზე დაჰყურებს, სეპარატისტები ბატონობენ. სკოლის შენობა და ჭიშკარი მთლიანად დაცხრილულია. უკეთეს მდგომარეობაში არც საცხოვრებელი სახლებია. აი, რა შემოგვჩივლეს ვანათელებმა, რომელთა ვინაობის დასახელების შესაძლებლობა, ჯერჯერობით, არ გვაქვს.

- ეხლა რო ამბობენ, პატარა ლიახვის ხეობა დაცულიაო... ჩვენა ვართ დაცულები? ვანათი, საცხენეთი, ბელოთი, ზინკარი და აწრიხევი - ეს არის პატარა ლიახვის ხეობა. აბა, გაიარე, ერთი, გზაზე ვინმე ჩვენიანს თუ ნახავ ფორმიანს.

- ოთხი დღე იყვნენ პოლიციელები, იმათაც აჰყარეს იარაღი და ცხინვალში წაასხეს საქონელივითა. ერთი ტყვია რო ვინმეს გეესროლა, ოსები გაიქცეოდნენ, მაგრამ, აბა...

- შემოსასვლელში სამშვიდობოების პოსტი რო გამოიარეთ, მანდ სუ ოსები და რუსები დგანან. ერთი ქართველი ჰყავდათ, შოფრადა, და ისიც გააგდეს. ეხლა თქვენ დაგემალებოდნენ, თორე, მაგ პოსტზე, იცი, რა ამბავია. ექვსი საათის შემდეგ ჩამოდიან ოსები, სვამენ, თვრებიან და...

- რო დათვრებიან, სოფლის გზაზე დადიან სროლა-სროლით და ჩვენ "პლენებს" გვეძახიან. მართალია, ძმაო, ჩვენა ვართ "პლენები". კაციშვილი ჩვენი პატრონი არ არის.

- მეორე მხარეს ჯავაა, იქაც ოსები არიან. აგე, მაღლა მთაზე რო ციხე ჩანს, მანდედან გვესვრიან ღამღამობით.

- ზამთარი მოდის, სახლები გადასახურია. რითი გადავხუროთ. არც ერთ სახლს მინა არა აქვს მთელი. დეგეხმარებითო, შეგვპირდნენ, ჯერ არაფერი გაუკეთებიათ. ტყეში ვერ შევდივართ, შეშა ვერ მოგვიტანია. რა ვქნათ, რა გავაკეთოთ?! აქედან თუ ხალხი წავიდა, იცოდეთ, ეს ხეობა დაიკარგება.

პარლამენტის თავმჯდომარემ სხვა სოფლებიც მოინახულა. დელეგაციის წევრები პირადად მონაწილეობდნენ ბერულას სკოლის ინვენტარის გადმოზიდვაში.

განსაკუთრებით მძიმე სანახავი აღმოჩნდა მაჩაბლის სახლ-მუზეუმი, რომელიც შაბათ ღამით ძლიერ დაუბომბავთ...



სწავლის დაწყებისთვის ყველაფერი მზადაა, მაგრამ სროლა არ წყდება.



ვანათის "სამშვიდობო" პოსტი.



ქართული სამშვიდობო ძალების მთავარსარდალი ალეკო კიკნაძე (შუაში) დელეგაციას ყველგან დაჰყვებოდა.

ბესო გულაშვილის ფოტოები


# სატენდერო კომისიის განცხადება

1.საქართველოს ეროვნული ბანკი, 2004 წლის ბიუჯეტის სახსრებით გათვალისწინებულ პროგრამული აპარატურული უზრუნველყოფის შესყიდვაზე ქვემოთ მოცემული სპეციფიკაციის შესაბამისად აცხადებს ღია ტენდერს და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| ლოტი | | დასახელება |
|---|---|---|
| 1. | 1.1 | შემომავალი-გამავალი ტრაფიკის ანტივირუსული და Web Filter კონტროლის სისტემა |
| 2. | 2.1 | Visual Studi. Net 2003 Enterprise Architect; |
| | 2.2 | Microsoft Exchange 2003 Enterprise; |
| | 2.3 | MSDN Universal-one year subscribtion; |
| 3 | 3.1 | Programming envairoment (Jbuilderx) |
| 4. | 4.1 | Program pack Multilex 4.0 English (Unlimited) |

ტენდერში შესაძლებელია გამარჯვებულის გამოვლენა ლოტების შესაბამისად;

2. მოწოდება სასურველია განხორციელდება ტენდერის დამთავრებისა და ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარულ დღეში, Cip-თბილისის საბაჟო.

საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციის მიხედვით, თავის დანიშნულებით და გამოყენებით უნდა აკმაყოფილებდეს სეკ(CPA)002-99 შესაბამის მოქმედ სტანდარტ გოსტ-D-DL-30.01.14; CPC-45170.1; HS/KN-8473.10,2; D-DL-30.0124; CPC-45170.2; HS/KN-8473.40; D-DL-30.01.25; CPC-45180; HS/KN- 9009.90; D-DL-30.02.17; CPC-45270; HS/KN- 8473.30.

3 დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები, უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, განცხადების გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა სებ-ის კანცელარიაში 18.00-სთ-მდე სათანადო რეგისტრაციის გავლით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5, სატენდერო კომისიის სამდივნო ტელ/ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს ცნობებს და ინფორმაციებს რომ:

ა)წარდგინების წერილი (საკვალიფიკაციო მონაცემთა ნუსხაში შემავალი დოკუმენტაციის ჩამონათვალით);

ბ)მისი ქონება არ არის დაყადაღებული (ცნობა ნოტარიუსთა პალატიდან);

გ)მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან);

დ)მის მიმართ არ მიმდინარეობს იძულებით სააღსრულებო წარმოება(ცნობა სააღსრულებო ბიუროდან);

ე)ტენდერის დაწყების მომენტისთვის მისი ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან);

ვ)ფიზიკური პირისთვის; ცნობა, რომ სასამართლოს მიერ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (ცნობა ჯანმრთელობის დაცვის სპეციალიზირებული დაწესებულებიდან);

ზ)ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან).

თ)ბოლო ხუთი წლის აუდიტირებული ბალანსი აუდიტის დასკვნასთან ერთად;

ი)დადგენილების ასლი სასამართლოში რეგისტრაციის შესახებ;

კ)რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

(უცხო ქვეყნის წარმომადგენლებმა ზემოაღნიშნული დოკუმენტაციები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებიდან, რომლებიც გასცემენ აღნიშნულ ცნობებს).

5. მე-4 პუნქტში განსაზღვრული დოკუმენტაცია უნდა იქნას წარმოდგენილი ორიგინალების სახით.

ორიგინალის წარმოდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში აღნიშნული დოკუმენტები დამოწმებულ უნდა იქნეს სათანადო წესით.

6. იურიდიული ან ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკავალიფიკაციო მონაცემებს თუ იგი დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 პუნქტით განსაზღვრულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციას მიიღებენ სებ-ის სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტად

აღიარებული ის პირები, რომლებიც აღიარებიდან და შეტყობინებიდან 3 დღის განმავლობაში გადაიხდიან სატენდერო მოსაკრებელს 500 ლარის ოდენობით, საქართველოს ეროვნულ ბანკში გახსნილ N000904742 "შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სატენდერო მოსაკრებლის" სპეციალურ ანგარიშზე, ბანკის კოდი 220101107.

8. საკვალიფიკაციო მონაცემებს განიხილავს სატენდერო კომისია საკვალიფიკაციო მონაცემთა

წარდგენის ბოლო დღიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში, რის შედეგადაც დადგინდება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტთა სია, რომელიც 5 დღის ვადაში ეცნობებათ პრეტენდენტებს.

9. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ სატენდერო კომისიის სამდივნოს საქ. ეროვნული ბანკში მის. ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 3/5; საფოსტო ინდექსი 380005; ოთახი N124,125 ტელ./ფაქსი: 98-21-34. ტელ. 44-23-88, 44-22-11 შიდა ტელ. 2-11; 3-88.

**საქართველოს ეროვნული ბანკის**
**სატენდერო კომისია.**

**სააქციო საზოგადოებების დირექტორთა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრების საყურადღებოდ!**

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი აწყობს ერთდღიან სემინარს **"ფინანსური ანალიზის საფუძვლები"**.

სემინარი გაიმართება თბილისში, ა.წ. 30 სექტემბერს 10:00-ზე სასტუმრო "მარიოტ ქორთიარდში" (თავისუფლების მოედანი N4).

სემინარი განკუთვნილია მხოლოდ სააქციო საზოგადოებების დირექტორებისა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისთვის. სემინარი არაა განკუთვნილი ფინანსური მენეჯერებისა და ფინანსური განათლების მქონე ხელმძღვანელი პირებისათვის.

სემინარზე დასწრება უფასოა. დასწრებისათვის აუცილებელია წინასწარი რეგისტრაცია. რეგისტრაციის მიზნით, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონის ნომრებზე: 91 30 96, 91 26 89, 91 29 58. ადგილები შეზღუდულია.

**მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების და მათი წარმომადგენლობების საყურადღებოდ!**

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტი ახორციელებს ტექნიკურ დახმარებას **ლიზინგის** სფეროში, რომლის ფარგლებშიც ხდება **საქართველოში არსებული მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობების მონაცემთა ბაზის შედგენა**.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) საქართველოში ბიზნესის განვითარების პროექტის ლიზინგის კომპონენტი მუშაობს **ლიზინგის ბაზრის განვითარებაზე და რეკომენდაციებს უწევს სალიზინგო კომპანიებსა და მათ კლიენტებს მანქანა-დანადგარების ლიზინგით შეძენასთან დაკავშირებით**.

ამ მიზნით მანქანა-დანადგარების მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლობებს ვთხოვთ, მოგვაწოდონ ინფორმაცია საკუთარი კომპანიის შესახებ (კომპანიის დასახელება, მისამართი, ტელეფონის ნომრები, საკონტაქტო პირი). ჩვენი კოორდინატებია: მსოფლიო ბანკი, თბილისი 0179, ჭავჭავაძის გამზირი, I ჩიხი, 5. ტელ.: 91 26 89, 91 29 58, 91 30 96. ფაქსი: 91 34 80. ელ ფოსტა: rjaparidze@ifc.org

# მალე სოფლის გზებსაც ეშველება

*გასულ შაბათ-კვირას საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა საქართველოში ვიზიტად მყოფ მსოფლიო ბანკის ექსპერტებს უმასპინძლა. ორი დღის განმავლობაში მათ საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლებთან ერთად ის საგზაო მონაკვეთები მოინახულეს, რომელთა რეაბილიტაცია 2005 წელს ახალი პროექტის ფარგლებში დაიწყება.*

დიანა ჩაჩუა

მსოფლიო ბანკი საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი გზების რეაბილიტაციისთვის 22 მილიონი დოლარის ოდენობის კრედიტს გამოყოფს. "24 საათი" აქამდეც წერდა მსოფლიო ბანკის საქართველოს გზების ახალი პროექტის შესახებ. თუმცა, წინამორბედი პროექტებისგან განსხვავებით, როცა თანხები მხოლოდ მაგისტრალური გზების აღდგენას ხმარდებოდა, ამჟამად მისი მთავარი "სამიზნე" დღეს განსაკუთრებულად მძიმე მდგომარეობაში მყოფი შიდარესპუბლიკური და სასოფლო გზები იქნება. როგორც მსოფლიო ბანკში აცხადებენ, ამ პროექტის დაწყების წინაპირობად სწორედ მაგისტრალურ გზებზე განხორციელებული პროექტების წარმატება იქცა.

შაბათს მსოფლიო ბანკის ექსპერტების და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტემენტის წარმომადგენლების მონაწილეობით დაწყებული ორდღიანი გასვლითი აქცია თბილისი-თიანეთის, საჯავახო-ჩოხატაურის, თბილისი-მანგლისის, ოზურგეთი-ნატანების, ხევსურთსოფელი-სიონის და ფარცხისი-მანგლისის საგზაო მონაკვეთების დათვალიერებით დაიწყო. მეორე დღეს კი უცხოელმა ექსპერტებმა მლეთა-გუდაურის გზაზე მეწყერის შეეგად დაზიანებული მონაკვეთი მოინახულეს.

როგორც საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში განაცხადეს, ექსპერტები კმაყოფილები არიან მიმდინარე სამუშაოების ხარისხით და ტემპებით. უფრო კონკრეტული საკითხები კი, ჯერჯერობით, უცნობია. დეპარტამენტის ინფორმაციით, უფრო დეტალური საკითხები აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით დღეს სემინარზე გაირკვევა. ვიზიტის ფარგლებში ქართველ და უცხოელ ექსპერტთა შეხვედრებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი უმასპინძლებს.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებში მსოფლიო ბანკმა შესრულებული სამუშაოები დადებითად შეაფასა, რამაც განაპირობა სწორედ 2005-2008 წლებში 22 მილიონი დოლარის ოდენობის ახალი კრედიტის გამოყოფა.

# დღეს, შესაძლოა, სატრანსპორტო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვის ბედი გადაწყდეს

*დღეს საქართველოს საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის წარმომადგენლები რუსეთსა და საქართველოს შორის სატრანსპორტო მიმოსვლაზე დაწესებული შეზღუდვის გაუქმებას შეეცდებიან.*

როგორც ადმინისტრაციის თავმჯდომარემ ალექსანდრე ჩხიკვაძემ განაცხადა, 20 სექტემბერს მოსკოვში, რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროში გაიმართება შეხვედრა, რომელზეც რუსული მხარის მიერ დაწესებული შეზღუდვის მიზეზებსა და მათ გაუქმებაზე იმსჯელებენ. რუსეთის ტრანსპორტის სამინისტრომ საქართველოს ტრანსპორტის ადმინისტრაციას ქართული გადამზიდავი კომპანიების მიერ რუსეთსა და საქართველოს შორის დაწესებული ავტობუსების რეისების გაუქმების შესახებ 10 სექტემბერს აცნობა.

როგორც საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციაში აცხადებენ, ქართული გადამზიდავი კომპანიები რუსეთის მიმართულებით რეისებს 15 სექტემბრიდან ველარ აწარმოებენ. ქართული მხარე აღნიშნულ შეზღუდვებს მხოლოდ პოლიტიკურ მიზეზებს უკავშირებს, ვინაიდან რუსულ მხარეს რეისების გაუქმების სამართლებრივი და ეკონომიკური საფუძვლები არ გააჩნდა.

ქართული დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში ალექსანდრე ჩხიკვაძის გარდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე გენადი მურადიანი და ქართველი ექსპერტებიც შედიან, თბილისში 21 სექტემბერს დაბრუნდება.

ცხადია, სწორედ პოლიტიკური მიზეზების გამო ქართული მხარე საკითხის გადაწყვეტას ერთ დღეში არ ელის, თუმცა საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციაში თვლიან, რომ აღნიშნულმა ვიზიტმა სიტუაციის გარკვევაში თავისი სერიოზული წვლილი შეიძლება შეიტანოს.

# ოპეკი ნავთობმოპოვებას ზრდის

თორნიკე შარაშენიძე

ახლო მომავალში ნავთობის გაიაფებას თუ არა, შემდგომ გაძვირებას მაინც აღარ უნდა ველოდოთ. ოპეკმა ნავთობმოპოვების დღეში 1 მილიონი ბარელით გაზრდა გადაწყვიტა. ეს გადაწყვეტილება 1 ნოემბრიდან შევა ძალაში. კარტელმა აგრეთვე დაადასტურა, რომ მისი მიზანია, ბარელი ნავთობის ფასი 22-28 დოლარის ფარგლებს არ სცდებოდეს. თუმცა, გაურკვეველია, ოპეკი ამას მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით როგორ მიაღწევს. ჯერ კიდევ ზაფხულში ექსპერტები შიშობდნენ, რომ ოპეკმა პრაქტიკულად ამოწურა თავისი პოტენციალი და ნავთობმოპოვების გაზრდისათვის რესურსი აღარ გააჩნდა. ბოლო გადაწყვეტილების შედეგად, კარტელმა დღეში 27 მილიონი ბარელი უნდა მოიპოვოს და მეტად საეჭვოა, რომ მას კიდევ შეეძლოს ნავთობწარმოების გაზრდა.

სინამდვილეში კი, როგორც არაოფიციალური, მაგრამ სანდო წყაროებიდან არის ცნობილი, ოპეკის ნავთობმოპოვება დღეში 28 მილიონ ბარელს აღწევს, რადგან კარტელის წევრი ზოგიერთი ქვეყანა კვოტით დაშვებულზე მეტ საწვავს აწარმოებს. ასე რომ, მსოფლიო ბაზარზე უკვე 27 მილიონ ბარელზე მეტი გადის, მაგრამ ვითარება მაინც კრიტიკულია.

ოპეკის გადაწყვეტილებას ნავთობის გაძვირება მოჰყვა, თუმცა ამის მიზეზი, ცხადია, ეს გადაწყვეტილება არ ყოფილა. უბრალოდ, ამ პერიოდს ქარიშხალ "ივანეს" აბობოქრება დაემთხვა, რომელმაც ჩრდილო ამერიკა წალეკა, მათ შორის კი მექსიკის ყურე, სადაც ნავთობმოპოვება მიდის. შედეგად, რვა ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა გაჩერდა ტეხასსა და ლუიზიანაში. მათზე აშშ-ს ნავთობწარმოების 13 პროცენტი მოდის.

ოპეკის გადაწყვეტილება სასიამოვნო სიურპრიზად იქცა ექსპერტებისათვის, რომლებიც შიშობდნენ, რომ კარტელი დაკმაყოფილდა ბოლო დროს დაფიქსირებული ფასების ერთგვარი ვარდნით და ნავთობმოპოვებას აღარ გაზრდიდა. ამ ვარაუდის საფუძველს ოპეკის ზოგიერთი ხელმძღვანელის განცხადება იძლეოდა, რომლის მიხედვითაც "მაღალი ფასების მიზეზები უფრო ფსიქოლოგიურია და საწვავის ნაკლებობით არაა გამოწვეული."

მიმდინარე კვირის დასაწყისში ერთობ საინტერესო განცხადება გააკეთა ფრანგული ნავთობგიგანტის "ტოტალის" მთავარმა აღმასრულებელმა ტიერი დერმარესმა. მისი თქმით, იმისათვის, რათა ენერგობაზარზე არსებული კრიზისი დაძლეულ იქნეს, ოპეკის წევრმა ქვეყნებმა ნავთობკომპანიები თავიანთ ტერიტორიაზე უნდა დაუშვან. ეჭვს არ იწვევს, რომ ოპეკის ქვეყნებში არაერთი აღმოუჩენელი საბადოა, რომელთა ათვისებაც დიდ შვებას მოუტანდა მსოფლიო ეკონომიკას.

1970 წლის შემდეგ ოპეკის ქვეყანათა უმრავლესობას უცხოელი ინვესტორები თავის სანავთობო სექტორში აღარ დაუშვია. შარშან ამ მხრივ იშვიათ გამონაკლისად იქცა სწორედ "ტოტალი," რომელმაც "შელთან" ერთად საუდის არაბეთში ბუნებრივი გაზის საბადოს ათვისების უფლება მოიპოვა. ოპეკის წევრთა მოტივაცია გასაგებია - მათი უმრავლესობისათვის ნავთობი შემოსავლის ერთადერთი წყაროა და ამიტომ არ სურთ, ეს წყარო ნაწილობრივ მაინც უცხოელებს ჩაუგდონ ხელთ.

**ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე**

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

**ბიზნეს სესხი დოლარში**

მოკლევადიანი უკვე წლიური **13%**-დან

გრძელვადიანი უკვე წლიური **14%**-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

**ბიზნეს სესხი ლარში**

უკვე წლიური **14%**-დან

სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



*პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში*

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# ძიან ძემინი პოლიტიკიდან მიდის?

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოფილმა მეთაურმა ძიან ძემინმა უკანასკნელი თანამდებობა, ცენტრალური სამხედრო საბჭოს ხელმძღვანელობა, ჩინეთის ამჟამინდელ ლიდერს, ჰუ ძინტაოს გადაულოცა. ძემინის გადადგომის შესახებ გადაწყვეტილება ჩინეთის კომპარტიის გაფართოებულ პლენუმზე იქნა მიღებული. ამგვარად, ჩინეთში ძალაუფლების დანაწილება ორ უმაღლეს პოლიტიკურ ფიგურას შორის ოფიციალურად დასრულდა. ექსპერტთა აზრით, ეს ძალაუფლებისათვის ბოლო დროს გამძაფრებული ბრძოლის დასასრულიც იქნება.

ძიან ძემინს ქვეყნის მეთაურის თანამდებობიდან წასვლის შემდეგ შენარჩუნებული ჰქონდა უმნიშვნელოვანესი პოსტი - იგი ჩინეთის შეიარაღებული ძალებს სრულად აკონტროლებდა, ხოლო ახალი თავმჯდომარე ჰუ ძინტაო, ფაქტობრივად, სამოქალაქო ხელისუფალი იყო. ამ ფაქტის გათვალისწინებით, ძემინის მოსაზრებებს უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭებოდა ქვეყნის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო პოლიტიკის ფორმირებისას.

ამიერიდან კი, ჰუ ძინტაო პარტიის, ქვეყნისა და არმიის ერთპიროვნულ მართვის სადავეებს იღებს ხელში.

ოთხდღიანი პლენუმი სრულიად გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიმდინარეობდა. დღის წესრიგის მთავარი თემა კორუფციასთან ბრძოლა იყო, რომელიც უკვე სერიოზულ საფრთხეს უქმნის კომუნისტური პარტიის მმართველ როლს ქვეყანაში. თავიდანვე ცნობილი იყო, რომ მძაფრი დებატები გაიმართებოდა პარტიის ძველი და ახალი ხელმძღვანელების მომხრეებს შორის. თუმცა, არც ერთი ექსპერტი არ ფიქრობდა, რომ ძიან ძემინი ასე ადვილად დათმობდა პოზიციებს. აღსანიშნავია, რომ ლიდერებს შორის უთანხმოებას ბოლო პერიოდში ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისადმი სხვადასხვა მიდგომები ედო საფუძვლად. თუმცა, ორივე ლიდერი კატეგორიულია ერთ საკითხში - სტაბილურობის შენარჩუნება და კომპარტიის მმართველი როლის განმტკიცება ქვეყანაში.

ჩინეთის ხელმძღვანელობა სერიოზულადაა შეშფოთებული ქვეყანაში კორუფციის აღმავლობით. თუმცა, ამ პრობლემასთან ბრძოლისთვის ისინი არა დემოკრატიული რეფორმების გატარებას, არამედ კომუნისტური ძალაუფლების განმტკიცებას აპირებენ. ჰუ ძინტაოს თქმით, ქვეყნის მმართველობის სისტემა სრულყოფას საჭიროებს. ჩინეთში რეფორმების შედეგად შეიქმნა არჩეული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, ასევე ცვლილებები განიცადა მართვის სისტემამაც. "შეუზღუდავი ან უკონტროლო ძალაუფლება მის ბოროტად გამოყენებასა და კორუფციასათან მიგვიყვანს," - აცხადებს ჰუ ძინტაო. ითვლება, რომ კორუფციამ უკვე დიდი ხანია, რაც ჩინეთის ხელისუფლების უმაღლესი ეშელონები მოიცვა. მრავალმა სახელმწიფო და პარტიულმა მოხელემ თანამდებობის გამოყენებით დიდი ქონება დააგროვა.



*პირველად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ისტორიაში, მხცოვანმა კომუნისტმა ძალაუფლება შედარებით ახალგაზრდას მშვიდობიანი გზით გადაულოცა.*

ძიან ძემინი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარედ 1989 წელს, ტიანანმენის მოედანზე დემონსტრაციის სასტიკად ჩახშობის შემდეგ აირჩიეს. იგი ქვეყანას იმ პერიოდში მეთაურობდა, როდესაც ჩინეთი პატრიარქალური წყობიდან უსწრაფესი ტემპებით გადადიოდა ერთ-ერთ ყველაზე მზარდი ეკონომიკური განვითარების ქვეყნად.

მართალია, ანალიტიკოსები ერთხმად აღიარებენ, რომ ძემინის პოლიტიკიდან წასვლის შედეგები უმალვე არ იქნება შესამჩნევი, მაგრამ ყველა თანხმდება იმ აზრს, რომ რაიმე სახის ცვლილებები მაინც გარდაუვალი იქნება. შეგახსენებთ, ცენტრალური სამხედრო საბჭოს ახალი ხელმძღვანელი ჰუ ძინტაო ქვეყნის მშვიდობიანი განვითარების მომხრეა, მაშინ როდესაც ძიან ძემინი, მთელ რიგ შემთხვევებში, განსაკუთრებით ტაივანთან მიმართებაში, რადიკალური (მათ შორის ძალისმიერი) ზომების გამოყენებასაც არ გამორიცხავდა.

თუმცა, სავარაუდოდ, ძიან ძემინი მნიშვნელოვანი სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღებაზე ზემოქმედების ბერკეტებს კვლავაც შეინარჩუნებს. ჩინეთის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს მუდმივი კომიტეტი ხომ მეტწილად მისი პოლიტიკური მოკავშირეებით არის დაკომპლექტებული.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## 2004-2005 სასწავლო წლის საათობრივი ბადის შესახებ ხშირად დასმული შეკითხვები:

***გვაქვს თუ არა უფლება 1-4 კლასებში, როგორც შარშან, ვასწავლოთ ინტეგრირებული ხელოვნების კურსი?***

ისევე, როგორც წინა წლებში, 2004-2005 სასწავლო წელს სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის საათების ხარჯზე სკოლას შეუძლია აირჩიოს ხელოვნების ინტეგრირებული კურსი.

***შარშან ვასწავლიდი მათემატიკას მე-4, მე-5 და მე-6 კლასებში ჩემი საათობრივი დატვირთვა იყო 15 საათი. წელს ვასწავლი მე-5, მე-6 კლასებს და საათობრივი დატვირთვა მაქვს 8 საათი. უნდა მივიღო თუ არა 15 საათის ხელფასი, როგორც შარშან?***

თქვენ უნდა მიიღოთ 10 საათის ხელფასი, ანუ იმდენი, რამდენსაც მიიღებდით შარშან, რომ მე-5, მე-6 კლასებისთვის გესწავლებინათ.

***აქვს თუ არა დირექტორს უფლება, გამათავისუფლოს იმ საფუძველზე, რომ ჩემს საგანს ვერ ატევს მაქსიმალური საათობრივი დატვირთვის ფარგლებში?***

დირექტორს არა აქვს არანაირი საფუძველი, თქვენ გაგათავისუფლოთ, რადგან მას აქვს უფლება, საათების განაწილებისას თქვენს საგანს მაქსიმალური დატვირთვის ფარგლებში სხვა ნებისმიერი საგნის ხარჯზე მოუმატოს საათები.

***როგორ ვასწავლო შემცირებული საათებით იგივე პროგრამა?***

ყველა სასწავლო პროგრამაში არის ისეთი ნაწილი, რომელიც მეტნაკლებად მნიშვნელოვანია. მასწავლებელს შეუძლია თავად განსაზღვროს, თუ რომელ საკითხს რა დროს დაუთმობს. ამასთან ერთად, რადგან მასწავლებლის არასაგაკვეთილო დრო იზრდება შემცირებული საათების ხარჯზე, მას აქვს საშუალება, მეტი საწერი დავალება მისცეს თავის მოსწავლეებს და ეს დავალებები უფრო კარგად გაასწოროს.

***რატომ არ არის ისეთი საგნები, როგორიცაა ადამიანის უფლებები, ან რელიგია და კულტურა სავალდებულო საგნების სიაში?***

2004-2005 სასწავლო წლის საათობრივ ბადეში ყველა ის საგანი, რომელიც წინა წელს იყო სავალდებულო საგნების სიაში, უცვლელი დარჩა. ადამიანის უფლებები, რელიგია და კულტურა, ზოგიერთი კლასების გეოგრაფია თუ სხვა არასოდეს ყოფილა სავალდებულო საგნების სიაში.

***წელს ხელფასი დამეთვლება შარშანდელი საათების რაოდენობით. მომდევნო წელს ხომ არ დამითვლიან ხელფასს წელს ჩატარებული საათების მიხედვით?***

შემდეგ წელს მასწავლებლის ხელფასი არ იქნება დამოკიდებული მის საგაკვეთილო დატვირთვაზე. ყველა მასწავლებელს ექნება განსაზღვრული მინიმალური ხელფასი, რაც მიახლოებული იქნება საარსებო მინიმუმთან.

***რატომ მოხდა, რომ წინა წლების საათობრივ ბადეში ასე იყო საათების რაოდენობა გაბერილი?***

მოსწავლეების სასწავლო დღეების ზედმეტად გადატვირთვის ერთ-ერთი მიზეზი, გარდა არაპროფესიონალიზმისა, იყო სკოლების არასწორი დაფინანსება. მასწავლებლები თვითონ ითხოვდნენ სახელმწიფოსგან საათების მომატებას, რადგან ეს იყო ერთადერთი ლეგალური ხერხი, რომ ხელფასი მომატებოდათ. შედეგად მივიღეთ საგნებით და საათებით გადატვირთული საათობრივი ბადე.

# ყაზახეთი ნაზარბაევებს ირჩევს

ყაზახეთში პოლიტიკური ცხოვრება "დუღს". ახლახან ასტანაში გამართული დსთ-ს სამიტის შემდეგ, კვირას მთელი ქვეყნის მასშტაბით საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა. არჩევნები ნავთობითა და გაზით მდიდარ შუააზიურ სახელმწიფოში ელექტრონული სისტემით მიმდინარეობს, რამაც თითქოსდა მისი საიმედოობა და, ამასთანავე, ხმის დათვლის პროცესის სისწრაფე უნდა უზრუნველყოს. თუმცა, ბევრი დამკვირვებელი არჩევნებამდე აღნიშნავდა, რომ ასეთი საარჩევნო სისტემა არჩევნების ერთ-ერთ მთავარ ატრიბუტს, ხმის მიცემის საიდუმლოობას აყენებს ეჭვქვეშ.

ყაზახეთის საკანონმდებლო ორგანო ორი პალატისაგან - მეჯლისისა და სენატისგან შედგება. ამჯერად სწორედ მეჯლისის 77 დეპუტატს ირჩევენ. მეჯლისის მომავალ წევრთაგან 67 ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქებიდან აირჩევა, ხოლო 10-ს პარტიული სიებიდან არჩეულები დააკომპლექტებენ. არჩევნებში ათამდე პარტია და ბლოკი მონაწილეობს, სწორედ მათ მიერ არის წაყენებული მაჟორიტარი კანდიდატების უმრავლესობაც.

არჩევნების ოფიციალური შედეგების გამოქვეყნებისათვის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ერთკვირიანი ვადა აქვს. თუმცა, დღესვე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მანდატთა დიდი ნაწილი მხოლოდ ორ პარტიაზე გადანაწილდება. ესენია - "ოტანი" და "ასარი". მათგან პირველს თავად ქვეყნის პრეზიდენტი უდგას სათავეში, ხოლო მეორე - მისი უფროსი ქალიშვილის, დარიგას მიერ ჩამოყალიბებული პარტიაა.

## ორი სიტყვით

**ისრაელი.** გაზეთ "ჰაარეც"-ის ინფორმაციით, ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი სილვან შალომი გრძელვადიან პერსპექტივაში პალესტინის ავტონომიის ლიდერის იასირ არაფატის გასახლებას გარდაუვალად მიიჩნევს. მინისტრის თქმით, "საუბარი არ მიდის არაფატის განადგურებაზე", უბრალოდ, ყველა ხვდება, რომ პალესტინის მხცოვანი ლიდერი ხელს უშლის კრიზისის გადაწყვეტას და მხოლოდ პრობლემებს ქმნის. "სანამ არაფატი რამალაში, თავის რეზიდენციაში იმყოფება, ჩვენ ვერ ვიწყებთ სამშვიდობო მოლაპარაკებებს," - აცხადებს შალომი.

ისრაელის მთავრობის გადაწყვეტილებას არაფატის გასახლების თაობაზე "ცუდ იდეად" მიიჩნევენ ვაშინგტონში. "იასირ არაფატი პალესტინელი ხალხის ნაწილია, და ჩვენ პატივს ვცემთ ამას," - ამბობს სახელმწიფო მდივნის თანაშემწე უილიამ ბერნსი. ამერიკელმა დიპლომატმა დასძინა, რომ ამ საკითხზე თელ-ავივსა და ვაშინგტონს შორის მოლაპარაკებები გრძელდება. **24 საათი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სპეციალური მიმართვა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ადმინისტრაციების მიმართ

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების 2004-2005 სასწავლო წლისათვის რეკომენდირებული საათობრივი ბადეების დამტკიცებამ პედაგოგიური საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ვნებათაღელვა გამოიწვია. საქმე ისაა, რომ სკოლების ადმინისტრაციების გარკვეულმა ნაწილმა, ან მცირედ ინფორმირებულობის გამო, ან შეგნებულად შექმნა დაძაბულობა პედაგოგებისთვის საათობრივი განაწილებისა და შესაბამისად მათი სახელფასო ანაზღაურების გაანგარიშებისას.

სამინისტროს პრიორიტეტს წარმოადგენს პედაგოგის უფლებების დაცვა და მისი სამუშაო პირობების გაუმჯობესება. დღემდე მასწავლებლის ანაზღაურება დაბალი იყო, ამიტომ უმეტესობა ცდილობდა გაეზარდა საათობრივი დატვირთვა. ასეთი მიდგომის სავალალო შედეგებს დღეს განათლების სისტემა და მთლიანად საზოგადოება იმკის.

მეორე მხრივ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უარყოფს იმ ფაქტს, თითქოს იგეგმებოდეს მასწავლებელთა მასშტაბური შემცირება; პირიქით 2006-2007 სასწავლო წლიდან სკოლები გადადიან თორმეტწლიან ციკლზე, შესაბამისად გაიზრდება მოთხოვნა პედაგოგებზე.

მასწავლებლების სამუშაო პირობების შესამსუბუქებლად სასწავლო წლის ხანგრძლივობა 34-დან 38 კვირამდე გაიზარდა და სამაგიეროდ შემცირდა საათების რაოდენობა კვირის განმავლობაში, საათების წლიურ-ოდენობის შენარჩუნებით.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიზანია თავიდან იქნას აცილებული ყოველგვარი გაუგებრობა ამ საკითხში, ამიტომ ვაცხადებთ:

- მასწავლებლების შრომის ანაზღაურება, ანუ ტარიფიკაცია უნდა გაანგარიშდეს 2003-2004 სასწავლო გეგმის მიხედვით;
- 2004-2005 სასწავლო წლის საგაკვეთილო ცხრილის შედგენა უნდა მოხდეს ახალი საათობრივი ბადის მიხედვით;

შესაბამისად:

- უქმდება 1996 წლის 276-ე ბრძანება და მასწავლებელს აღარ მოეთხოვება ყოველკვირეული მინიმალური საგაკვეთილო დატვირთვა;
- ნებისმიერ მასწავლებელს, რომელსაც ახალი საგაკვეთილო ბადით უმცირდება საათობრივი დატვირთვა, ხელფასი არ შეუმცირდება;
- ახალი საგაკვეთილო ბადე არ ითვალისწინებს აუცილებელი საგნების შემცირებას;
- ახალი საგაკვეთილო ბადე ასევე არ ითვალისწინებს ფაკულტატიური საგნების შემცირებას (ესენია: საგანგებო სიტუაციების კურსი, სამოქალაქო თავდაცვა, რელიგია და კულტურა, ადამიანის უფლებები, ინტეგრირებული ხელოვნების კურსი 1-4 კლასებისთვის და ა.შ.). თითოეულმა სკოლამ თავად უნდა განსაზღვროს რომელი საგანია მისთვის უფრო მნიშვნელოვანი და საგნის შერჩევა არ უნდა მოხდეს სამინისტროს მითითებით.
- იმავდროულად წინა პუნქტი არ უნდა იქცეს საშტატო ერთეულების ხელოვნური შემცირების საფუძვლად.
- ახალი საგაკვეთილო ბადე ითვალისწინებს საათების ოდენობის ვარირებას 25%-ის ფარგლებში სკოლის შეხედულებით.
- საავტორო სკოლები უფლებამოსილნი არიან თავად შეადგინონ სასწავლო გეგმები (საგაკვეთილო საათობრივი ბადე), ახალი საგაკვეთილო ბადის კვირეული მაქსიმალური დატვირთვის აუცილებელი დაცვით.

სკოლებში, სადაც ჩამოთვლილი პრინციპები დაირღვევა, სამინისტრო მიიღებს უმკაცრეს საკადრო გადაწყვეტილებებს სკოლების ადმინისტრაციებთან დაკავშირებით, ვინაიდან მასწავლებელთა მიმართ განხორციელებული ნებისმიერი დისკრიმინაციული ქმედება განხილული იქნება, როგორც პირდაპირი საბოტაჟი განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმების მიმართ.

ასევე საბოტაჟად განიხილება საავტორო სკოლების მიმართ განხორციელებული ნებისმიერი დისკრიმინაციული ქმედება, ვინაიდან საქართველოს განათლების სისტემის რეფორმის ერთ-ერთი მთავარი მიზანი თითოეული სკოლის, როგორც თვითმყოფადი ერთეულის, ჩამოყალიბებაა.

რეფორმების პირველ შედეგებს პედაგოგიური საზოგადოება ნათლად ხედავს.

- 20 სექტემბრამდე, 12 წლის განმავლობაში პირველად, სრულად იფარება პედაგოგთა მიმართ სახელმწიფოს დავალიანება;
- ტრადიციული სახე მიიღო პირველკლასელებისთვის საჩუქრის გადაცემამ..
- ქართული ენის,საქართველოს ისტორიის და გეოგრაფიის უკეთ შესაწავლის მიზნით სამინისტრომ დააფინანსა არაქართულ რეგიონებში მასწავლებელთა მივლინება.
- მომავალი სასწავლო წლიდან კი იგეგმება პედაგოგთა ხელფასების მნიშვნელოვანი ზრდა.


## სს "თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**20 სექტემბერს, 09.00-დან 17.00-სთ-მდე:**
რუსთაველის გამზირის(ნაწილობრივ), ჯავახიშვილის, საქანელას, 8 მარტის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**21 სექტემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
ცოტნე დადიანის(ნაწილობრივ), ზესტაფონის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**21 სექტემბერს, 11.00-დან 16.00-სთ-მდე:**
ბოგდან ხმელნიცკის(ნაწილობრივ) ქუჩის მაცხოვრებლებს.

**21 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), ყაზბეგის გამზირის(ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას გამზირის(ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას I და II კვარტლების, ბუდაპეშტის, ტაშკენტის, კანდელაკის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), ამბროლაურის, ზემო ვეძისის, ვაზისუბნის, ყუშიტაშვილის, ჩიქოვანის, ასათიანის, დელისის, ბუაჩიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
თემქის III მიკრორაიონის III და V კვარტლების მაცხოვრებლებს.

**22 სექტემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), ყაზბეგის გამზირის(ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას გამზირის(ნაწილობრივ), ვაჟა-ფშაველას I კვარტლის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), ჰეიდარ აბაშიძის, ოსეთის, ლევანდოვსკის, ზემო ვეძისის, ვაზისუბნის, ლომონოსოვის, ყუშიტაშვილის, ონიაშვილის, კანდელაკის, ამბროლაურის, ასათიანის, ზაქარიაძის, ტაშკენტის, საირმის, ბუდაპეშტის, ოდესის, მგალობლიშვილის, ზოვრეთის, გელოვანის, გაგარინის, ბურძგლას, ჩერქეზიშვილის, არდაზიანის, იმედაშვილის, სახოკიას, თამარაშვილის, შევარდენიძის, მეგრელაძის, ჩიქოვანის, ანტონოვსკაიას, ცინცაძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 სექტემბერს, 10.00-დან 17.00-სთ-მდე:**
წერეთლის გამზირის(ნაწილობრივ), სამტრედიის, გუდაუთის, აგლაძის, ხოშარაულის, დიდუბის, გოგოლაურის ქუჩების მაცხოვრებლებს.

**22 სექტემბერს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფლების: კიკეთის, ბეთანიის, დიდების მაცხოვრებლებს.

## ქიაბერაშვილი პალერმოში დამშვიდებული სინდისით გაემგზავრა

*სასწავლო წლის დასაწყისის 20 დღით გადავადება თბილისის მერიას ძალზე წაადგა. დედაქალაქის ხელმძღვანელობამ ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის მომზადებაც მოასწრო და ქალაქის მთავრობის კანდიდატურების შერჩევაც. გუშინ ქალაქის მერი უკვე დამშვიდებული სინდისით გაემგზავრა თბილისის "ძმობილ" ქალაქ პალერმოში, მაფიისა და კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლო მეთოდების შესასწავლად.*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის სკოლები ახალ სასწავლო წელს მთლად ისე წელში გამართული ვერ ხვდება, როგორც საჭიროა. დედაქალქალაქის სკოლების შენობების სრულად აღდგენას 70 მილიონი ლარი მაინც სჭირდება. ქალაქის წლევანდელი ბიუჯეტიდან კი სკოლების რემონტისთვის მხოლოდ 1 200 ათასი ლარი გამოიყო. ეს თანხა განსაკუთრებულად ავარიული 60 სკოლის შეკეთებასაც არ ჰყოფნის. ახალ სასწავლო წელს გარემონტებულ-გამაგრებული მხოლოდ 12 მათგანი შეხვდა. თუმცა, რასაც ეს თანხა გაწვდა, ისე გავაკეთეთ, საკუთარი ნაღვაწის არ შეგვრცხვენოდაო, აცხადებს მერიის ხელმძღვანელობა. რამდენიმე კვირის წინათ ქიაბერაშვილმა სამი სკოლის შენობა საკუთარი თვალითაც შეამოწმა და ნანახით კმაყოფილი დარჩა. თანაც, როგორც განათლების მეურნეობის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა აცხადებს, 2004 წლის გეგმები ამით არ ამოწურულა. წლეულს ქალაქის მერიას მსოფლიო ბანკიც შეეშველება. მან რამდენიმე წლის წინათ შეპირებული ხუთმილიონიანი კრედიტი უკვე გადმორიცხა. ამ თანხას საქართველოს მხარის თანადაფინანსება, მილიონი დოლარიც დაემატება. 6 მილიონი დოლარით კი 26 სკოლა გარემონტდება.

სკოლების შენობების გარემონტების გარდა, ქალაქის მერიამ მოსწავლეთა უსაფრთხოების დასაცავად სხვა ღონისძიებებიც გაატარა. ქალაქის ქუჩებზე მოძრაობის განტვირთვის სქემა, ე.წ. "სამკუთხედი" სასწავლო წლის დაწყებამდე ორი დღით ადრე ამოქმედდა. გუშინ კი ქიაბერაშვილმა საგანგებო თათბირი ჩაატარა და თბილისის ყველა რაიონის გამგებლისა და საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელობის ანგარიშის მოსმენის შემდეგ დაასკვნა, რომ დედაქალაქი სასწავლო წლის დაწყებისთვის მზად არის. **"სკოლაში წამსვლელებს გადაადგილების პრობლემა არ ექნებათ, ყველა სკოლასთან საპატრულო პოლიცია იმორიგევებს,"** - აცხადებს ქალაქის მერი.

პალერმოში გამგზავრებამდე ქალაქის მერმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საქმე მოასწრო. ერთი თვის მანძილზე უუფროსოდ დარჩენილი საქალაქო სამსახურებისთვის კანდიდატურები, როგორც იქნა, შეარჩია და ჭორებსა და ვარაუდებსაც ბოლო მოეღო. ქონების მართვის საქალაქო სამსახურს ლევან ალაფიძე უხელმძღვანელებს, ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურს - უჩა გელაშვილი, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურს - ზაზა გოროზია, ადმინისტრაციულ ინსპექციას - ბესო ჯებაშვილი. ჯერჯერობით ისევ ვაკანტური რჩება მერის აპარატის უფროსის თანამდებობა, რომელზეც მერიის საგარეო ურთიერთობათა სამსახურის უფროსმა გივი ორდენიძემ უარი თქვა. მთავრობის აპარატის უფროსის რეალური კანდიდატურა ჯერ უცნობია.

აღსანიშნავია, რომ დასახელებული გვარებიდან ნაწილი მერის კანდიდატურაა, ნაწილი - პრემიერის. ასეთი შეთანხმებით, ქიაბერაშვილმა და ბრეგაძემ ორი კურდღლის დაჭერა სცადეს - ქალაქის მთავრობაში უკვე ორივეს ექნება დასაყრდენი (საქალაქო სამსახურების ყოფილი უფროსები პრემიერის კადრებად მიიჩნეოდა) და, თანაც, მათი დაპირისპირების შესახებ საზოგადოებაში გავრცელებულ ჭორს (თუ სიმართლეს) გააქარწყლებენ.

ასე რომ, პალერმოში გამგზავრებულ მერს უკვე შეუძლია, მაფიასთან ბრძოლის სიცილიურ მეთოდებს მშვიდად გაეცნოს. მისი ვიზიტი სიცილიის ქალაქების გამოცდილების გაზიარებას ისახავს მიზნად.

## დალოცვა და მოთხოვნა განათლების სამინისტროში

ნინო ცინცაძე

*შაბათს, 18 სექტემბერს, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შენობაში მინისტრი ალექსანდრე ლომაია, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, სახელმწიფო მინისტრი ზურაბ მელიქიშვილი, ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, მწერალი ზაალ სამადაშვილი და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ იმ მასწავლებლებს, რომლებიც დღეს არაქართულენოვანი მოსახლეობით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების სკოლებში გაემგზავრებიან, რათა იქაურ ბავშვებს ქართული ენა, საქართველოს ისტორია და საქართველოს გეოგრაფია შეასწავლონ.*




*პატრიარქმა განათლების სამინისტროს ღვთისმშობლის ხატი გადასცა.*

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, განათლების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მცხოვრებლების ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მაქსიმალური ინტეგრირებაა. განათლების სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტების მიზანია, ჩვენი ქვეყნის ყველა რეგიონის მომავალმა თაობამ საქართველოს სრულფასოვან მოქალაქედ იგრძნოს თავი და, შესაბამისად, ქვეყნის პატრიოტად გაიზარდოს. "მომავალი იწყება დღეს" - ამ ეგიდით განათლების სამინისტრომ ღია კონკურსი გამოაცხადა ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების სკოლებში ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და საქართველოს გეოგრაფიის მასწავლებელთა წლობით დაუკავებელი ვაკანსიების შესავსებად. 240 კონკურსანტიდან გასაუბრების ფორმით 33 მასწავლებელი შეირჩა. გამარჯვებულები ძირითად საათობრივ-სახელფასო ანაზღაურებასთან ერთად გრანტის სახით დაუბეგრავ 500 ლარსაც მიიღებენ.

**- ქართული ენის მასწავლებლად ვლადიმიროვკის (ნინოწმინდის რაიონი) საბაზო სკოლაში მივემგზავრები,** - ამბობს კონკურსში გამარჯვებული გელა თავაძე, **- ასეთ რეგიონებში მასწავლებლობის სამწლიანი გამოცდილება მაქვს. ადრე აზერბაიჯანულ სკოლაში ვასწავლიდი ქართულს, მაგრამ მაშინ ამ საქმის კეთება ჭირდა, რადგან სახელმწიფოებრივი მიდგომა არ არსებობდა. სადღაც ქაღალდზე კი ეწერა, რომ ასეთი რეგიონის მასწავლებლებს უნდა დაეხმარონ, მაგრამ რეალურად არავინ არაფერს აკეთებდა. ახლა სიტუაცია, მართლაც, შეიცვალა და ეს ძალიან კარგია. მთავარია, ბავშვებმა მასწავლებლის სიყვარული დაინახონ, მასწავლებლებმა კი იგრძნონ, რომ სახელმწიფო მათ გვერდით დგას და ყველაფერი კარგად იქნება".**

ცერემონიის დასრულებისას მასწავლებლები საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II დალოცა: **"თქვენ ამ ბავშვებს უნდა შეაყვაროთ ქართული ენა, საქართველო, პირველ ყოვლისა კი, თქვენი თავი, რადგან, როდესაც ბავშვს მასწავლებელი უყვარს, ის საგანსაც კარგად სწავლობს. ბავშვებმა, რომლებსაც თქვენ აღზრდით, მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო ცხოვრებაში, სახელმწიფო მართვაში. შესაძლოა, მომავალში მათ მაღალი თანამდებობები დაიკავონ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ მათ საქართველო და ქართული ენა უყვარდეთ".**

თუმცა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა თავისი გამოსვლის პირველი ნაწილი აქ დაასრულა და შემდეგ სხვა თემას - განათლების კანონპროექტს შეეხო, რომელიც, როგორც ჩანს, განათლების სამინისტროში პატრიარქის მიბრძანების მთავარი მიზეზი იყო. **- "საზოგადოებაში გავრცელდა მოსაზრება, რომ საქართველოს საპატრიარქო განათლების კანონპროექტს უჭერს მხარს... თუმცა, ჩვენთან ძალიან ბევრი ადამიანი მოდის და ამბობს, რომ ამ კანონპროექტის ტექსტი მათთვის მიუწვდომელია, ითხოვენ, რომ იგი გაზეთში დაიბეჭდოს და უფრო გამჭვირვალე გახდეს. სრულყოფილი კანონპროექტი არ არსებობს, მაგრამ, იმედი მაქვს, მის გაუმჯობესებაზე კიდევ იმუშავებენ. უნდა გავითვალისწინოთ ის შენიშვნები, რაც საზოგადოებაში არსებობს. არ არის აუცილებელი დასავლური ტრადიციების პირდაპირ გადმოტანა. ჩვენ ჩვენი ღირებულებები გვაქვს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ განათლებას საქართველოში გვერდით ამოვუდგეთ."** ამის შემდეგ საპატრიარქოს განათლების განყოფილების თავმჯდომარემ პროტოპრესვიტერმა გიორგი გამრეკელმა მინისტრ ლომაიას საპატრიარქოს მოთხოვნები გადასცა.

საგულისხმოა, რომ პატრიარქმა ეს სიტყვები სწორედ მას შემდეგ განაცხადა, რაც განათლების სამინისტროში პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი მივიდა და განათლების კანონპროექტს ცალსახად და კატეგორიულად დაუჭირა მხარი. ეს თავისთავად უცნაურია, რადგან ამ ბოლო წლების განმავლობაში საზოგადოება პატრიარქისგან პრეზიდენტისა და მთავრობის გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გამოსვლას მიჩვეული არ არის. თუმცა, საზოგადოებისთვის ისიც ნათელია, რომ განათლების სამინისტროსა და მის მინისტრს, როგორც სოროსის ფონდის ყოფილ დირექტორსა და, შესაბამისად, ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების აქტიურ დამცველს, საეკლესიო წრეების ზოგიერთი წარმომადგენლი ებრძვის.

ამ ბრძოლამ ბოლო დროს განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ რუსთაველი მღვდელი, დეკანოზი მიქაელ ჭაბაშვილი პირველი არხის ეთერით პირდაპირ იმუქრებოდა, 20 სექტემბერს ბავშვებს სკოლაში არ გავუშვებთო. ამ მუქარამ ქვემო ქართლის გამგებელი სოსო მაზმიშვილი ისე დააბნია, რომ საქმეში გასარკვევად მის ტერიტორიაზე არსებული ეპარქიების ეპისკოპოსები თავისთან მიიწვია. ამავე პერიოდში განათლების სამინისტროსა და განათლების კანონპროექტის წინააღმდეგ კანცელარიის წინ ორი მიტინგი გაიმართა. ორივე მიტინგს, ბასილ მკალავიშვილის აქციების მსგავსად, თან ხატების გამოსვენება ახლდა. ოღონდ ამჯერად, მკალავიშვილის მაგივრად, მიტინგის აქტიურ მონაწილეებს შორის ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენლების, ნოდარ ნათაძის მხარდამჭერებისა და დავით აღმაშენებელის საზოგადოების წევრების გარდა, საპატრიარქოს ოფიციალური წარმომადგენლებიც იყვნენ: მღვდელი იოსებ გოგოლაძე, დეკანოზი ალექსანდრე ბოლქვაძე და საპატრიარქოს განათლების განყოფილების თავმჯდომარე პროტოპრესვიტერი გიორგი გამრეკელი. ეს უკანასკნელი განათლების სამინისტროში პატრიარქსაც ახლდა. ოღონდ, "ვითარცა უწმინდურ ადგილას", იქ ჯვრის გარეშე იყო მისული. აქვე იყვნენ სასულიერო აკადემიის რექტორი, ახალციხის მთავარეპისკოპოსი თეოდორე ჭუაძე და სასულიერო აკადემიის პრორექტორი დეკანოზი გიორგი ზვიადაძე, რომელმაც თავის დროზე განაცხადა: სასულიერო აკადემიას განათლების სამინისტროსგან მიღებული დაფინანსება არ სჭირდება, რადგან ეს სამინისტრო ფულს სოროსისგან იღებსო. თუმცა, გიორგი ზვიადაძეს ერთი დეტალი დაავიწყდა: განათლების სამინისტრო სახელმწიფოსა და მსოფლიო ბანკისგან იღებს ფულს. სოროსისგან კი ხელფასის დანამატს განათლების მინისტრი იღებს, ისევე როგორც ყველა სხვა მინისტრი და ქვეყნის პრეზიდენტი. შესაბამისად, აკადემიის პრორექტორს ფული არც სახელმწიფოსგან უნდა უნდოდეს, თუმცა, სასულიერო აკადემია წელიწადში 2 მილიონს ბიუჯეტიდან მაინც იღებს.

პატრიარქის გამოსვლის მეორე ნაწილი იმავე საღამოს აქტიურად აიტაცა და საზოგადოებას ამცნო ტელეკომპანია "მზემ", რომელიც ლომაიას წინააღმდეგ მომზადებული სიუჟეტების რაოდენობის მიხედვით მხოლოდ ტელეკომპანია "კავკასიას" თუ ჩამოუვარდება. ამას მოჰყვა ჯონდი ბაღათურიას გააქტიურებაც, რომელიც ტელევიზიით მასობრივი გამოსვლებისა და გაფიცვების მოწყობით იმუქრებოდა. ასე რომ, საპატრიარქო, ნებსით თუ უნებლიეთ, პრეზიდენტს აშკარად გაემიჯნა და ბაღათურიას, ნათელაშვილისა და ნათაძის რიგში ჩაიყენა თავი.

## გექუთვნით უფასოდ

თბილისელი მოსახლეობის სასწრაფო სამედიცინო დახმარების მუნიციპალურ პროგრამას წლეულსაც, ტრადიციულად, სასწრაფო დახმარების ცენტრი "03" განახორციელებს. ამ პროგრამისთვის ქალაქის 2004 წლის ბიუჯეტში 2 461 ათასი ლარი დევს, რაც დედაქალაქის 1 084 087 მოქალაქეზეა გათვლილი. თუმცა, პროგრამა სამედიცინო დახმარებას ითვალიწინებს თბილისის გარეთ მცხოვრებ იმ ადამიანებზეც, ვისაც სასწრაფო დახმარება თბილისში ყოფნის დროს დასჭირდა.

მოქალაქეებს უფასო სამედიცინო დახმარება ეკუთვნით შემდეგ შემთხვევებში: ყველა ქუჩის შემთხვევა; მასობრივი უბედურების შემთხვევები; ავტოსატრანსპორტო შემთხვევები; ბავშვები 18 წლამდე; კომა და უგონო მდგომარეობა; სხეულის მძიმე დაზიანება (მოტეხილობა, დამწვრობა, ჭრილობა, ინტოქსიკაცია), რომელიც სასწრაფო ჰოსპიტალიზაციას საჭიროებს; მშობიარობა;

ამ შემთხვევების გარდა, თბილისის ნებისმიერ მოქალაქეს წელიწადში სამჯერ "03"-ის უფასოდ გამოძახების უფლება აქვს. დამატებითი გამოძახება კი უკვე ფასიანი ხდება. გამოძახების საფასური 6 ლარია.

**P.S.** თუ ვინმეს რაიმე დაბრკოლება შეხვდება სახელმწიფო თუ მუნიციპალური პროგრამებით სარგებლობისას, შეუძლია, დახმარებისთვის მიმართოს "24 საათის" რედაქციას.

## ორი სიტყვით

**ქუთაისი.** სახალხო დამცველის აპარატის იმერეთის რეგიონის რწმუნებული ქეთევან კანდელაკი მომავალ კვირას რაიონების წინასწარი დაკავების ადგილებში მონიტორინგს განახორციელებს. კანდელაკის განცხადებით, რეგიონულ წარმომადგენლობაში ბოლო პერიოდში ადამიანის უფლებათა დარღვევებზე 74 განცხადება შევიდა. დაკავებულებს ეშინიათ, აღიარონ სამართალდამცავების მხრიდან ზეწოლის ფაქტები, თუმცა განმცხადებელთა რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ ეჭვმიტანილის დაკავებისას პოლიციელები არღვევენ მათ უფლებებს და ცემის ფაქტები არ მცირდება. რწმუნებულის თქმით, დაუფინანსებლობის გამო იმერეთის რეგიონის ზოგიერთ რაიონში მონიტორინგის ჩატარება ვერ ხერხდება. იმერეთის მხარეში წინასწარი დაკავების ადგილებში განხორციელებულ მონიტორინგის შედეგი სახალხო დამცველის ცენტრალურ აპარატს გადაეგზავნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გარდაბნის რაიონში ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას დააკავეს სამხედრო ნაწილის თვითნებურად დატოვებისთვის ძებნილი, 21 წლის ვახტანგ ვარდანაშვილი. **მედია-ნიუსი**

**სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"**

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**ნარკოლოგიის განყოფილება** **ტელ: 31 73 24**

- ყველა სახის ნარკომანიის მკურნალობა;
- ალკოჰოლური აბსტინენციის მოხსნა;
- თამბაქოსაგან მყარი თავშეკავების მიღწევა;

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

HEINRICH BÖLL STIFTUNG

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**აცხადებს კონკურსს რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამისათვის**
უახლესი ისტორიის, სოციოლოგიისა და მდგრადი ქალაქგანვითარების სფეროებში

**(ახალგაზრდა ისტორიკოსების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, არქიტექტორებისა და ეკოლოგებისათვის)**

უახლესი ისტორია (1900-2000 წწ.):
- ყოველდღიურობის ისტორია
- ეთნიკური და კონფესიური კუთვნილების ტრანსფორმაცია
- ქალაქის სოციალური და კულტურული ბიოგრაფია
- პოლიტიკური რეპრესიები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში
- წინააღმდეგობა ტოტალიტარიზმთან სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1920-1950-იან წწ.
- დისიდენტობის ისტორია, ეროვნული მოძრაობები და ადამიანის უფლებები სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებში 1953 წ. შემდეგ

სოციოლოგია:
- უთანასწორობისა და დისკრიმინაციის პრობლემები
- ხელისუფლების არაფორმალური სტრუქტურები
- რელიგიის როლი თანამედროვე სახელმწიფოსა და საზოგადოებაში
- "ჩვენიანი" და "უცხო" საზოგადოებაში
- გენდერული როლების ტრანსფორმაცია თანამედროვე საზოგადოებაში

მდგრადი ქალაქგანვითარება:
- ქალაქის ეკოლოგიური და სოციალური განახლება
- ქალაქგანვითარების ნორმატიულ-სამართლებრივი და ინსტიტუციონალური სისტემის ანალიზი და წინადადებები
- ქალაქგანვითარების სფეროში გადაწყვეტილებების მიღებისას საზოგადოების მონაწილეობის ფორმები
- საშუალო და მცირე ქალაქების პრობლემები და პოტენციალი
- არქიტექტურა და ხელისუფლება
- ურბანული ტოპოგრაფია

**ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი დამოუკიდებელი პოლიტიკური ფონდია, რომელიც თანამშრომლობს გერმანიის მწვანეთა პარტიასთან. ფონდი ხელს უწყობს პროექტებს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების სფეროში, განსაკუთრებით კი გენდერული პოლიტიკისა და ქალთა უფლებების, აგრეთვე ეკოლოგიის სფეროში.**

**რეგიონალური სასტიპენდიო პროგრამის მიზანი**
სასტიპენდიო პროგრამა გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისათვის უშუალოდ სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროგრამის მიზანია:
- ხელი შეუწყოს ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მათ სოციალურ მეცნიერებათა განახლების საშუალებით რეგიონალური თანამშრომლობის ფარგლებში ჩაატარონ ინდივიდუალური, ინტერდისციპლინარული მეცნიერული კვლევა სამხრეთ კავკასიაში;
- ხელი შეუწყოს სამხრეთ კავკასიაში მაღალკვალიფიციური პროფესიონალების ქსელის შექმნას.

**კონკურსის პირობები**
რეგიონალური საკვლევი სტიპენდიის მისაღებად განაცხადის შემოტანა შეუძლიათ 1969-1982 წლებში დაბადებულებს, რომლებსაც გააჩნიათ უმაღლესი განათლება და რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. სავალდებულოა ორი უცხო ენის (დასავლეთევროპული და რუსული) კარგად ცოდნა. ყურადღება მიექცევა მეთოდოლოგიურად ინოვაციურ ნაშრომებს, რომლებიც ითვალისწინებენ კვლევის ხარისხობრივ მეთოდებსა და კომპარატივისტიკას.

**ხანგრძლივობა და მოცულობა**
სტიპენდიის ხანგრძლივობა განისაზღვრება 12 თვით - 1.01.2005 - 31.12.2005. სტიპენდიის მოცულობა შეადგენს თვიურად 200 ევროს. დამატებით გათვალისწინებულია თანამდევი პროგრამა სემინარების, საზაფხულო სკოლის, პუბლიკაციებისა და ა. შ. სახით.

**ზოგადი მითითებები**
- სტიპენდია წარმოადგენს ინდივიდუალურ დახმარებას და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებს გარეთა პროექტების დასაფინანსებლად.
- კონკურსანტისთვის არ არის სავალდებულო, იყოს მაძიებელი ან სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელი.
- სურვილის შემთხვევაში ფონდი სტიპენდიანტს დააკავშირებს მეცნიერ-კონსულტანტებთან.
- ჰაინრიჰ ბიოლის ფონდი ხელმძღვანელობს სქესთა თანასწორობის პრინციპით.
- საკონკურსო ანკეტები შეგიძლიათ იხილოთ რეგიონალური ბიუროს ვებ-გვერდზე: www.boell.ge
- საკონკურსო განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა ა.წ. 31 ოქტომბერი.

**საჭირო საბუთები**
1. თავფურცელი შემდეგი ცალკეული მონაცემებით: სახელი და გვარი; დაბადების წელი; ქვეყანა; სფერო (ისტორია/ სოციოლოგია/ ურბანისტიკა); საკონკურსო თემა; ნაშრომის სათაური
2. განაცხადის ანკეტა (იხ. www.boell.ge)
3. ტაბელარული ავტობიოგრაფია (CV)
4. ესსე (3-5 გვერდი მოცულობით), რომელიც უნდა შეიცავდეს პროფესიულ და პირადულ მოტივაციას (რატომ მაინტერესებს ეს თემა/ რა ვიცი თემის შესახებ/ რა მეთოდებით ვაპირებ თემაზე მუშაობას/ წლიური სამუშაო გეგმა)
5. 2 რეკომენდაცია მეცნიერის ან იმ ორგანიზაციის ხელმძღვანელისაგან, რომელშიც გიმუშავიათ (რა კონკრეტულ გამოცდილებას ან სამეცნიერო ნაშრომს ეფუძნება რეკომენდატორი)
6. უმაღლესი განათლების (ბაკალავრის, მაგისტრის ან 5-წლიანი სწავლების) დიპლომი ნიშნებით
7. (თუკი არსებობს) სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი და შეძლებისდაგვარად მათი ასლები 20 გვერდამდე

**ზემოთაღნიშნული საბუთები (სამეცნიერო ნაშრომების ასლების გარდა) წარმოდგენილ უნდა იქნეს რუსულ ენაზე. განაცხადის არასრული კომპლექტი არ განიხილება. სავალდებულოა სისტემური შრიფტების გამოყენება.**

**საკონკურსო განაცხადი გამოაგზავნეთ ან ჩააბარეთ შემდეგ მისამართზე:**
**ჰ. ბიოლის ფონდის სამხრეთ კავკასიის რეგიონალური ბიურო**
**რადიანის ქ. 5, 0179 თბილისი , info@boell.ge**

# საადვოკატო ტესტირების საბოლოო შედეგები რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი

*მესამე დღეა, რაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში საადვოკატო ტესტირების ციებ-ცხელება მიმდინარეობს. ადვოკატობის მსურველი 2800 იურისტი, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ გამოცდას, იმ 800 სერტიფიცირებულ ადვოკატთა რიგებს შეუერთდებიან, რომლებმაც საადვოკატო ტესტირება ჯერ კიდევ გასულ წელს, ტესტირების პირველ ეტაპზე გაიარეს.*

ამჟამად მიმდინარე საადვოკატო გამოცდების მეორე ეტაპი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ორგანიზებითა და ამერიკის განვითარების სააგენტოს და ამერიკის იურისტთა ასოციაციის დაფინანსებით ტარდება. ამის შემდეგ ადვოკატები საკუთარი კოლეგების ბედს თავად გადაწყვეტენ. კანონმდებლობის თანახმად, 2005 წლის 1 იანვრიდან სერტიფიცირებული ადვოკატები "ადვოკატთა ასოციაციას" შექმნიან და საადვოკატო გამოცდებზე ზრუნვაც მათ დაევალებათ.

მესამე დღეა, ადვოკატობის მსურველები წინასწარ ცნობილი ტესტებიდან გამოცდაზე 100 ტესტს პასუხობენ. ტესტირება მიმდინარეობს ცალ-ცალკე - სამოქალაქო, ადმინისტრაციულ, სისხლისა და საერთო სამართალში. ტესტებზე პასუხის გასაცემად ადვოკატობის მსურველებს ვადა - ექვსი საათი აქვთ. 75 ქულის დაგროვების შემთხვევაში, გამოცდაგავლილები ადვოკატობის შესაბამის სერტიფიკატს მიიღებენ.



ვახო ბესელიას ფოტო

*იუსტიციის საბჭოს მდივანი მიმდინარე ტესტირებისას "ჩაწყობის" მექანიზმს გამორიცხავს.*

გამოცდაზე დამკვირვებლებად მიწვეულნი არიან საერთაშორისო ორგანიზაციებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

როგორც იუსტიციის უმაღლეს საბჭოში აცხადებენ, ტესტები გამოცდების დაწყებამდე კომპიუტერით შეირჩა. ამდენად, მიმდინარე გამოცდებზე ჩაწყობის მექანიზმის ამოქმედებას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი პალიკო კუბლაშვილი კატეგორიულად გამორიცხავს.

**"ტესტირება გამჭვირვალედ მიმდინარეობს. მომზადებული და კვალიფიცირებული იურისტებისთვის ეს გამოცდა-ტესტირება არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს",** - აცდებს იუსტიციის საბჭოს მდივანი.

**"ამ ორ დღეში ტესტირებაში მონაწილეობა 1200-მდე იურისტმა უკვე მიიღო. ჩაჭრილების ვინაობა არ დასახელდება. მათ, ვინც ამ გამოცდებს ვერ ჩააბარებს, საშუალება ექნებათ, შემდგომში გაიარონ ტესტირება",** - განგვიცხადეს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში.

ჩვენი ინფორმაციით, ორ დღეში უცხოელმა დამკვირვებლებმა 12 იურისტი დაითხოვეს, ანუ გააძევეს დარბაზიდან. ამის მიზეზად იუსტიციის საბჭოში გამოცდის მსვლელობისას იურისტებს შორის გამართული ჩუმი საუბრები, ტესტებზე გაცემული პასუხების ერთმანეთისგან გადაწერა და "შპარგალკების" გამოყენება სახელდება.

რაც შეეხება გამოცდაში მონაწილე იურისტების განწყობას - ზოგი მათგანის აზრით, ტესტები საკმაოდ მარტივია, ზოგიერთი გამოცდაგავლილი კი აცხადებს, რომ ტესტებისთვის პასუხის გასაცემი ვადა - ექვსი საათი - არასაკმარისია და საკითხებიც რთულია.

ერთი სიტყვით, ადვოკატობის მსურველი 2800 იურისტიდან რამდენი მოიპოვებს ადვოკატის სერთიფიკატს, ოთხ დღეში, ტესტირების დასრულებისთანავე გახდება ცნობილი.

*24 საათი*

# კახეთში კიდევ ერთი გამგებელი დააკავეს

*კახელ ძალოვნებს საქმე არ ელევათ. ამჯერად მათი სამიზნე კიდევ ერთი სოფლის თავკაცი ხდება. გუშინ გურჯაანის პროკურატურამ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით დააკავა სოფელ ჭანდარის გამგებელი თემურ ჯაფარიძე. გამოძიების მტკიცებით, გამგებელმა სოფლის კუთვნილი სარწყავი სისტემა ქონების სამინისტროსთან შეუთანხმებლად ამოიღო და რეალიზება გაუკეთა. პროკურატურა დაკავებულს სწორედ სახელმწიფოს კუთვნილი გაყიდული ქონების საფასურს - 106 ათას ლარს ედავება.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

თემურ ჯაფარიძემ სამართალდამცველებისგან გაფრთხილება ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ მიიღო, თუმცა, როგორც გამოძიება აცხადებს, იგი ნათქვამს არაფრად აგდებდა და სახელმწიფოს კუთვნილ თანხას, როგორც უკვე გამოაშკარავდა, ჯიბეში იდებდა.

თემურ ჯაფარიძემ სოფლის კუთვნილი ასობით მეტრი სარწყავი სისტემა, რომელიც მდინარე "ალაზნის" მიმდებარე ტერიტორიაზე იყო განთავსებული, სწორედ ერთი წლის წინ ამოიღო და რეალიზება გაუკეთა. ეს საკითხი სასამართლოს განხილვის საგანი რამდენიმე თვის წინ გახდა.

**"ჩვენ არავის დაჭერის სურვილი არ გვაქვს, ჯაფარიძეს არაერთხელ მივეცით გაფრთხილება, რომ რეალიზებული სარწყავი სისტემიდან ამოღებული თანხის 30 პროცენტი მაინც ბიუჯეტში შეეტანა, მაგრამ მან ეს არ ისურვა, "**- აცხდებს გურჯაანის პროკურორი ლექსო ფერიაშვილი.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი შემთხვევა არ არის, როცა კახეთში ანალოგიური ბრალდებებით აკავებენ სოფლის თავკაცებს. "ვარდების რევოლუცის" შემდეგ ჯაფარიძე უკვე მესამეა, რომლის მიმართაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მიუხედავად ჩადენილი დანაშაულისა, სოფლის თავკაცები ბრალდებებს უარყოფენ და თავის გასამართლებლად ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანული კანონის 35 მუხლის პირველ პუნქტს იშველიებენ, სადაც წერია, რომ ქონება, რომლის რეალიზებასაც საკრებულო ახდენს, მათი საკუთრებაა. ამავე მუხლის მეხუთე პუნქტი კი მათ ავიწყდებათ. იქ შავით თეთრზეა მინიშნებული, რომ თვითმმართველი ერთეულებისთვის გადაცემული ქონების მიმართ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებებით, რომელიც გამოძიებას არც ერთმა დაკავებულმა გამგებელმა არ წარუდგინა.

**"აქ მთავარი ის იყო, რომ არც ჯაფარიძეს და არც სხვა გამგებლებს ქონების მართვის სამინისტროდან მილების ამოღების შესახებ დოკუმენტაცია არ ჰქონდათ. კოროზირებული რომ იყო ეს სისტემა, სწორედ ამ გამგეობას უნდა შეეფასებინა",** - ამბობს გურჯაანის პროკურორი.

თემურ ჯაფარიძეს აღმკვეთ ღონისძიებად წინასწარი სამთვიანი პატიმრობა უკვე შეეფარდა. დაკავებული გამგებელი დუმილის უფლებას იყენებს და კომენტარს არ აკეთებს. **"მაშინ ვიტყვი ყველაფერს, როცა გამოძიება დასრულდება",** - ასეთი განცხადება გააკეთა მან "24 საათთან" საუბრისას.

ამ დროისთვის სასამართლო კახეთის რეგიონის კიდევ ოთხი სოფლის გამგებლის საქმეს იხი-

# კოკოითის სეპარატისტული ხელისუფლება ბანდფორმირებებს ველარ აკონტროლებს

პირველი გვერდიდან

როგორც ცნობილია, გუშინწინ, გვიან ღამით, შეიარაღებულმა ოსებმა ქართული სოფლების მცხოვრებლები გაიტაცეს იმ დროს, როცა ისინი ტყეში შეშის საჭრელად მიდიოდნენ. არსებული ინფორმაციით, ოსი სეპარატისტების დაჯგუფებამ გაიტაცა 16 მამაკაცი, მათგან რვა მძევალმა გაქცევა მოახერხა.

მომხდარი ფაქტისთანავე შიდა ქართლის პოლიციის უფროსი ალეკო სუხიტაშვილი ესაუბრა სეპარატისტული მთავრობის წარმომადგენლებს და ძალოვანი უწყებების პირველ პირებს. მან ოსურ მხარეს მძევლების უმოკლეს ვადაში გათავისუფლება კატეგორიულად მოსთხოვა; წინააღმდეგ შემთხვევაში, საგანგებო ღონისძიებების გატარებით დაემუქრა.

ყოფილი მძევლები აცხადებენ, რომ გამტაცებლები კარგად იყვნენ შეიარაღებულნი თითქმის ყველა ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით, ხოლო სახე დაფარული ჰქონდათ ნიღბებით, ისინი საუბრობდნენ რუსულ და ოსურ ენებზე. გამტაცებლებმა, ხალხის გარდა, ხუთი სატვირთო ავტომანქანაც გაიტაცეს.

მომხდარი გატაცების გაგრძელება გახლდათ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში გუშინ, მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარე სროლები. სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული მთავრობისა და ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა ცეცხლი ცხინვალის მიმდებარე ტერიტორიიდან, ე.წ. ტექსტილის დასახლებიდან გახსნეს, დიდი ლიახვის ხეობის მიმართულებით. ოს სეპარატისტთა მიერ ნასროლი ერთ-ერთი ნაღმი სოფელ თამარაშენში მდებარე ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმს მოხვდა და შენობა სერიოზულად დააზიანა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის ალეკო სუხიტაშვილის განცხადებით, ბოლო დღეებში მომხდარ ფაქტებთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ორი ვერსია გააჩნია. **"პირველი - ეს არის სეპარატისტული მთავრობის მხრიდან პროვოკაციის მიზნით განხორციელებული სროლები, ხოლო, მეორე მხრივ, შესაძლოა, დე ფაქტო ხელისუფლება ველარ აკონტროლებს შეიარაღებულ ბანდფორმირებებს, რომლებიც ცეცხლს ხსნიან დიდი ლიახვის ხეობის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართულებით,"** - აცხადებს ალეკო სუხიტაშვილი.

*24 საათი*



## ადმინისტრაციული ასისტენტი

BP-ს საოპერაციო მიზნებისათვის და BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ, IRA, Ltd ეძებს შესაფერის კვალიფიცირებულ პიროვნებას ადმინისტრაციული ასისტენტის თანამდებობაზე. ადმინისტრაციული ასისტენტი იქნება მესამე მხარის კონტრაქტორი BP WREP საოპერაციო განყოფილებისათვის, რომელიც იმუშავებს BP-ს მენეჯმენტის ზედამხედველობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**
ადმინისტრაციული ასისტენტის პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს:
- ადმინისტრაციული და სამდივნო თანაშემწეობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის.
- მთარგმნელობითი/სათარჯიმნო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკოორდინაციო საქმიანობის წარმოება.

**როლი და პასუხისმგებლობა:**
განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მოიცავს შემდეგს, მაგრამ არ შემოიფარგლება ამით:
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და საოპერაციო განყოფილებისათვის შეხვედრებისა და სხვა საქმიანობის დაგეგმვა, მოწყობა და კოორდინირება.
- თარჯიმნობის გაწევა მილსადენის სუპერინტენდენტისა, საოპერაციო განყფილებისა და სხვა აღმასრულებელი თანამშრომლებისათვის საქართველოს მინისტრებსა და სხვა სამთავრობო პირებთან, სსმკ-ს თანამშრომლებთან და სხვ. შეხვედრებისას.
- განყოფილების კორესპონდენციის, მათ შორის სსმკ-სა და სხვა ქართულ ორგანიზაციებთან შეხვედრების ოქმებისა და BP-ს მნიშვნელოვანი და კონფიდენციალური დოკუმენტების თარგმნა.
- მილსადენის ოპერაციების განყოფილების პერსონალის ყოველდღიური ადგილმდებარეობისა და შვებულებების განაწილების სისტემის შემუშავება და წარმოება.
- მილსადენის სუპერინტენდენტისა და ოპერაციების განყოფილებისათვის ადმინისტრაციული თანაშემწეობის გაწევა ისე, რომ ეფექტურად იწარმოებოდეს საოფისე საქმიანობა, მათ შორის სატელეფონო სქრინინგი, კორესპონდენციისა და დოკუმენტაციის მომზადება, საარქივო სისტემის წარმოება და ა.შ.
- HSE ჩანაწერებთან, საპროცესო შეფერხებებსა და უსაფრთხოების საქმიანობასთან დაკავშირებული მონაცემთა ბაზებისა და ჩანაწერთა სისტემების წარმოება, მათ შორის შესაბამისი ყოველკვირეული და ყოველთვიური ანგარიშების მომზადება და გამოქვეყნება.

**გამოცდილება და განათლება:**
კანდიდატს უნდა გააჩნდეს:
- საუნივერსიტეტო განათლება ენებში, სპეციალიზაციით ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებში;
- ინგლისური და რუსული ენების სრულყოფილი ცოდნა;
- ადმინისტრაციულ და მთარგმნელობით/სათარჯიმნო დარგში მინიმუმ 5 წლის გამოცდილება კერძო და სახელმწიფო სტრუქტურების ყველა დონეზე;
- კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word) კარგი ცოდნა;
- წარმოდგენა სამთავრობო და სახელმწიფო საქმეთა მართვის შესახებ სასურველია.

**როგორ შევიტანოთ განაცხადი / დამატებითი ინფორმაცია**
თუკი თვლით, რომ თქვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს, წარადგინეთ თქვენი CV და შეავსეთ სათანადო განაცხადის ფორმა, რომელიც შეგიძლიათ მოიპოვოთ ქვემოთ მითითებულ მისამართზე.

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა **ხუთშაბათი, 23 სექტემბერი, 2004.**

განხილულ იქნება ყველა მიღებული განაცხადი, მაგრამ ეს არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატს მოვიწვევთ გასაუბრებაზე და/ან შევთავაზებთ სამუშაოს.

**ადამიანთა რესურსების განყოფილება**
BP Exploration (კასპიის ზღვა) Ltd., საქართველო
ალმაშენებლის გამზირი, 123ა, თბილისი, საქართველო


## მოკლედ

### ახალციხელი ნაციონალების ლიდერი წინასწარი დაკავების იზოლატორშია

გუშინწინ, ღამით, ახალციხეში, რესტორან "ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე "ნაციონალური მოძრაობის" ადგილობრივი ორგანიზაციის ლიდერმა გოჩა კურტანიძემ ურთიერთშელაპარაკების შემდეგ "მაკაროვის" სისტემის პისტოლეტიდან გაისროლა და ახალციხელ ბიზნესმენს ჭიჭიკო გელაშვილს სახის არეში გამავალი ჭრილობა მიაყენა.

შოკში მყოფი გელაშვილი სასწრაფოდ გადაიყვანეს ახალციხის რაიონულ საავადმყოფოში. ექიმების განცხადებით, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა კრიტიკულია და ყველაფერი კეთდება, რათა პაციენტს სიცოცხლე შეუნარჩუნონ. გავრცელებული ინფორმაციით, გოჩა კურტანიძე შემთხვევის ადგილზე მისულმა პოლიციამ ანგარიშსწორების თავიდან აცილების მიზნით ქალაქიდან გაიყვანა. როგორც ახალციხის პროკურორი ალეკო მაისურაძე აცხადებს, კურტანიძე დროებითი დაკავების იზოლატორშია მოთავსებული. პროკურორი მის ზუსტ ადგილსამყოფელს არ აკონკრეტებს. ამჟამად ახალციხის რაიონულ პროკურატურაში კურტანიძის მიმართ სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით არის აღძრული, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. **ინტერ-პრესი**

### სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფაში იუსტიციის საბჭო ჩაერთვება

საერთო სასამართლოების დეპარტამენტი, რომელსაც სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ევალება, უზენაესი სასამართლოს დაქვემდებარებიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაქვემდებარებაში გადავიდა. "საერთო სასამართლოების შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილებების თანახმად, სასამართლოთა მატერიალურ-ტექნიკურ უზრუნველყოფას დეპარტამენტი იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან ერთად განახორციელებს.

ამავე დეპარტამენტს ეხება მოსამართლეთა საშტატო ერთეულების დადგენა, სასამართლოს თანამშრომელთა პრემირება და სხვა საკითხები. დეპარტამენტი მსოფლიო ბანკის სასამართლო რეფორმის ფარგლებში 1999 წელს შეიქმნა და ხელმძღვანელობდა სასამართლო რეფორმის განხორციელებას, რაც სამოდელო სასამართლოების მშენებლობასა და სისტემის კომპიუტერიზაციაში გამოიხატა. საერთო სასამართლოების დეპარტამენტს მისი თავმჯდომარის მერაბ ახობაძის დაკავების შემდეგ თავმჯდომარის მოადგილე მამუკა გელოვანი ხელმძღვანელობს, რომელსაც ამ თანამდებობაზე, სავარაუდოდ, მოსამართლეთა კონფერენციაზე დაამტკიცებენ. **მედია-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**ზუგდიდი.** ზუგდიდში მოქმედი დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთ ავტორიტეტს თორნიკე კვარაცხელიას ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღმკვეთი ღონისძიების სახით სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. როგორც სააგენტო სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსი მერაბ ბალათურია აცხადებს, კვარაცხელიას ბრალად ედება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარება და ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 35 წლის მ.მ. და 38 წლის ნ.დ., რომლებმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ტყიბულის ზონის მცხოვრებ გოჩა გოგელაშვილს და გასტაცეს 132 ლარი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ქუთაისის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზესტაფონის რაიონში ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას სამართალდამცავებმა დააკავეს განსაკუთრებით საშიში რეციდივისტი, ქურდობისთვის ძებნილი, 34 წლის ვალერი ოდიკაძე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს წალენჯიხის რაიონის სოფელ მიქავაში მცხოვრები, 29 წლის თ.კ., რომლისგანაც ამოიღეს უნომრო პისტოლეტი "ბრაუნინგი" მჭიდითა და 10 ვაზნით, 0.04 გრამი მეტადონი და ხელყუმბარა "ფ-1". საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის სამხარეო სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას წალკის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის ძებნილი, 23 წლის კახა ალთუნაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ღონისძიება "ხაფანგი-2004"-ის მე-2 ეტაპის გატარებისას გლდანი-ნაძალადევის რაიონში დააკავეს ქურდობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის ძებნილი, 21 წლის რობერტ ასტაშკინი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს თბილისის გლდანის მე-8 მიკრორაიონის პირველ კორპუსში მცხოვრები, 20 წლის ლევან კვენიაშვილი, რომელმაც იმავე კორპუსთან დანით ზურგში დაჭრა მე-7 მიკრორაიონში მდებარე საბავშვო ბაღში მცხოვრები, 20 წლის ბ.ტ. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის გლდანი-ნაძალადევის სამსახური. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ფოთში მცხოვრები, 27 წლის ე.ჯ. და დაადგინეს მისი მეზობლის, 20 წლის ბ.შ.-ს ვინაობა, რომლებმაც ლანჩხუთის რაიონის სოფელ ახალსოფელში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მიკროავტობუსის მძღოლს, თბილისელ 19 წლის გ.ა.-ს და მის მგზავრს, 45 წლის გ.ჯ. და გასტაცეს მობილური ტელეფონი და ხელჩანთა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ლანჩხუთის ქვეგანყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**მოსკოვი.** მოსკოვის მეტროში მოზარდთა ჯგუფმა (ე. წ. სკინჰედებმა) სამი კავკასიელი სასტიკად სცემეს. 18 სექტემბერს, საღამოს 12 საათზე, დანებით შეიარაღებული მოზარდები მეტროსადგურ "აეროპორტის" ვაგონში შევარდნენ და თავს დაესხნენ სამ კავკასიელს. ჩხუბის შედეგად სამივე მათგანი დაიჭრა. სადგურ "დინამოზე" ბოროტმოქმედები მიიმალნენ. დაჭრილები კი საავადმყოფოში გადაიყვანეს. სამართალდამცავები თავდამსხმელთა ვინაობას არკვევენ. მიმდინარეობს მოკვლევა მათ დასაკავებლად. **მედია-ნიუსი**

# თავისუფლება

ლექსი დავით მაღრაძის

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი
წილნაყარია ღმერთთანა.

თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.

დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება!




გამოხმაურება

# პრორექტორების, ფიზიკოსების და სხვა ნაპირების გეოგრაფიის შესახებ

გიგი თევზაძე

გაზეთ "24 საათის" 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა სამი ფიზიკოსის, ოთხი პროფესორის და ორი პრორექტორის წერილები, რომელიც განათლების და მეცნიერების სამინისტროში მომზადებულ კანონპროექტს ეხება. როგორც ცნობილი საბავშვო ამოცანის პირობაშია, ეს ცხრა სუბიექტი სინამდვილეში ოთხია: ანზორ ხელაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, გიგა გაბადაძე და გია დვალი - ნიუ იორკის უნივერსტეტის პროფესორები, ბელა გომელაური - რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის პრორექტორი, პროფესორი.

წერილებში ბევრი შეცდომა და გაუაზრებელი მსჯელობაა. მაგრამ ამის შესახებ შემდეგ. უპირველეს ყოვლისა, მინდა მადლობა გადავუხადო ქალბატონ ბელას მისი რიგით მეორე შენიშვნის ნაწილისათვის, რომლის მიხედვითაც კანონპროექტი სახელმწიფო დაფინანსების მიღების მხრივ განსხვავებულ პირობებში აყენებს სახელმწიფო და კერძო უმაღლეს სასწავლებლებს. ეს შენიშვნა მთლიანად მისაღებია და შეესაბამება იმ ღირებულებით სისტემას, რომელსაც ეყრდნობა კანონი.

რაც შეეხება ქ-ნი ბელას სხვა შენიშვნებს, სამწუხაროდ უნდა აღვნიშნო, რომ ისინი საქართველოს კანონმდებლობის ნაკლები ცოდნითაა დაწერილი: შენიშვნებს ფონად გასდევს მოთხოვნა, სახელმწიფო სასწავლებლებსაც მივცეთ ლიცენზია, და ის, რომ საკრედიტაციო სამსახური დამოუკიდებელი უნდა იყოს სახელმწიფოსაგან. არადა, 1. საქართველოს კანონმდებლობით ლიცენზირებას მხოლოდ კერძო სამართლის სამეწარმეო სუბიექტის საქმიანობა ექვემდებარება; 2. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით მხოლოდ საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას განეკუთვნება საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების აკრედიტაცია (საქართველოს კონსტიტუცია, ზოგადი დებულებები, მუხლი 3.ო); ის, რაც კანონპროექტშია მოცემული, როგორც ლიცენზირების, ასევე აკრედიტაციის შესახებ, არის ის მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც არსებულ საკანონმდებლო ჩარჩოებში შეიძლება: კანონპროექტის მიხედვით, საკრედიტაციო სამსახური დამოუკიდებელია დასკვნის მომზადებაში, ხოლო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მხოლოდ კანონით დაფუძნების მოთხოვნა სწორედ სახელმწიფო სასწავლებლების გამრავლების შეზღუდვისკენაა მიმართული.

სამწუხაროდ, ნათელი წერტილები დანარჩენ წერილებში არ გვხვდება. მე იმაშიც კი შემეპარა ეჭვი, რომ დვალი და გაბადაძე ამ წერილის ავტორები არიან, და არა უბრალოდ ხელის მომწერები. მათი მიმართვა პარლამენტისადმი სავსეა ფრაზებით, რომელსაც დღეს პარლამენტშიც კი ძნელად თუ მოისმენ: მაგალითად: "სამწუხაროდ ეს სიახლეები ზედაპირულად არის გაშუქებული კანონპროექტში", "შემოთავაზებული საკითხებიც შემდგომ დამუშავებას მოითხოვს". მე ეჭვი მეპარება, რომ ადამიანი, რომლის პროფესიულ კრედოს სიზუსტე და განსაზღვრულობა უნდა წარმოადგენდეს, მსგავს ფრაზებს სიხარულით ეთანხმებოდეს. ფიზიკოსების ორივე წერილი (ხელაშვილის წერილი და დვალი-გაბადაძის მიმართვა) ძირითადათ ერთ საკითხს ეხება - ეს არის 65 წლის მეცნიერისათვის ადმინისტრაციული დ აკადემიური თანამდებობების დაკავების აკრძალვა. ჯერ მინდა განვმარტო, რას ამბობს კანონპროექტი სიმანდვილეში: კანონპროექტის მიხედვით, 65 წელს მიღწეული პროფესორი ავტომატურად ხდება ემერიტუსი. ეს კი ნიშნავს, რომ მას უნარჩუნდება მთლიანი ანაზღაურება, ასევე ლექციების კითხვის და სტუდენტებთან მუშაობის უფლება. არავინ უკრძალავს ბიბლიოთეკაში სიარულს და ლაბორატორიების გამოყენებას. მას არავინ არსად არ აგდებს. ერთადერთი, რაც მას ეკრძალება, არის აკადემიური და ადმინისტრაციული თანმდებობის დაკავება და თავის უნივერისტეტში წაკითხულ ლექციებში ანაზღაურების აღება. მე არა მგონია, აქ ვინმემ დაინახოს დისკრიმინაცია, გარდა იმ ხალხისა, ვისაც საკუთარი თავი მხოლოდ თანამდებობრივი აურის თანხლებით წარმოუდგენია. მეტიც, კანონპროექტის მიხედვით ემერიტუსი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ ის, ვისაც ახლა ჰქვია პროფესორი, არამედ დოცენტიც: კანონპროექტს საქართველოში შემოაქვს განათლების სამსაფეხურიანი სისტემა, სადაც უკანასკნელი საფეხური ფილოსოფიის დოქტორია (Ph.D). ყველა მეცნიერებათა დოქტორი ავტომატურად, ხოლო მეცნიერებათა კანდიდატი გარკვეული პირობებით, რომელთა დაკმაყოფილება აქტიურ მეცნიერს არ გაუჭირდება, ხდება ფილოსოფიის დოქტორის ხარისხის მფლობელი. შემდეგ უკვე უმაღლეს საწავლებელზე იქნება დამოკიდებული, რა თანამდებობა ექნება დოქტორს ემერიტუსის ასაკის მიღწევისას - პროფესორის თუ ასოცირებული პროფესორის. გარდა ამისა, წერილების ავტორებმა ისიც უნდა იცოდნენ, რომ კანონის ამოქმედება არ ნიშნავს მომენტალურ გადასვლას ახალ რეალობაში. ამ გადასვლას საქართველოში 4-5 წელი მაინც დასჭირდება, რასაც კანონპროექტი არ კრძალავს.

თუმცა, მეორე მხრივ, ხელაშვილის წერილი სწორედ ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ ხშირად დიდი გამოცდილების მქონე ადმიანები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას ასაკით უმცროსების აზრებს. მე არ მინდა იაფფასიან ფრაზებს მოვუხმო, და ვთქვა, რომ ის საგანმანათლებლო სისტემა, სადაც ღვაწლმოსილმა ფიზიკოსებმა უფრო ცუდად იციან მეოცე საუკუნის ფიზიკის ისტორია, ვიდრე რიგითმა ჟურნალისტებმა, ძირფესვიანად შესაცვლელია. არამც და არამც. თანშობილი ცოდნით არავინ იბადება, თუმცა ბევრს ასე ჰგონია, და ინფორმაციის საძიებელი უამრავი სისტემაც იმიტომ არსებობს, რომ გამოიყენო. ის, რომ ხელაშვილმა ვერ გაიხსენა, რომ მეოცე საუკუნეში ორი ვოლფგანგ პაული არსებობდა და ორივეს ნობელის პრემია მიანიჭეს, არაფერს ნიშნავს. სავალალო და მისი ადმინისტრაციული უნარების მოჩლუნგებას მიუთითებს ის, რომ მან არ ჩათვალა საჭიროდ, გადაემოწმებინა ახალგაზრდა ჟურნალისტის მოწოდებული ინფორმაცია და მხოლოდ თავის მეხსიერებას და თვითშეფასებას დაეყრდნო. მე არაფერი მაძლევს იმის საფუძველს, რომ არ ვივარაუდო მსგავსი ვითარება მაშინ, როდესაც ხელაშვილს, როგორც კათედრის გამგეს ან როგორც პრორექტორს, ახალგაზრდა კოლეგის, ან მისი ნაშრომის ბედის გადაწყვეტა მოუწევს.

დვალი-გაბადაძის წერილში მსგავსი ადგილები არ არის, თუმცა არის რამდენიმე ადგილი, სადაც ჩანს, რომ ორივე ნიუ-იორკელი ფიზიკოსი კანონპროექტს მეტ დატვირთვას აძლევს, ვიდრე მას შეიძლება ჰქონდეს: მაგალითად, მოთხოვნა, რომ კანონში ჩავწეროთ მუხლი, რომლის მიხედვითაც პროფესორობის წოდების კანდიდატს 20-30 შრომა უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული საერთაშორისოდ აღიარებულ, რეფერირებად ჟურნალებში. ეს აშკარად უნივერსიტეტის და ფაკულტეტის წესდების საქმეა, და კანონი ვერანაირად ვერ განსაზღვრავს ამ სფეროს, მით უმეტეს, რომ ჩარჩო კანონის პრინციპი ასეთ მკაცრ რეგლამენტირებას სახელმწიფოს მხრიდან გამორიცხავს. ასეთი რამ იყო, და ყველაზე ცხად მაგალითად საბჭოთა კავშირის კანონმდებლობა მახსენდება, ასევე, ჩვენი კანონების კორპუსიც, რომელიც ბოლო დრომდე სსრკ-ს კანონმდებლობას წარმატებით ბაძავდა. თუ ვის და როგორ მიანიჭოს პროფესორობა, ეს კონკრეტული უნივერსიტეტის საქმეა. ახალი კანონპროექტის მიხედვით სახელმწიფოს მხრიდან არსებული უმაღლესი სასწავლებლის შემოწმების იარაღი მხოლოდ აკრედიტაციაა, და არა იმის ჩხრეკა, სწორედ მიანიჭა თუ არა ამა თუ იმ სასწავლებელმა ვინმეს პროფესორობა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში რეფერირებადი ჟურნალების რაოდენობის თვლა.

გაბადაძე-დვალის წერილში ბევრი საკამათოა, თუმცა მხოლოდ ერთ პუნქტს შევეხები: საეჭვოა იმის მტკიცება, რომ უმაღლესი სასწავლებლების მისია ბოლო 15 წელიწადში დაგროვილი ცოდნის შენარჩუნება იყო: მე არ ვიცი, რა იყო სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების მისია, ეს მათ არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ის, რომ ბოლო 15 წლის განმავლობაში კორუფციის ხარისხი უზომოდ გაიზარდა და ამის საფუძველი სწორედ სწავლების ხარისხის ვარდნა იყო, ცხადია. ასევე, ცხადია ის, რომ კორუფციის ზრდაში სწორედ ის ადმინისტრაციული და აკადემიური თანამდებობის პირები მონაწილეობდნენ, რომელთა დაცვაც თავის თავზე, ნებით თუ უნებლიეთ, აიღეს ნიუ-იორკის უნივერსიტეტის ფიზიკის პროფესორებმა.

მე ბევრად უფრო კონსტრუქციულ კრიტიკას ველოდი: კანონპროექტი ძირეულად ცვლის უმაღლესი განათლების სისტემას, შემოაქვს ახალი ტიპის მისაღები გამოცდები, სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების გამჭვირვალე მართვის პრინციპები, ახალი ტიპის დაფინანსება აძლევს ფაკულტეტებს დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხს.

სამწუხაროდ, კრიტიკოსთა უმეტესობისათვის **თანამდებობზე ყოფნის** 65 წლიანი ზღვრული ასაკი ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.

დაბოლოს - არსებობს ე.წ. "წმინდა" კრიტიკა, ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც გარჩევას და ახსნას ნიშნავს, და არსებობს კრიტიკა, რომლის მნიშვნელობა და შინაარსი მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირებაა, და არაფერი კავშირი არა აქვს ახსნასთან. სამწუხაროდ, "24 საათის" 18 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნებული წერილები (ქალბატონ ბელას წერილის ერთი მონაკვეთის გარდა) მხოლოდ პოზიციას აფიქსირებს. ეს პოზიცია კი სხვა ნაპირზეა, რომლის დატოვება წერილების ავტორებს, როგორც ჩანს, არც სურთ. ზოგიერთებს კი არც შეუძლიათ.

# უმიზეზო მეამბოხედან მარად მოგზაურ გმირამდე



B3

# კუიოლის ტანჯვა დასრულდა

B4

# საქართველო მეორეა



B5

ნოდარ ლადარია



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge

ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში რამდენჯერმე სხვადასხვა ადამიანისაგან ერთი საგულისხმო აზრი გავიგონე: ასე ამბობენ, ხელისუფლებამ კარგად იცის, ვინ არის **კახა ბენდუქიძე** — უბრალოდ სხვა გამოსავალი არ იყო — მაგრამ სანამ ბენდუქიძე შეძლებს საქართველოს ეკონომიკის დანგრევას, სააკაშვილი ჯარის აშენებას მოასწრებს. კი მაგრამ, რა არის ამ აზრში საგულისხმო? — ბევრი რამ. რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის გამონათქვამები ფაქტობრივი რეალობის ასახვას არ ემსახურება — მათი საშუალებით მხოლოდ გარკვეულ წრეებში არსებული განწყობების ნართაული გამჟღავნება ხდება. აშკარაა, რომ გამონათქვამი “ნაციონალთა” საშუალოდ ინტელექტუალური ფენიდან მოდის (დაზუსტებისაგან თავს შევიკავებ, რადგან დიდი მნიშვნელობა არა აქვს) და შეიცავს ორ არსებით მომენტს:

პირველი, უფრო ზედაპირზე მყოფი მომენტი ყალბი მსჯელობაა: არ შეიძლება ჯარი ეკონომიკის ალტერნატივა იყოს. ჯარი ეკონომიკის პარაზიტია.

მეორე მომენტი კი გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია: ეს გარკვეული მობოდიშებაა იმის გამო, რომ ეკონომიკური წინსვლა არასასურველად ჭიანურდება, “ყველაფრის გაყიდვის” თავდაპირველი თავბრუდამხვევი ეფექტი კი ნელ-ნელა იკარგება, როგორც ტალღა ქვიშაში — ჩვენი სტრატეგიული და არასტრატეგიული ობიექტებისათვის არავინ კალთებს არ ჩამოგვახევს. გავიხსენოთ ბიბლიური ამბავი ბაბილონის მეფის, ბალთაზარის შესახებ: მის მიერ მოწყობილი ერთ-ერთი ღრეობისას გამოჩნდა იდუმალი ხელი, რომელმაც კედელზე სამი უცნაური სიტყვა დაწერა. წინასწარმეტყველ დანიელის განმარტებით, ერთ-ერთი ამ სიტყვათაგანი ნიშნავდა შემდეგს: “შენ აგწონეს და ძალიან მსუბუქი აღმოჩნდი”. სწორედ ამ განაჩენის წინაშე დგას დღეს ჩვენი ეროვნული სიმდიდრე, რომლის გაყიდვას ზოგი ესწრაფვის და ზოგიც მისტირის...

18 სექტემბრის ნომერში “24 საათი” პირველივე გვერდიდან გვამცნობს: *ბენდუქიძე მეტალურგიული კომბინატის გაკოტრებას აპირებს*. **მაია მოსიაშვილის** მიერ მომზადებულ ამ მასალაში ასახულია ინტერესთა მრავალმხრივი კონფლიქტი, რომლის გამწვავება მოხდა 17 სექტემბერს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე. ეკონომიკის სამინისტრო, იტალიელი ინვესტორი, რეაბილიტაციის სამმართველო, კონტროლის პალატა... ამის უკან კი სიკვდილის პირას მისული ინდუსტრიული ურჩხული და სოციალური აფეთქების ზღვარზე მყოფი ქალაქი-მოჩვენება. და აქ მაინცდამაინც დიდი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვის შერჩება ბოლო სიტყვა, კახა ბენდუქიძეს, ბენო ქაშაკაშვილს თუ ვინმე სხვას. მაჭანკლებს ყოველთვის მით მეტი ჩხუბი და დავიდარაბა გადახდებათ თავს, რაც უფრო გადამწიფებული, უშნო და უმზითვოა პატარძალი.

და მაინც, ეს ჩვეულებრივი პატარძალი არაა: ეს მეტაფორა რეალურად ათასობით ოჯახის ცხოვრებისეულ პერსპექტივას ნიშნავს. იქნებ იმაზეც ეფიქრა ვინმეს, რომ რაც უფრო ადრე გაათავისუფლებენ ამ ოჯახებს ამაო იმედებისაგან, მით უფრო უკეთესი იქნება ყველასათვის! სამწუხაროდ, “24 საათმა” ნაკლები ყურადღება მიაქცია იმავე სხდომაზე დასმულ სხვა საკითხს: გაკოტრების აჩრდილი “ელექტროკავშირსაც” დაადგა თავზე. მისი მოშორება ეკონომიკის მინისტრმა წუთობრივი გადასახადის საშუალებით გადაწყვიტა. აქ გაცილებით უფრო ცხადად ჩანს ერთი უნივერსალური ფენომენი, რომელსაც ფიზიკაშიც, ბიოლოგიაშიც და ბევრ სხვა დარგშიც “უკუკავშირის” სახელით იცნობენ...

საქართველოს მოსახლეობა, ძირითადად, გადახდის უნარს მოკლებულია. თუ წუთობრივ გადასახადს დავაწესებთ, ეს აბონენტთა რიცხვის კლებას გამოიწვევს და საქმეს მაინც არ უშველის, რადგან თუ გაგითიშეს, არ იხდი. აი, ესაა უკუკავშირი. იქნებ ვინმემ დაიწყოს იმის მტკიცება, თითქოს ეს ეფექტი უმნიშვნელო იქნება. ჩანდა კი მინისტრის მოხსენებიდან, რომ ეს საკითხი ვინმემ შეისწავლა? არა: მინისტრი მხოლოდ იმას გვეუბნებოდა, რომ არჩევნებამდე შორსაა და ახლა უფრო მეტი შანსებია ამგვარი არაპოპულარული ნაბიჯის გადასდგმელად. დარწმუნების ძალიან არაეფექტური ხერხი ამოირჩია, რადგან არც მალავდა, რომ თავისი თვალსაზრისის გათრევას ცდილობს (протащить!). რა შეიძლება ვურჩიოთ ეკონომიკის მინისტრს გარდა იმისა, რომ Восток дело тонкое?..

უკუკავშირის იდეა კი ნამდვილად იმსახურებს დღევანდელი პუბლიკაციის ლაიტმოტივობას...

ერთი ორი წლის წინ, ერთ ჩემს მეგობართან ერთად, გვიან ღამით, გმირთა მოედნის კუთხეში მომიწია რამდენიმე წუთით შეჩერება. მახსოვს, ვიღაც ახალგაზრდებმა ჩაიარეს და თან ჩუმად, მაგრამ აღგზნებულად საუბრობდნენ. მეგობარმა მითხრა: სხვა მხარეს გაიხედე, შეიძლება რამე მოხდეს და რად გინდა, რომ დაინახოო. გაოცებული მივაჩერდი. მერე, დროთა განმავლობაში მიმავიწყდა, მაგრამ მოულოდნელად გამახსენდა, როცა 15 სექტემბრის ნომერში მდიდარი მასალა წავიკითხე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ. არა, საქმე მხოლოდ ის არაა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას საკუთარი ქვეყნის სასამართლოში მოწმის ხარისხში გამოსვლა და ეროვნული ვალის აღსრულება “გრეხად” მიაჩნია. არსებობს უფრო ფაქიზი ასპექტები. განმარტებისთვის კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან.

ამ ორი თვის წინ პირველი არხის ხელმძღვანელობასთან ერთად სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა დავსახეთ გარკვეული გზები, რომლებიც ითვალისწინებდა საზოგადოების რელიგიურ შემეცნებას, რაც ერთგვარ ფარად უნდა აღმართულიყო ექსტრემისტული მენტალობის ჩამოყალიბების წინაშე. ამ იდეათა უმრავლესობა განხორციელდა, მაგრამ ზოგ რამეს წინ აღუდგა საშუალო და დაბალი რანგის თანამშრომელთა ნაწილი. არ უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს რაღაც საბოტაჟი მოაწყვეს, უბრალოდ წაყრუება, გულმავიწყობა, მობოდიშება... ხომ იცით, საქართველოში ვართ...

ესეც თქვენი უკუკავშირი. 15 სექტემბრის ნომერშიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ მოყვანილია ძალიან დაწვრილებითი და მაგალითებით მდიდარი მასალა (მარტო ის რად ღირს, ასე ტკბილად რომ ჟღერს ყველა ქართველისათვის: “**ჯონ ხინკლის საქმე**”), მოცემულია თვით ფენომენის სრულფასოვანი განმარტება და ორი თვალსაზრისი: ერთი უპირობო მომხრისა (თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარე, **გიორგი გოგიაშვილი**) და ერთიც ზომიერი სკეპტიკოსისა (უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, **მერაბ ტურავა**). სხვათა შორის, სკეპტიკოსის აზრმა უფრო განმაწყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს მიმართ. და მაინც, ჩვენში დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, საზოგადოება საქმის კურსში შეჰყავთ ხელმძღვანელებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, დაინტერესებულ პირებს. ამასთან, უცნობი რჩება, რა მოუვა ბრწყინვალედ ჩაფიქრებულ იდეას საშუალო და დაბალ აღმასრულებელ დონეზე. უცნობი რჩება, როგორ იმუშავებს უკუკავშირი.

შესაძლო ეფექტის წინასწარ ვარაუდს გვკარნახობს 17 სექტემბერს გამოსული **ნინია კაკაბაძის** სვეტი *დამნაშავენი დამნაშავეთა სამყაროში*: “**დღემდე ეს ე. წ. კანონიერი ქურდები ძირითადად მორწმუნეები არიან და ეკლესია მათ სხვადასხვაგვარად მფარველობს. დამოკიდებულება თუ ურთიერთსიმპათიები ორმხრივია: “გაიტანს” რამდენიმე ბინას, გზად ვინმე შემოაკვდება, შემდეგ ეკლესიაში მივა, მღვდელს აღსარებას ეტყვის, მონაგარის ნაწილს ეკლესიას შესწირავს და, პრაქტიკულად, ცოდვები მოხსნილია... ეკლესიისა და ქურდული სამყაროს ეს დამოკიდებულება უფრო ლოგიკურია (არა მართებული, მაგრამ ლოგიკური). აქ გაცვლა-გამოცვლის პრინციპებია — ქურდები შეწყალებას ყიდულობენ**”.

ეს რაღა შუაშიაო, იკითხავს საქმეში ჩაუხედავი ადამიანი. მაგრამ საქმეში ჩაუხედავები, ძირითადად, “სარკეს”, “კაკადუსა” და “თბილისელებს” კითხულობენ. ამ გამოცემათა გვერდებზე კი ვინ იცის, რამდენ მღვდელს უთქვამს თავისი პირით, ქურდი ვიყავი, ციხეშიც ვიჯექი და ახლა ჭეშმარიტებაზე მოვიქეციო. არ უნდა გახდეს ნასამართლევი პირი ნაფიცი მსაჯული (წავიკითხეთ პროექტში და ვეთანხმებით), მაგრამ რომელი კანონი აუკრძალავს კრიალა ბიოგრაფიის მქონე ნაფიც მსაჯულს ნასამართლევი მოძღვრის ყოლას? ან ვინ და როგორ დაიფარავს ქართულ ციხეებს და ქართულ ჯარს კრიმინალური მენტალობის მოძღვრებისაგან? ან რომელი წმინდა სინოდი მოგვცემს იმის გარანტიებს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ღმერთმა სასწაული მოახდინა და სრულიად განაახლა ადამიანის სულიერი სამყარო? ჰოდა ამოქმედდება უხილავი უკუკავშირი და ვერდიქტის გამოტანისას უპირატესობას ამგვარი სამღვდელოებისაგან ნასწავლი თეოლოგია მიიღებს. ამ თეოლოგიის შინაარსი კი ძალზე მარტივი და ადვილი დასამახსოვრებელია: Бог создал вора, а черт — прокурора.

უკუკავშირი ყოველთვის გაუცნობიერებელი სოციალური პროცესის სახით როდი მოქმედებს. ხანდახან იგი, ასე ვთქვათ, ინდივიდუალურ ხარისხში გვევლინება. 17 სექტემბერს გამოქვეყნდა ჩემი სტატია, *ერეკლეს მოედნის საიდუმლოებანი*, რომელიც საქართველოს პრეზიდენტისა და კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრას ეძღვნებოდა. შეხვედრა, როგორც ვიცით, “დახურულ კარს მიღმა” გაიმართა, მაგრამ მისი შედეგები მაინც უნდა გახმაურებულიყო ასე თუ ისე. ამაზე რომელიმე მხარეს უნდა ეზრუნა. საინტერესოა, რომ “საპატრიარქოს უწყებანის” №34 აქვეყნებს კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებას ინდიქტიონის პარაკლისზე (14 სექტემბერი). აქ ნათქვამია: “**გუშინ საპატრიარქოში გვქონდა შეხვედრა ქვეყნის პრეზიდენტთან და პრემიერ-მინისტრთან. მათთან საუბარში ჩვენ განვიხილეთ აქტუალური პრობლემები და აღვნიშნეთ, რომ ძალიან ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ურთიერთკავშირშია სახელმწიფო და ეკლესია. ჩვენი ეკლესია იყო და იქნება ეროვნული ეკლესია, რომელიც მუდამ მხარში ედგა ჩვენს ერს და ეს მომავალშიც ასე გაგრძელდება. მაგრამ ამავე დროს სახელმწიფომაც უნდა გაითვალისწინოს ის წესები, ის კანონები თუ მოთხოვნები, რომლითაც ცხოვრობს და საზრდოობს მართლმადიდებელი ეკლესია. ასეთი ურთიერთგაგებით უნდა კეთდებოდეს ქვეყანაში ყველა საქმე. პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა აღგვითქვეს, რომ ხელს შეუწყობენ, რომ ეკლესიამ შეასრულოს თავისი დიდი მისია ქვეყნის საკეთილდღეოდ**”. ახლა არ დავიწყებთ იმაზე ლაპარაკს, რომ შეხვედრის ნამდვილი შინაარსი ამ ტექსტში გაუკუღმართებულია. საინტერესო ისაა, როგორ ესმის ტექსტს უკუკავშირის იდეა: “**ჩვენი ეკლესია იყო და იქნება ეროვნული ეკლესია, რომელიც მუდამ მხარში ედგა ჩვენს ერს და ეს მომავალშიც ასე გაგრძელდება. მაგრამ ამავე დროს სახელმწიფომაც უნდა გაითვალისწინოს ის ... მოთხოვნები, რომლითაც ცხოვრობს და საზრდოობს მართლმადიდებელი ეკლესია.**” არა, ახლა არც იმის განხილვა გვსურს, რას ნიშნავს “ეროვნული ეკლესია” (არაეროვნული ეკლესია რაღაა? ან შეიძლება იყოს სხვა ეკლესია ქრისტეს ეკლესიის გარდა?). არც იმას ვიკითხავთ, რომელი მოთხოვნებით საზრდოობს ეკლესია ან როგორ შეიძლება მოთხოვნებით საზრდოობა. უკუკავშირის იდეა, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, შემდეგია: **მომავალშიც ასე გაგრძელდება, მაგრამ...** მაგრამ რა? ნუთუ ეს უკუკავშირი ეკლესიიდან სახელმწიფოსკენ მუქარის ენაზე უნდა განხორციელდეს? ნუთუ ერის გვერდში დგომას კიდევ რამე პირობა სჭირდება?

ეჰ, ვერაგი რამაა ეს უკუკავშირი. მე კი ქადაგების ტექსტი მხოლოდ იმიტომ მოვიყვანე აქ, რომ კიდევ ერთხელ განმემტკიცებინა ჩემი 17 სექტემბრის სტატიის ძირითადი სულისკვეთება: ეკლესია ქრისტეს მისტიკური სხეულია და მისი სახელი არ უნდა მოირგოს არც სამღვდელოებასა და ჩინოვნიკებს შორის ალიანსმა, არც სამღვდელოების რომელიმე ცალკეულმა ჯგუფმა, არც რომელიმე იერარქის გარემოცვამ და ოჯახმა. რადგან სწორედ ამ უკუღმართ მოვლენებს ეხება ჩვენი კრიტიკა და არა ეკლესიას!

გაუცნობიერებელისა და ინდივიდუალურის გარდა უკუკავშირი შეიძლება მრავალჯერადიც იყოს. ანუ A პუნქტიდან B-მდე მისული სიგნალი ისევ A-პუნქტს დაუბრუნდეს და მერე კვლავ B-ზე აირეკლოს. არა, ძალიან აბსტრაქტული და გაუგებარი ახსნაა. მაგრამ ჩვენი პარლამენტი ყოველთვის ძნელად ექვემდებარებოდა მათემატიკურ ახსნას, რომლის წინაშე თვით ქვეყნიერების ურთულესმა აგებულებამაც კი მორჩილად მუხლი მოიყარა. ისევ უშუალო გადმოცემა სჯობს, თუმცა კი **თამარ მჭედლიშვილის** გაკვალულ გზაზე მომიწევს სიარული (17 სექტემბერი, *არაფრისმომცემი პოლიტიკური დებატები*). ერთი სიტყვით, სქემა ასეთია: ხელისუფლებამ რაღაც მოიმოქმედა ცხინვალის რეგიონში, ოპოზიციას ამაზე გარკვეული რეაქცია ჰქონდა, უმრავლესობამ კი ამ რეაქციაზე თავისი უკურეაქცია გამოამჟღავნა. რაც შეეხება ხელისუფლების ქმედებებს, ადრეც შევხებივარ მათ და ჩემი აზრი, ასე თუ ისე, ცნობილია. ოპოზიციის რეაქცია, ბუნებრივია, ამძაფრებდა საზოგადოებისთვის ცნობილ ნეგატიურ ასპექტებს. ეს გამძაფრება ყოველთვის არ ყოფილა მართებული: თავის ასაკში **კობა დავითაშვილმა** უკვე უნდა იცოდეს, რომ **სალომე ზურაბიშვილის** ფრანგული მოქალაქეობა ბოლმის საბაბი ვერანაირად ვერ შეიქნება ქვეყნისთვის, რომელმაც ჰიტლერიზმის განადგურებაში თავისი წვლილი გერმანული წარმოშობის **ეიზენჰაუერს** მიანდო. როგორც **ლევან ხერხეულიძის** ფოტოზე ჩანს, კობა დავითაშვილმა მხოლოდ **მაია ნადირაძის** ირონიული მზერა დაიმსახურა. ზოგჯერ აზრი უფრო სისტემურად და ჭკვიანურად იყო გამოთქმული, როგორც **ივლიანე ხაინდრავას** გამოსვლაში. აი, აქ კი უმრავლესობას ნამდვილად უმტყუნა ნერვებმა: **გიორგი არველაძის** პასუხი ნამდვილად არ გამოირჩეოდა იმ სიდინჯითა და ღირსეულობით, რომელიც მართალ მხარეს უნდა ახასიათებდეს. ალბათ საპარლამენტო უმრავლესობასაც უნდა ჰყავდეს თავისი “ვიშიბალები”, მაგრამ “ვიშიბალას” პროფესიული მონაცემები, სულ მცირე, იმას მაინც უნდა აკმაყოფილებდეს, რომ ივლიანე ხაინდრავასა და ვლადიმერ ჟირინოვსკის შორის განსხვავება გაარჩიოს. თუ ყოველგვარ შენიშვნას უმრავლესობის მხრიდან ასეთი დედაკაცური ისტერიკა მოჰყვება (მაპატიონ ფემინისტებმა!), ეს მისდამი ნდობას არ აამაღლებს. პარლამენტის ტრიბუნა ის ადგილია, სადაც მართალსაც არ უნდა ეთაკილებოდეს თავის მართლება, რადგან უმთავრესი მსმენელი აქ მეტოქე კი არა, ხალხი და საზოგადოებაა.

ბოლოს კი მსუყე სადილის შემდგომი ნუგბარის სახით მინდა შევეხო “24 საათის” მიერ შემოყვანილ ახალ ჟანრს — პოლიტიკური ესე. ამ რუბრიკით გამოქვეყნდა 13 სექტემბერს **გივი ალხაზიშვილის** ტექსტი *ერთმორწმუნე მეკობრეები*. ამ ტექსტს მშვენიერი მწვავე სათაური აქვს და მასში **ვლადიმერ სოლოვიოვის** “პანმონგოლიზმის” მშვენიერი ქართული თარგმანია მოყვანილი. მით უფრო საშური საქმეა ვიკითხოთ: როდის მოიშორებს ჩვენი სამამულო ესეისტიკა ისტორიულ, პოლიტიკურ და სოციალურ პროცესთა გულუბრყვილო და მოწაფური გადმოცემის ჩვევას? მცირე მოცულობა არასოდეს ყოფილა ზედაპირულობისა და ერუდიციის დეფიციტის გამამართლებელი საბაბი. კი ბატონო, აგინეთ და აკრიტიკეთ რუსული პოლიტიკა, მაგრამ თუ მაინცდამაინც ვლადიმერ სოლოვიოვს ეხებით, ის მაინც უნდა იცოდეთ, რომ ყველაფერი, რასაც იგი “პანმონგოლურ საფრთხეზე” წერდა (ამავე სახელწოდების ლექსი, აპოკალიფსური “სამი საუბარი” და სხვა), სინამდვილეში ვიზიონერის წინასწარმეტყველება კი არა, ფრანგული ყვითელი პრესის ფურცლებით შთაგონებული და სნობური გარემოცვით განპირობებული დახვეწილი მისტიფიკაცია იყო.






საჩუქრის ახალი ფორმა!

გსურთ გაუკეთოთ განსაკუთრებული საჩუქარი ახლობელ ადამიანს? გიჭირთ არჩევანის გაკეთება?

შეიძინეთ და აჩუქეთ მაღაზია-სალონი სან-სეტის სასაჩუქრე ბარათი და საჩუქრის არჩევანის უფლება ბარათის მომავალ მფლობელს მიანდეთ.

ვაჟა-ფშაველას 32
ტელ: 911991 877-791991



ნესტან კვინიკაძის სვეტი

## პარიზს არ ეძინა შიშით

ჟან კოქტოს ხმა



მე არასოდეს ვყოფილვარ ლამაზი, - სილამაზეს ახალგაზრდობა მიცვლიდა. არც მხიარული ვარ და არც დაღვრემილი, - თუმცა ორივე მდგომარეობა ბუნებრივი და ნაცნობია. ჩემი სიზმრები, ჩემივე ქცევის შარჟი გახლავთ.

- ახლა იცი, რას ვიტყოდი თქვენ სამყაროში რომ ვიყო?
- რას?
- მოდით დავლიოთ!

ვწერ ახლა სულელივით, თითქოს მარტო ვარ პარიზში... წერდე, ნიშნავს, ებრძოდე ფურცელს. კითხვა განსხვავებული შემთხვევაა. ჩვენ ყველანი ავადმყოფები ვართ და მხოლოდ იმ წიგნების კითხვა ვიცით, რომლებიც ჩვენს ავადმყოფობებზე მოგვითხრობენ.

დავეხეტები პარიზის ქუჩებში, ვეძებ სახლს, რომელიც მეტყვის - "მე შენ გელოდი". და შორს ფიქრებში წასულს, უეცრად ახლახან მოსულ წერილზე პასუხის გაცემა მომინდება ისეთი სიძლიერით... როცა წერილს პასუხობ, ამით შემდეგი წერილის მოწერის საბაბს იძლევი, რომელზეც კვლავ პასუხს ითხოვენ, და ასე გრძელდება და არ მთავრდება.

ხშირად მაკლდება ხმები, მაგრამ მარსელ პრუსტი განუმეორებელი შემთხვევაა. მე ძალიან მიჭირს ვიკითხო და არა მოვისმინო მისი ტექსტები. ახლაც მესმის ფურცელზე დაწერილი ყოველი სიტყვა. პრუსტთან, ისევე როგორც სხვებთან, მთავარი იქ არ არის, სადაც ეძებენ.

მაშინ სადღაა რადიგეს პროზა?! ის ხომ განსაკუთრებულია, რემბოს პოეზიის მსგავსად. მან ჩვენში ყველაზე სწრაფად გაიარა საუკუნე. სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე წერდა: " ხშირად, ის ადამიანი, რომელიც არასწორი გზით მართავს ცხოვრებას, სიკვდილის წინ (თუმცა იგი ვერც კი გრძნობს ამ მოახლოებას), იწყებს ყველაფრის წესრიგში მოყვანას, იცვლება მისი ცხოვრება, - დილით ადრე დგება, დროულად იძინებს, შორდება სულელურ ჩვევებს. მის ირგვლივ ყველა ბედნიერია და ამიტომაც უეცარი გარდაცვალება შეუწყნარებელ უსამართლობას ჰგავს. ის ხომ სწორედ ახლა იწყებდა ცხოვრებას." რადიგე სიკვდილის წინ ჩვენ სახელებს იძახდა, გაოგნებული შეჰყურებდა დედას, მამას, საკუთარ ხელებს.

პარიზს არ ეძინა შიშით, რადგან არავინ იცოდა, როდის და რომელ კაფეში ამოვხეთქავდით. როდის მოვახდენდით რევოლუციას. თავისთავად, იცვლებოდა ყველაფერი - პოეზია, პროზა, მუსიკა, ფერწერა. მაგრამ ძნელი იყო დასაჯერებლად ერთი რამ, ნუთუ ჩვენ ვდგავართ სათავეში? და ნუთუ ეს ხუმრობა თუ ექსპერიმენტი ლეგენდად გადაიქცევა?!

არადა, თითქოს ჩვეულებრივად მიდიოდა ყველაფერი - სტრავინსკი, ნიჟინსკი და დიაგილევი, ბულონიის ტყეში, ტბასთან, აცრემლებულები პუშკინს კითხულობდნენ, ვერ მითარგმნეს - ეს მეტისმეტად რუსულიაო. ეს ისტორიის ნაწილია?

მოდილიანის მიერ შექმნილი ჩემი პორტრეტი, რომელიც ხუთ ფრანკად მომყიდა ავტორმა, ვეებერთელა ტილოზე იყო შესრულებული. მე ფული აღარ დამრჩა, რომ მუშა დამექირავებინა და ნახატი სახლში წამეღო. კისლინგმა კაფეს უფროსს 11 ფრანკში გაუცვალა ნახატი, დავლიეთ. და იმ წუთიდან დაიწყო პორტრეტის ხანგრძლივი მოგზაურობა, რომელმაც მთელი მსოფლიო მოიარა და ბოლოს ამერიკაში გაჩერდა, სადაც 17 მილიონ დოლარად გაიყიდა. ამას ხომ ვერასოდეს ვიფიქრებდით. ჩვენ არ ვიყურებოდით შორს. მოგვწონდა ცხოვრება, ცხოვრება ერთად, ფონად კი იყო საზოგადოება, რომლისთვისაც პოეზია გამოგონილის სინონიმად აღიქმებოდა. ლექსი ხომ ჯერ ეჭვს იწვევს, შემდეგ შიშს, რადგან მალევე ხვდები, რომ ამ უვნებელი გარეგნობის მიღმა ყველაზე წმინდა სიმართლე იმალება.

"ლიტერატურული კაფეები" მოდიდან გავიდა, ჩვენც იმ ბარში გადავინაცვლეთ, სადაც ვინერი და დუსე ოთხ ხელში უკრავდნენ ნიუ იორკიდან ახლადშემოსულ ბლუზს. ეს ბარი ჩვენ შტაბად იქცა, და გაგრძელდა ცხოვრება სამყაროში, სადაც ყველაფერს თავისი ახსნა უნდა ჰქონდეს, სადაც ყველა განსასჯელია, სადაც ნიჭს მოკლებული პოლიცია მოურიდებლად იჭრება სხვის საიდუმლოში. შედის პოეტის ოთახში, და მე გულში სასიამოვნოდ ვბრაზდები, - ჩემ ოთახში ხომ თითოეული ნივთი სამხილია.

ჩვენ არასოდეს გვიჩხუბია ერთმანეთში. "ექვსეულიდან" არცერთი დაუფარავს ჩრდილს. შარშან კვლავ შევხვდით, სამწუხაროდ ყველანი სათვალეებში. შევიკრიბეთ ბინაში, სადაც ოდესღაც პირველი ბრძოლებისთვის ვემზადებოდით. ბინაში, სადაც დარიუსი კვლავ დაბინავდა ომის შემდეგ.

ფოტო გადავიღეთ, - აშკარაა სიბერე, თუმცა სულია გაახალგაზრდავებული. ტყუილად კი არ აღნიშნა პიკასომ: "ძალიან დიდი დროა საჭირო იმისთვის, რომ გახდე ახალგაზრდა". მე ეს ვიგრძენი.

უხილავ ტალღას ერთიმეორეზე მიყავდა ეს ადამიანები. მე არ ვგულისხმობ ერთ თაობას, არამედ ყველა სულით არისტოკრატს ოციდან სამოც წლამდე, რომელთა გვერდით ვითარდებოდა ჩემი ყოფნა.

სხვებმა მოგვიყვნენ მათი საოცრებების შესახებ. სხვებმა გაიხსენონ პირადი დრამები. ჩვენ ხომ არასოდეს გვიფიქრია სამომავლო ლეგენდებზე, რაც საბოლოოდ თავისით მოიტანა ცხოვრებამ, ყველანაირი დოკუმენტური მტკიცების გარეშე, ჩემ მიერ გადაღებული რამდენიმე ფოტოს და სამი-ოთხი პორტრეტის გარდა. ეს საკმარისი აღმოჩნდა.

ისე, არც კი ვიცი, მოვახდინეთ რევოლუცია?

# "მის საქართველოს" რეპეტიცია

ავთო შარვაშიძე

24 სექტემბერს იმიჯ-ცენტრის ორგანიზატორობით ქალაქ ბათუმში სილამაზის კონკურსი "მის საქართველო" გაიმართება, რომლის გამარჯვებული საქართველოს "მის მსოფლიოზე" წარმოადგენს. კონკურსში საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენელი გოგონა მიიღებს მონაწილეობას. კონკურსის წესების მიხედვით გოგონები, ჟიურის წინაშე უნდა წარდგნენ საცურაო კოსტიუმებში, საღამოსა და ეროვნულ კაბებში.

"იმიჯ-ცენტრის" გადაწყვეტილებით 17 სექტემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში აზიური მუსიკის ფონზე ჩატარდა ჩვენება-კონკურსი, რომელშიც 12 დიზაინერი იღებდა მონაწილეობას: ეკა მაჭავარიანი, ნინო ქირია, ქრისტი ბურჯანაძე, ნინო ჩანტლაძე, თეა აკობია, სოფო ალავიძე, თამუნა სუჯაშვილი, თათა ვარდანაშვილი, ნინო დანდლიშვილი, ნინო გოგიბერიძე, ლელა წიკლაური, ქეთი იაშვილი. დიზაინერებმა წარმოადგინეს ეროვნული და საღამოს კაბები.

კონკურსის ჟიური იყო თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მოდელირების ფაკულტეტის პროფესორი ომარ საააკაშვილი, კოსტიუმების დიზაინის პედაგოგი ნანა ყუყულაძე, დიზაინერი ანი აბულაშვილი, მოდელირების კათედრის პედაგოგი ეკა ჩხუტიშვილი, კათედრის დოცენტი რუსუდან იოსელიანი და დიზაინერი მარინა ხორავა.

დიზაინერთა ვინაობა სრულიად გასაიდუმლოებული იყო. ჟიურის წევრებმა არ იცოდნენ, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ნამუშევარი. კაბები დანომრილი იყო, რომლის მიხედვითაც ჟიურის წევრები თავიანთ არჩევანს აკეთებდნენ. როგორც ჩანს, "მის საქართველოს" ორგანიზატორებს მთელი ყურადღება გადატანილი აქვთ ძირითად კონკურსზე იმიტომ, რომ ეს ჩვენება არ იყო ორგანიზებული უმაღლეს დონეზე. ორგანიზატორები მთლიანად 24 სექტემბრის დასკვნით კონკურსზე არიან გადართულები, ასე რომ, 24 სექტემბერს ბათუმის თეატრის შენობაში გრანდიოზული შოუ გაიმართება, რომელიც 2004 წლის "მის საქართველოს" გამოავლენს.

ჟიურის წევრებმა ჰუმანურობა გამოიჩინეს და თითქმის ყველა დიზაინერს, თავისი შემოქმედების შესაბამისად მიანიჭეს კონკრეტული ტიტული. მაგალითად, ქრისტი ბურჯანაძის კაბებმა დაიმსახურა ყველაზე დიდი ოვაცია. ასევე, კაბებზე შესრულებული მისი ნაქარგები საუკეთესო იყო; ლელა წიკლაურის კაბებმა ყველაზე რომანტიკული ნამუშევრის სახელი დაიმსახურა; ქეთი იაშვილის ნაშრომი კი, ჟიურის წევრებმა ყველაზე კარგად შესრულებულად შეაფასეს. ეს მოდელები სწორედ იმ გოგონებმა წარმოადგინეს, რომლებიც 24 სექტემბერს კონკურსზე "მის საქართველო" ერთმანეთს შეეცილებიან.

რაც შეეხება კონკურსანტებს, რომლებიც დასკვნით კონკურსზე მიიღებენ მონაწილეობას: ისინი უკვე აჭარაში არიან და ჩაქვში, სასტუმრო "ოაზისში" ცხოვრობენ. ვინმემ შეიძლება იფიქროს, ისვენებენო, მაგრამ მათი რეჟიმი ჯარის რეჟიმზე უარესია, - არა ჭამა, არა ძილი, ზღვაზე ბანაობა ცოტა ხანი, მოწევა არა და დალევაც კი არა. ალბათ, არც ერთი არ ინატრებდა ასეთ "დასვენებას". მე, მათთან ჩასული ვიყავი და ორი დღის განმავლობაში, შეიძლება ითქვას, მათ "წამებას" ვადევნებდი თვალყურს. მართალი გითხრათ, ასეთი რეჟიმი მხოლოდ გოგონებისთვის არის წამება, თორემ თქვენ ბიჭები უნდა ნახოთ, - დაუზარელად სხედან დილიდან საღამომდე და 27 ლამაზმანს თვალს არ წყვეტენ. ყოველი დღე მათთვის დილის რვის ნახევარზე ვარჯიშით იწყება. შემდეგ გადიან საცეკვაო ნომრის რეპეტიციას, რომელიც მთავარ შოუზე უნდა დაიდგას. რეპეტიციის შემდეგ - საუზმე (რომელიც, ალბათ, ყველაზე მეტად უხარიათ) და მერე ზღვა, დიდი ტალღები და გარუჯვა.

დაბოლოს, არა მგონია, ეს გოგონები ტყუილად ირჯებოდნენ და თავს იტანჯავდნენ. ყველა ხომ ვერ გახდება "მის საქართველო"? ამიტომაც შეიძლება ჩავთვალოთ, რომ იმ ერთის გარდა, რომელიც "მის საქართველოს" გვირგვინს დაიდგამს, ყველა მაყურებელზე იმუშავებს და ბათუმის თეატრში მისულ მაყურებელს დაუვიწყარ შოუს წარმოუდგენს. ასე რომ, ვისაც სურვილი გაქვთ და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობა, იყავით ბათუმში 24 სექტემბერს და არ ინანებთ.











გიორგი ხმალაძის ფოტოები

## ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმს ნაღმი დაეცა

მწერალ ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმი თამარაშენში ოსური მხარის მიერ შაბათს ღამით დიდი ლიახვის ხეობის დაბომბვისას ნაღმის მოხვედრის შედეგად დაზიანდა.

საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ ნაღმმა მაჩაბლის მუზეუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი დააზიანა.

მისი თქმით, თამარაშენში გაგზავნილია ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ნაგებობის მდგრადობას შეაფასებს და ზუსტად დაადგენს მიყენებულ ზარალს.

ვაჩეიშვილი მიიჩნევს, რომ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის დარეგულირებამდე მუზეუმის სრულ რეაბილიტაციაზე ფიქრი არ ღირს.

"ამ ეტაპისთვის მთავარია მუზეუმის დაცვითი სამუშაოების ორგანიზება, რადგან მისი საფრთხის ქვეშ დატოვებამ, შესაძლოა, ძეგლის დანგრევა გამოიწვიოს" - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

მისი განცხადებით, მუზეუმში ექსპონატების რაოდენობის სიმცირის გამო, ამ მხრივ საშიშროება ნაკლებია. მთავარია, მაჩაბლის მუზეუმი შენარჩუნდეს, როგორც ისტორიული ძეგლი.

გასულ წლებში მაჩაბლის მუზეუმის რეაბილიტაციისთვის პრეზიდენტის ფონდიდან 150 ათასი ლარი გადაირიცხა. *(პრაიმ-ნიუსი)*

ამერიკული ისტორია

# უმიზეზო მეამბოხედან მარად მოგზაურ გმირამდე

მაგდა ანიკაშვილი

მარტოობა 60-იანი წლების ბოლოდან უკვე ყოფილი მეამბოხე გმირების სენია. ერთადერთი გამოსავალი მათთვის გაქცევა და წარსულის დავიწყებაა, მაგრამ ხეტიალი უკვე მარტო უწევთ. ყველაზე კარგად ამ განწყობას ბობ რაფელსონის "ხუთი მარტივი პიესის" გმირი რობერტ დიუპი გამოხატავს (ჯეკ ნიკოლსონის კიდევ ერთი საინტერესო ნამუშევარი, განსხვავებული "უდარდელ მოჯირითეში" შესრულებული როლისგან).

ბობ რაფელსონი ის ადამიანია, ვინც დენის ჰოპერის "უდარდელ მოჯირითეში" ბიუჯეტის შესავსებად სახლი დააგირავა. რეჟისორი იგონებდა, რომ ჯერ კიდევ სტუდენტობისას კინოკლუბში დადიოდა და როდესაც აღფრთოვანებული იყო რომელიმე ეპიზოდით, თავს ვერ იკავებდა, წამოხტებოდა და ყვიროდა. მალე შეამჩნია, რომ კიდევ ერთი ადამიანი იქცეოდა ასე და მასზე დაკვირვება დაიწყო. ერთ დღეს დარბაზში შუქის ანთებისას მას უმუშევარი დამწყები მსახიობი და სცენარისტობაზე მეოცნებე ჯეკ ნიკოლსონი შერჩა. ერთმანეთი გაიცნეს და მალე რაფელსონის პირველი ფილმის სცენარზე დაიწყეს მუშაობა. ფილმს "წინამძღოლი" ერქვა და ის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ჯგუფს "მანქიზ"-ს ეხებოდა. ეს პოპ-ჯგუფი ამერიკაში "ბითლზზე" პოპულარული იყო, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. 1968 წელს ფილმის გამოსვლისათვის ჯგუფმა ვერც ერთ კომპანიასთან ვეღარ მოაწერა კონტრაქტს ხელი და რაფელსონის ფილმიც ჩავარდა. მან კი "ხუთ მარტივ პიესაზე" დაიწყო მუშაობა და ნიკოლსონი მთავარ როლზე მიიწვია.

რობერტ დიუპი ნავთობის ჭაბურღილებზე მუშაობს. მისი ცხოვრება ამერიკული მუშათა კლასის ტიპური ყოფაა: სამსახური, მანქანა, სახლი, საოჯახო ტექნიკა. საღამოს ბოულინგ კლუბში გასართობად მეგობრებთან ერთად წასვლა, ლუდის დალევა და დასვენება. რობერტს მეგობარიც ჰყავს ოფიციანტი რაიეთი - ვულგარული და არაინტელექტუალი, მაგრამ მოსიყვარულე. ყოფა არც ისე ცუდია, მაგრამ პირველივე კადრებიდან ჩანს, რომ დიუპი არ არის ამ სამყაროს შვილი, მას რაღაც აწუხებს, ვერ ისვენებს, რაიეთიც უფრო ეცოდება, ვიდრე უყვარს, მეგობარ ელტონს კი, რომელიც ცხოვრებისეულ გამოცდილებას უზიარებს მომავალ მამობასთან დაკავშირებით (რაიეთი ფეხმძიმედაა), რობერტი ჩხუბს აუტეხს, როგორ ბედავ და შენს ცხოვრებას ჩემსას ადარებო.

გრძნობა, რომ გმირი ბევრად ღრმაა, ვიდრე თავიდან ჩანს, მას შემდეგ მძაფრდება, რაც საავტომობილო საცობში მოყოლილი ჯეკ ნიკოლსონის გმირი მის წინ მდგარ სატვირთო მანქანაზე პიანინოს დაინახავს, მასზე აძვრება და შოპენის დაკვრას იწყებს ისეთი გატაცებით, რომ თან მიჰყვება მანქანას. რობერტ დიუპი პიანისტი იყო და თან საკმაოდ იმედისმომცემი, შოპენი კი პირველია იმ ხუთი ნაწარმოებიდან, რომლებიც ფილმში გაჟღერდება (ორი შოპენის, ორი მოცარტის და ერთიც ბახის ნაწარმოები). ამ ეპიზოდიდან ფილმი იცვლება და მაყურებელი გმირის ცხოვრების აღმოჩენას იწყებს.

რობერტ დიუპი მამისეული სახლიდან წამოსულა. სავარაუდოდ, ზუსტად იმ დროს, როდესაც ამერიკელი ახალგაზრდების უმრავლესობა ასე იქცეოდა. მას მუსიკოსების ოჯახი ჰყავს, და და ძმა პიანისტები არიან. რობერტს მამასთან მოუვიდა კონფლიქტი, ახლა კი დისგან იგებს, რომ მამა ძლიერ ავადაა და გადაწყვეტს სახლში დაბრუნდეს.

გზაში რობერტს და რაიეთს ორი ლესბოსელი დაემგზავრება. ისინი ალიასკაზე მიდიან, რადგან ქვეყანაში სიბინძურეა და ცხოვრება აღარ შეიძლება, როგორც ქალაქში ისე სოფელში ნაგავი ყრია. ალიასკაზე კი სისუფთავეა, დიდი თოვლი და ჰაერი.

ამ წლების განმავლობაში მამისეული სახლი კიდევ უფრო დამსგავსებია აკლდამას. მუსიკოსთა საცხოვრებლის შესაფერისად ყველგან კლასიკოსთა ბიუსტები და პორტრეტებია მოთავსებული. რობერტს უსიცოცხლო მამა, მისი მომვლელი, ასევე გულუბყვრილო და ბავშვური და, ძმა და მისი საცოლე კეტრინი ხვდებიან. ახალგაზრდა, მომხიბვლელ და, ამავე დროს, საკმაოდ ჭკვიანი ქალთან რობერტი რომანს გააბამს. მისი თხოვნით დაუკრავს როიალზე და თან აღიარებს, რომ არასოდეს არაფერი უგრძვნია ამ ნაწარმოების შესრულებისას. კედლებზე კი ოჯახური სურათები კიდია, რომლებზეც ყველანი ახალგაზრდები და ლამაზები, ბედნიერებიც კი არიან, მამაც ენერგიული და სიცოცხლით სავსეა.

ალბათ, არ შედგებოდა მამა-შვილის საუბარი, რომ არა მამის ავადმყოფობა. რობერტი მხოლოდ დამბლადაცემული მამის წინაშე ახერხებს გულწრფელად საუბარს, ბოდიშს იხდის, რომ ვერ გახდა კარგი პიანისტი, ისეთი, როგორიც მამას უნდოდა და დაჩოქილი ტირის მის წინ, მაყურებელი თითქოს უძღები შვილის დაბრუნების სცენას უცქერს .

ჟურნალ Искуисство кино-სთვის მიცემულ ინტერვიუში, კითხვაზე, რა როლს ასრულებს მუსიკა მის ფილმში, რაფელსონმა უპასუხა: "ახალგაზრდობაში ვოცნებობდი მუსიკოსობაზე. შოპენჰაუერი ხელოვნების სფეროებს შორის მუსიკას ყველაზე სრულყოფილად თვლიდა. მუსიკა ადამიანთა შორის კომუნიკაციის ყველაზე პირდაპირი, უშუალო ფორმაა. ის ეყრდნობა გრძნობებს და არა სიტყვას, არა ინტელექტს. რა მშვენიერი იქნებოდა, თქვენს კითხვაზე რომელიმე ჩასაბერ ინსტრუმენტზე დაკვრით რომ მეპასუხაო".


ჯეკ ნიკოლსონი კარიერი დასაწყისში.


ნიკოლსონის ყველაზე ცნობილი როლი ფილმში "ვიღაცამ გუგულის ბუდეს გადაუფრინა".

კეტრინი რობერტის სიყვარულზე უარს ამბობს, მას არ შეუძლია იმ ადამიანთან ცხოვრება, რომელსაც არავინ უყვარს, არ აქვს ურთიერთობა ახლობლებთან და არც იცის ხვალ სად იქნება. კეტრინს მოსაწყენი ცხოვრება ურჩევნია ამ სახლში, რომელშიც რობერტი უკვე ვეღარ ისვენებს. ის გალანძღავს სტუმარ ინტელექტუალ ქალბატონს, რომელიც ადამიანებში დაგროვილ აგრესიაზე არანაკლები აგრესიულობით საუბრობს და რაიეთის მეტყველებას უმდაბლესი ფენის საუბრის ნიმუშად აცხადებს. დისა და მამის მომვლელის უშუალო ურთიერთობის დანახვისას რობერტი საშინელ სკანდალს მოაწყობს. ბოლოს კი მიხვდება, რომ მშობლიურ სახლში ჩამოსვლამ მას არაფერი მისცა და იქ გაჩერება აღარ შეუძლია.

რობერტი და რაიეთი მანქანით ბრუნდებიან სახლში. მორიგ ბენზინგასამართ სადგურზე რაიეთი ყავის დასალევად გადავა, რობერტი მას საფულეს და საბუთებს გაატანს. მანქანიდან გადმოვა და გაჩერებულ სატვირთო მანქანას დაინახავს, რომელიც ალიასკაზე მიდის. რობერტი ხვდება, რომ მას უნდა გაჰყვეს, მძღოლი აფრთხილებს, რომ ალიასკაზე ცივა და დიდი თოვლია. ეს სწორედ ის არის, რაც დიუპის სჭირდება, თოვლი, სიცივე და სისუფთავე.

ჯეკ ნიკოლსონის გმირი არ არის ახალგაზრდა, დაახლოებით ოცდათხუთმეტი წლისაა, ფილმი "ხუთი მარტივი პიესა" კი 1970 წელსაა გადაღებული, როდესაც მღელვარე მოვლენები უკვე ჩავლილი იყო. რობერტ დიუპი ყოფილი სამოციანელია, რომელიც გავრცელებული აზრის საწინააღმდეგოდ არც უნივერსიტეტში დაბრუნებულა, არც მშობლიურ სახლში და არც მსხვილ საწარმოში დაუწყია მუშაობა. ვერც ჭაბურღილებზე გაძლებს და არასდროს მოისვენებს, მისი ხვედრი გაქცევა, მოგზაურობაა, როგორც მარად მეამბოხისა. მისი მიზანი გზაა, რომელიც არასდროს უნდა დასრულდეს. რობერტ დიუპი ვერასდროს შეეგუება იმ ცხოვრებას, რომელსაც მას საზოგადოება სთავაზობს, იქ ვერ იპოვის საკუთარ თავს.

# "შანელიდან" მასების დონეზე დაშვებული კარლი

H&M - ეს ის აბრევიატურაა, რომელიც ნებისმიერი ევროპელი თინეიჯერისთვის ცხოვრების წესს განსაზღვრავს. შედარებით იაფი, მაგრამ მოდური და ხარისხიანი - ასეთია H&M-ის ტანსაცმელი, პოპულარული - შუაგული შვედეთიდან კომპასის ყველა მიმართულებით, უკვე ამერიკაშიც კი. და წელს ის კიდევ უფრო მოდური ხდება. თუ აქამდე H&M დიზაინერები იდეებს მაღალი კლასის მოდის სახლებს ჰპარავდნენ, ახლა მათ საკუთარი დიზაინერი ჰყავთ, თანაც პირდაპირ "შანელიდან" - კარლ ლაგერფელდი. ელიტურობისა და დახვეწილობის სიმბოლოს შემქმნელი ლაგერფელდი H&M-ისთვის იაფფასიან, მაგრამ მოდურ, მასებზე გათვლილ კოლექციას აკეთებს. პრეზენტაცია 12 ნოემბერს გაიმართება. წინასწარი დახასიათებით, ტანსაცმელი, ძირითადად, შავ ფერშია გადაწყვეტილი, ძალიან დახვეწილი და მაღალი კლასისაა.

თუმცა, მთავარი სასაუბრო თემა H&M-ის ფანებისთვის მაინც ფასებია. შავი აბრეშუმის შარვალი 20 დოლარი ეღირება, ყველაზე ძვირი კი ასევე შავი ფერის, შალის პალტოა - 150 დოლარი. ეს კი მართლაც კაპიკებია იმ ტანსაცმელთან შედარებით, რომელსაც ლაგერფელდი "შანელისთვის" ქმნის. იქ ხომ ტვიდის ჩვეულებრივი პიჯაკი დაახლოებით 5 ათასი დოლარი ფასობს.

H&M-ისა და ლაგერფელდის პროექტის პრეზენტაცია წინა კვირას პარიზში გაიმართა. "შანელის" დიზაინერი თავისი "სავიზიტო ბარათით" - შავი სათვალითა და თეთრი კუდით გამოცხადდა და აღნიშნა: "ეს შვედური ქსელი იმიტომ



მომწონს, რომ ის იაფფასიან პროდუქციას ყველასთვის სასურველს ხდის". "მე ძალიან მრავალფეროვანი შინაგანი სამყაროს მქონე ადამიანი ვარ, ასევეა მოდაც. ამიტომ ეს კოლექციაც ისეთივე სერიოზულობით შევქმენი, როგორითაც "შანელის" შეკვეთებზე ვმუშაობ ხოლმე. მხოლოდ იმიტომ, რომ H&M-ის ნაწარმი იაფია, არ ნიშნავს იმას, რომ მას გულგრილად უნდა მივუდგეთ", - დასძინა ლაგერფელდმა.

ტანსაცმლის გარდა, ნოემბრიდან გაყიდვაში ჩაეშვება სუნამოც "ლიქუიდ კარლი". თუმცა, ლაგერფელდი მაინც არ გახლავთ პირველი მაღალი კლასის დიზაინერი, რომელიც მასებისთვის მუშაობს. მანამდე ამერიკულმა სავაჭრო ქსელმა "თარგეთმა" მოახერხა იზეკ მიზრაჰის მიმხრობა.

# სახეცვლილი ვუდსტოკი

გვერდით გასწიეთ ვუდსტოკი. გზა გაუხსენით ე.წ. "მინდვრის დღეს" (Field Day). ეს მოწოდება ამერიკულ მუსიკალურ წრეებში მას შემდეგ გაჩნდა, რაც ჰუძონის ხეობაში - ვუდსტოკის ორიგინალი ფესტივალის და ვუდსტოკ`94-ის ადგილას ახალი, ორდღიანი ღონისძიების გამართვის იდეა გაჩნდა. ოღონდ, ამჯერად მუსიკოსები მდინარე ჰუძონის აღმოსავლეთ სანაპიროს დაიკავებენ და ზემოთ ნახსენებ "მინდვრის დღეს" მოაწყობენ.

ნიუ იორკელმა პროდიუსერმა ენდრიუ დრესკინმა ქალაქ რედ ჰუქის ხელმძღვანელობისგან უკვე მიიღო თანხმობა. მისივე ცნობით, "მინდვრის დღე" 2005 წლის 16-17 ივლისს გაიმართება. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებს დაახლოებით 50-60 შემსრულებელი და ჯგუფი. მათ შორის იქნებიან ნორა ჯონსი, "ბისთი ბოიზი" და "რეიდიოჰედი". წინასწარი ვარაუდით ფესტივალმა დაახლოებით 35 ათას მსურველს უნდა მოუყაროს თავი. მათ წინ ელით ბევრი და კარგი მუსიკა, სასმელი, გართობა და კარავში გათენებული სამი ღამე. დრესკინის თქმით, თითოეული გაყიდული ბილეთიდან ქალაქს თითო დოლარი გაადერიცხება.

# ტრავოლტას წიგნის გამოსვლამდე



გამომცემლობა "ჰიპერიონის" ცნობით, ჯონ ტრავოლტა წარსულს იხსენებს და ავტობიოგრაფიას წერს. მისი ცხოვრებისეული ისტორიებით სავსე წიგნი დღის შუქს 2006 წლის შემოდგომაზე იხილავს. "წელს ნახევარ საუკუნეს მივუკაკუნებ და თუ ცოტა ხანს კიდევ მოვიცდი, მერე ერთბაშად ორი წიგნის დაწერა მომიწევს. არადა, მართლაც ისეთი სავსე ცხოვრებით ვიცხოვრე, რომ მსურს, ეს ყველაფერი მკითხველს გავუზიარო", - აცხადებს ის. როგორც ჩანს, ტრავოლტას მოსაზრებას უყოყმანოდ იზიარებს "ჰიპერიონის" რედაქტორი უილ შვალბი. ის მიიჩნევს, რომ "ტრავოლტა ჩვენი დროის უდიდესი და ყველაზე დაფასებული მსახიობია; კაცი, რომელსაც მართლაც ბევრი აქვს მოსაყოლი თავისი კარიერის, ინტერესების, შემოქმედებითი პროცესის შესახებ; გარდა ამისა, მსახიობი მკითხველს საკუთარი მეგობრების შესახებაც უამბობს, მარლონ ბრანდოდან პრინცესა დაიანამდე".

თუმცა, სანამ წიგნი გამოვიდოდეს, ჯონ ტრავოლტას ხილვა მის თაყვანისმცემლებს ჯეი რასელის ახალ ფილმში "49-ე კიბეში" შეეძლებათ. ტრავოლტას პარტნიორობას ხოაკინ ფენიქსი უწევს. ისინი მეხანძრეების როლს ასრულებენ, სიუჟეტი კი ცეცხლითა და მძაფრი ეპიზოდების თანხლებით ვითარდება. ამერიკული პრემიერა 1 ოქტომბერსაა დაგეგმილი.

ფეხბურთი

# მკაცრი სასჯელი

ბრიტანული მედიის ინფორმაციით, იტალიური "რომა" გულშემატკივრის ხულიგნური გამოხდომის გამო შეიძლება ძალიან მკაცრად დაისაჯოს და რომის სტადიონი ევროტურნირებიდან ერთწლიანი დისკვალიფიკაციით იქნას მოკვეთილი. უფრო მკაცრი სასჯელი კი შეიძლება ის იყოს, რომ "რომამ" საშინაო თამაშები ნეიტრალურ მინდორზე - იტალიის საზღვრებს გარეთ გამართოს.

ასეთი მძიმე სასჯელი რომაელებს შეიძლება სამშაბათს მომხდარი ინციდენტის გამო დააკისრონ. საქმე ის არის, რომ ჩემპიონთა ლიგის პირველი ტურის მატჩში კიევის "დინამოს" წინააღმდეგ უცნობმა გულშემატკივარმა სანთებელა ესროლა მატჩის შვედ არბიტრს ანდერს ფრისკს და თავი გაუტეხა.

რომში დამნაშავეს ეძებენ. თუმცა, "რომას" პრესატაშემ როზელა სენსიმ განაცხადა, რომ კლუბი შეიძლება ფინანსური სანქციებით დაზარალდეს. "შესაძლოა, 20 მილიონი ევროთი დაგვაჯარიმონ. ჩვენ კი, ჩვენი მხრივ, ვაპირებთ, ზარალი ავანაზღაურებინოთ ადამიანს, რომელმაც მსაჯი დააზიანა", - განაცხადა სენსიმ. თუმცა, ეს ადამიანი ჯერ კიდევ მოსაძებნია.

მკაცრი სასჯელი "რომას" სპორტულ დირექტორს ფრანკო ბალდინისაც აღელვებს. ის თავის აღშფოთებას ვერ ფარავდა მას შემდეგ, რაც გამოცხადდა, რომ მატჩის მეორე ტაიმი აღარ ჩატარდებოდა. "მე ვითხოვ გადამწყვეტ ზომებს და დიდი მონდომებით მოძებნას იმ ადამიანისა, რომელმაც ასეთი რამის ჩადენა გაბედა. მინდა, ის, რაც შეიძლება, სწრაფად მოძებნონ და მე საშუალება მომცენ, მას სახეში შევხედო. აჩვენონ ეს ადამიანი მთელ რომს. თავისი საქციელის გამო მან პასუხი უნდა აგოს, - დაჟინებით ითხოვს ბალდინი, - არ დავმალავ, ჩვენ მკაცრი სანქციების გვეშინია. ეს ჩვენს სტადიონზე უკვე მეორე ინციდენტია და სასჯელი შეიძლება ძალიან სერიოზული იყოს".

თავის მხრივ, ინციდენტს გამოეხმაურა კიევის "დინამოს" მთავარი მწვრთნელი იოჟეფ საბო. "მე, საერთოდ, ძალიან კარგი კოლექტივი მყავს. პირველი ტაიმის ამოცანა შევასრულეთ - 1:0 მოვიგეთ. რა იქნება მომავალში, ვერ გეტყვით. ამ საკითხს უეფას შესაბამისი ორგანოები განიხილავენ. ჩემი საქმეა გუნდი მინდორზე გამოვიყვანო და ისე მოვიქცე, რომ მან ხარისხიანი ფეხბურთი აჩვენოს, - განაცხადა საბომ. - ჩვენ "რომას" ვაჯობეთ. ისინი კი, როგორც ჩანს, გაოცდნენ,



ფრისკზე თავდასხმისათვის რომაელები მკაცრად დაისჯებიან

როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო. სიტუაცია იმის გამოც გართულდა, რომ რომაელი ფეხბურთელები საოცრად უდისციპლინოები არიან. ასე მოქცევა არ შეიძლება. ვფიქრობ, უეფას გადაწყვეტილება შესაბამისი უნდა იყოს".

რაც შეეხება თამაშის სპორტულ მხარეს, უეფამ შეიძლება მატჩის გადათამაშება დანიშნოს, მაგრამ უკრაინელები მიიჩნევენ, რომ ასეთი გადაწყვეტილება უსამართლობა იქნებოდა კიევის "დინამოს" მიმართ. კიეველებმა ამ ინციდენტის გამო პასუხი არ უნდა აგონ. მით უფრო, რომ მათ ანგარიში მიჰყავდათ. უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტი ამ საკითხის ირგვლივ თავის სხდომაზე, 21 სექტემბერს გამოიტანს ვერდიქტს. დისციპლინარული სასჯელის გარდა, "რომას" შეიძლება ჩაეთვალოს ტექნიკური წაგება - 0:3.

ამის თაობაზე საბომ განაცხადა, რომ ის მშვიდად და ნორმალურად შეხვდება უეფას ნებისმიერ გადაწყვეტილებას. ამასთან, საბო ვერ მალავს თავის იმედგაცრუებას ამ ინციდენტის გამო. კიევის "დინამო" ხომ უპირატესობას ფლობდა. 1:0 იგებდა და საბოლოო გამარჯვების საკმაოდ რეალური შანსიც ჰქონდა.

# უეფა ნერვიულობს

2008 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის მზადების ტემპები უეფას სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. კერძოდ, უკვე ახლავე ცნობილია, რომ ახალი სტადიონი "ჰარდტურმი" გეგმის მიხედვით, დროულად ვერ ჩაბარდება. რა მოელის ციურიხის ამ სტადიონს, არავინ იცის.

ციურიხელებს, რომლებიც მშენებლობის ადგილთან ახლოს ცხოვრობენ, სულაც არ აინტერესებთ ახალი სტადიონი და ფეხბურთი. ისინი მშენებლებს მუშაობის საშუალებას არ აძლევენ. მათ შექმნეს საინიციატივო ჯგუფი, რომელიც საპროტესტო აქციებს მართავს. ადგილობრივი მცხოვრებლები მიიჩნევენ, რომ სტადიონის მშენებლობა ამ რაიონში ტრანსპორტის მოძრაობას გაახშირებს და, შესაბამისად, საცობებს შექმნის. შედეგად, ტურნირის ორგანიზატორებს მოუხდათ ადმინისტრაციული და იურიდიული ზომების გატარება, რაც მათ ხელს შეუშლის, მშენებლობა 2007 წლის ზაფხულისთვის დაამთავრონ. ეს იმას ნიშნავს, რომ ახალი სტადიონი აუცილებელი შემოწმების გავლას ვერ მოასწრებს.

უეფაშიც სწორედ იმის გამო გამოხატავენ უკმაყოფილებას, რომ ადამიანთა გარკვეული ჯგუფები საფრთხის წინაშე აყენებენ ასეთი სერიოზული ღონისძიების ჩატარებას. ასოციაციამ ავსტრიისა და შვეიცარიის მთავრობებს მოუწოდა, გამოიჩინონ უფრო მტკიცე პოლიტიკური ნება ევრო 2008-ისთვის მზადების პროცესში, ანუ მოუწოდებს, ხალხის პროტესტს ყურადღება არ მიაქციონ.

თუმცა, ფაქტია, რომ "ყურადღება არ მიაქციო" არ გამოდის და შეიძლება ტურნირი, რვა კი არა, არამედ შვიდ სტადიონზე გაიმართოს. ციურიხის გარდა, ევროპის ჩემპიონატს უნდა უმასპინძლონ ბაზელმა, ჟენევამ, ბერნმა, აგრეთვე, ავსტრიის ქალაქებმა ვენამ, კლაგენფურტმა, ზალცბურგმა და ინსბრუკმა. ამაში არავითარი პრობლემა არ არსებობს, მაგრამ არც სასიამოვნოა. სხვაგანაც რომ გაფიცვა დაიწყოს? ამჟამად განიხილება იმ მატჩების სხვა ქალაქში გადატანის საკითხი, რომლებიც "ჰარდტურმში" უნდა გამართულიყო.

"ჩვენ ვსწავლობდით სიტუაციას შვეიცარიასა და ნაწილობრივ ავსტრიაში. შვეიცარიელებისგან ვიცოდით, რომ ციურიხის სტადიონი დათქმულ ვადაში ვერ აშენდებოდა, - ფეხბურთის ევროკავშირის ოფიციალურ საიტს მოყავს უეფას აღმასრულებელი დირექტორის ლარს-კრისტერ ულსონის სიტყვები, - ამან აღმასრულებელი კომიტეტის წევრები სერიოზულად აალელვა".

კითხვებს ბადებს საკითხები კომერციული და ინტელექტუალური უფლებების დაცვის შესახებ. არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა, რომელიც არალეგალური ბილეთების გაყიდვის აკრძალვას უზრუნველყოფს. არ არის თანხები უსაფრთხოების დაცვისთვის. უეფას აღმასრულებელ კომიტეტს სურს, მიმდინარე წლის ბოლომდე ამ საკითხების ირგვლივ შესამჩნევი პროგრესი დაინახოს.

"აღმასრულებელმა კომიტეტმა გადაწყვიტა, შვეიცარიის მთავრობას კონკრეტული ვადა დაუთქვას იმ მიზნით, რომ წლის ბოლომდე წარმოადგინონ კონკრეტული წინადადებები ამ პრობლემის დაძლევის მიზნით", - დაამატა ულსონმა, - კომიტეტმა შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობებს მოუწოდა, გამოიჩინონ უფრო მკაცრი პოლიტიკური ნება და ტურნირისთვის შესაბამისად მოემზადონ".

ეს ყველაფერი იმისთვის არის საჭირო, რომ ორივე ქვეყანამ შეასრულოს საჭირო მოთხოვნები, რომლებსაც ჩემპიონატის მასპინძლობაზე გაკეთებული განაცხადების დროს მოეწერა ხელი.

"აუცილებელია, რომ ყველა მოთხოვნა შესრულდეს, - დაასკვნა ულსონმა, - ეს ხომ ერთ-ერთი პირობაა, რომლის მიხედვითაც უეფას აღმასრულებელმა კომიტეტმა ავსტრიასა და შვეიცარიას ჩემპიონატის მასპინძლობა მიანდო. ახლა ჩვენ ამ ქვეყნებისგან იგივე ნდობას ველით".

# პუიოლის ტანჯვა დასრულდა

"ბარსელონას" კაპიტანს გამარჯვებების სჯერა

*მადრიდის "ატლეტიკოს" წინააღმდეგ გუშინდელ მატჩში კატალონიელთა კაპიტანს იუბილე ჰქონდა - ეს იყო კარლეს პუიოლის რიგით მე-200 მატჩი "ბარსელონას" პირველი გუნდის შემადგენლობაში. "ბარსაში" მისი დებიუტიდან უკვე ხუთი წელი გავიდა. როგორც თავად პუიოლი ამბობს, კატალონიური კლუბის შემადგენლობაში თამაში მას გუნდისთვის ყველაზე რთულ პერიოდში მოუხდა. ძნელია, შეეწინააღმდეგო პუიოლს, ესპანეთის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს, ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კლუბის შემადგენლობაში გატარებული ხუთი წლის განმავლობაში ერთხელაც რომ არ ერგო რაიმე თასის აწევის პატივი.*

*თუმცა, ახლა, როდესაც "ბარსელონას" საქმეები კარგად მიდის, პუიოლი დარწმუნებულია, რომ უტიტულოდ აღარ დარჩება.*

**- ამ სეზონში, ალბათ, მოიპოვებთ რაიმე ტიტულს...**

- ამაზე საუბარი ჯერ ნაადრევია, რადგან სეზონი სულ ახლახან დაიწყო. ის კი მართალია, რომ ჩვენი საქმეები კარგად მიდის. თუმცა, გამარჯვებულების ვინაობა სეზონის ბოლოს ხდება ცნობილი და სამი მოგებული მატჩის გამო ნამდვილად ვერ ჩავთვლით, რომ საქმე უკვე გაკეთებულია.

**- ასეა თუ ისე, კიდევ ერთი უტიტულო სეზონი ყველასთვის კოშმარი იქნება.**

- დიახ, ეს მართალია. კლუბში და გულშემატკივრებს შორის დიდი აღმაფრენაა. უკანასკნელი წლების განმავლობაში საკმაოდ ბევრი მძიმე მომენტი გადავიტანეთ და დროა, სიამოვნების მიღება დავიწყოთ. მაგრამ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ: წარმატებისკენ ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ და არ ვიჩქაროთ.

**- თუ გუნდი ტიტულს მოიპოვებს, თქვენ პირველი იქნებით, ვინც თასს აწევს, რადგან კაპიტანი ხართ. რაზე იფიქრებთ ამ დროს?**

- გავიხსენებ ჩემს ოჯახს, მეგობრებს და ყველას, ვინც დამეხმარა. თუმცა, ახლა ეს მხოლოდ ოცნებაა, მე კი დღევანდელი დღით ვცხოვრობ.

**- ამბობენ, რომ სირთულეები ადამიანს აწრთობენ...**

- თუ ასეა, მაშინ მე ისე ვარ გამოწრთობილი, რომ მთელი ცხოვრება მეყოფა. "ბარსელონასა" და ეროვნულ ნაკრებში მეტად მძიმე წლები გამოვიარე.

**- რა შეიცვალა თქვენში ამ ხუთი წლის განმავლობაში?**



- ბევრი რამ. ყოველი ახალი სეზონის დაწყებასთან ერთად, გუნდისთვის სულ უფრო მნიშვნელოვან ფეხბურთელად ვგრძნობდი თავს. თითოეული მწვრთნელისა და თანაგუნდელისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. ახლა მე ბევრად უკეთესი ფეხბურთელი ვარ, ვიდრე მაშინ ვიყავი, როდესაც გუნდში მოვედი. თუ სწავლა გინდა, საუკეთესოთა გარემოცვაში, მართლაც, დიდ პროგრესს მიაღწევ.

**- რომელ მწვრთნელს იხსენებთ განსაკუთრებული სითბოთი?**

- გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მწვრთნელი ლუი ვან გაალი იყო. არასოდეს დავივიწყებ, რომ სწორედ მან მომცა "ბარსელონაში" თამაშის შანსი. მისი დამსახურებაა, რომ აქ ვარ.

**- ის ფაქტი, რომ თქვენ "ბარსელონას" სიმბოლო ხართ, თქვენი კარიერის ამ კლუბში დასრულებასაც გულისხმობს?**

- მე ვიცი, რომ გულშემატკივრები და თანაგუნდელები ჩემს გვერდით დგანან. ცხადია, მოვა დღე, როდესაც კლუბმა და მე ჩემი მომავალი უნდა გავარკვიოთ. პირადად მე ვოცნებობ, კარიერა "ბარსელონაში" დავასრულო.

**- მადრიდის "რეალის" წინადადება, რომელსაც თქვენ უარი უთხარით, მართლაც, ისეთი მომთაფვლელი იყო, როგორც ამას ლაპორტა ამბობს?**

- არა მხოლოდ "რეალის" წინადადება, ამ ზაფხულს სხვებმაც მომმართეს. ეს არის საკითხი, რომლითაც მე არ ვარ დაკავებული. ასეთ საქმეებს ჩემი აგენტი განაგებს. ასეა თუ ისე, ჩემი აგენტი ყველას "ბარსელონასთან" გზავნიდა სალაპარაკოდ. კლუბმა იცოდა ყველა იმ წინადადების შესახებ, რომელთაც მე ვიღებდი. "ბარსელონაში" დარჩენა თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა.

**- როგორ შეაფასებთ იმ კრიზისს, რომელშიც ახლა "რეალია"?**

- მე არ ვიტყოდი, რომ "რეალი" კრიზისშია. მან მხოლოდ ორი მატჩი წააგო. თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში 0:3 წაგება, მართლაც, მტკივნეულია. ცხადია, თუ ის ნეგატიურ დინამიკაში მოხვდა, იქიდან თავის დაღწევა ძალიან გაუჭირდება. ამას საკუთარი გამოცდილებით ვამბობ. მაგრამ კრიზისზე საუბარი გადამეტებულად მეჩვენება, მით უმეტეს, როდესაც კარგად ვიცნობ მათ მწვრთნელს.

**- ფიქრობთ, რომ წლეულს გაიმარჯვებთ?**

- სეზონის ბოლომდე ჩვენ არაფერს არ ვფიქრობთ. სხვა საქმეა ის, რომ საკუთარ ძალებში დარწმუნებული ვართ.

ფორმულა 1

# ფორმულამ "იაგუარი" დაკარგა

ფორმულა 1-ში მსოფლიო ჩემპიონატის 2005 წლის სეზონი "იაგუარის" გარეშე ჩაივლის. ამის შესახებ განცხადება გააკეთა კომპანია ფორდმა, რომელიც საჯინიბოს მფლობელია. მიზეზი, ერთი შეხედვით, ესოდენ რადიკალური განცხადებისა გახდა ის უზარმაზარი ფინანსური დანახარჯი, რომელიც ბოლო დროს გუნდმა განიცადა. "გუნდის მოღვაწეობის ზედმიწევნითი ანალიზის შემდეგ კომპანიის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, რომ ფორმულა 1-ში თავისი მოღვაწეობა შეაჩეროს - გუნდის ოფიციალურ კომუნიკეში განაცხადა "იაგუარის" შეფმა ჯო გრინუელმა - ამასთან დაკავშირებით, ჩვენ გუნდის ყველა აქტივის გაყიდვას ვიწყებთ".

საჯინიბოს ვიცე-პრეზიდენტის რიჩარდ პერი-ჯონსის განცხადებით, რომლის კისერზეც იყო მთელი პასუხისმგებლობა გუნდის არსებობაზე, მან უკვე შეადგინა "იაგუარის" პოტენციურ მყიდველთა ნუსხა. ამასთან, მან განაცხადა, რომ წლის ბოლომდე "იაგუარს" მფლობელი არ შეეცვლება. "ჩვენს დღის წესრიგში არ დგას ამოცანა, გუნდი როგორმე, რაც შეიძლება, სწრაფად მოვიშოროთ თავიდან, - განაცხადა პერი-ჯონსმა, - თუ გუნდს სეზონის ბოლომდე ვერ გავყიდით, ჩვენ ამას სეზონებს შორის გავაკეთებთ".

იმავე პოზიციას იზიარებს "კოსუორტიც" - "იაგუარისთვის" ძრავების ოფიციალური მიმწოდებე-




"იაგუარის" საჯინიბო ფორმულას ემშვიდობება.

ლი. შეგახსენებთ, რომ ეს კომპანია ძრავებს "ჯორდანისა" და "მინარდისთვისაც" ამზადებს. სპეციალისტთა ვარაუდით, "იაგუარის" გაყიდვა აუტსაიდერთა ბრძოლაში ახალ ტალღას გამოიწვევს.

სხვა არხებიდან ცნობილი ხდება, რომ გუნდის გაყიდვის მიზეზი გახდა ფორდის კონცერნის ერთ-ერთი ქარხნის დახურვა ინგლისის ქალაქ ქოვენთრიში. ფორმულა 1-ში "იაგუარის" დებიუტი 2000 წელს შედგა. მისი აქტივების მფლობელი იყო კომპანია "ფორდი". გასული ოთხი წლის განმავლობაში გუნდმა მყარი აუტსაიდერის სახელი დაიმკვიდრა და, შეიძლება ითქვას, ქულებს დიდ დღესასწაულებზე იღებდა. მხოლოდ წლეულს, მარკ უებერის მონდომებით, რომელმაც სეზონში 7 ქულა მოიპოვა, გუნდმა კონსტრუქტორთა დავაში ასე თუ ისე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა. 15 ეტაპის შემდეგ "იაგუარი" 10 ქულით მეშვიდე ადგილზეა და "ტოიოტას", "ჯორდანსა" და "მინარდის" უსწრებს.

ადვილი შესაძლებელია, რომ მოვლენების ამგვარი განვითარება დააჩქარებს ფორმულა 1-ში დიდი ხნის ანონსირებული რომან აბრამოვიჩის გამოჩენას. ამას წინათ გაჩნდა ინფორმაცია, რომ იტალიური საავტომობილო ფირმა Dallara Automobile 2006 წლის სეზონში აპირებს, "სამეფო რბოლებში" საკუთარი გუნდი წარადგინოს. საჯინიბოს დაფინანსება კი ლონდონის "ჩელსის" მფლობელს უნდა ეკისრა. ახლა რომან აბრამოვიჩს თავისი გეგმების კორექტირება შეუძლია.

ოლიმპიელები

# ჩემპიონები სვამენ ცივ ჩაის და "მიცუბიშით" დადიან

ბიბა ბურასაშვილი

*GEO - 043 და GEO - 044 სერიებითა და ნომრებით დამშვენებული "მიცუბიშის" ორი ჯიპი შეემატა საქართველოს გზებს. ერთი ზურაბ ზვიადაურისაა, მეორე - გიორგი ასანიძისა. ისინი ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არიან. ავტომობილებიც ერთნაირი ჰყავთ.*
*ასე დაუფასა კომპანია "ყაზბეგმა" გარჯა ჩვენს ძვირფას ჩემპიონებს. საჩუქარიც ასეთი უნდა! უყურადღებოდ არც ვერცხლის პრიზიორები დარჩენიათ.*

მას შემდეგ, რაც საქართველოს ოლიმპიური ნაკრები ათენიდან დაბრუნდა, კვირა ისე არ გავა, ჩემპიონებისა თუ პრიზიორების პატივსაცემად ჭიქა არ გაჭახუნდეს. მარტო ახლობლებს, ნათესავებსა და მეგობრებს არ ვგულისხმობთ. ჩვენს მედალოსნებს შეხვედრებს უწყობენ საკუთარი რაიონები, კერძო პირები...

შაბათს კომპანია "ყაზბეგმა" საკუთარ ოფისში მიიწვია ათენის ოლიმპიური გვირგვინოსნები. ტრადიციული მისასალმებელი სიტყვების შემდეგ კომპანიის პრეზიდენტმა გოგი თოფაძემ ჩემპიონებსა და დამსწრეთ სხვათა შორის ჰკითხა, ცოტა ხნით ეზოში ხომ არ ჩამობრძანდებითო.



ლევან ხერხეულიძის ფოტოები



ასანიძე და ზვიადაური "ყაზბეგისგან" მიღებულ ჯიპებთან.

უკვე ვიცოდით, რისთვისაც გვიხმობდნენ. იცოდნენ ზვიადაურმა და ასანიძემაც, მაგრამ როდესაც "ყაზბეგის" ეზოში აღმოვჩნდით, ნანახმა, უფრო სწორად, საჩუქარმა, ყველა მოლოდინს გადააჭარბა - თითოეულს, როგორც ვთქვით, შეფუთული, წითელლენტგადაჭირებული და საქარე მინაზე სიმბოლურად ჩამოკონწიალებული ოქროს მედლით დამშვენებული, "მიცუბიშის" ვერცხლისფერი ჯიპი ელოდა. ერთი დაბურული მინებით იყო, მეორე - ჩვეულებრივი. დაბურულმინებიანი ასანიძის საკუთრება აღმოჩნდა, მეორე, ბუნებრივია, ზვიადაურს დარჩა.

პატრულის საყურადღებოდ: ჩემპიონებს საბუთები წესრიგში აქვთ - ამაზეც კომპანია "ყაზბეგმა" იზრუნა.

გოგი თოფაძემ ფულადი პრემიები გადასცა ვიცე-ჩემპიონებს - რამაზ ნოზაძესა და ნესტორ ხერგიანს, დამსწრეთა გასაგონად კი დასძინა: ოღონდ ნუ იკითხავთ, რამდენიაო. თუ ყურმოკრულს დავუჯერებთ, კონვერტებში, დაახლოებით, 5-5 ათასი დოლარი უნდა ყოფილიყო. ყოველ შემთხვევაში, ნაკლები არა.

ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების კომპანიას არც ჩვენი სახელოვანი ფალავანი ელდარ კურტანიძე დავიწყებია - მას შვეიცარიული საათი გადასცა. ამ კაცის გამკვირვებია. რაც ათენიდან ჩამოვიდა, სულ ბოდიშებს იხდის. არადა, განა ეს ის ელდარ კურტანიძე არ არის, ვინც საქართველოს არაერთი ოქროს მედალი მოუტანა?! განა ელდარი არ იყო, ირანში, საკუთარ ხალიჩას რომ გააკრა ის ირანელი?" - გაკვირვებულმა იკითხა გოგი თოფაძემ და იქვე დაამშვიდა ელდარი: სპორტში ხან იგებენ, ხან აგებენ. ასე რომ, გულს ნუ გაიტეხ!

კალათბურთი

# საქართველო მეორეა

მხოლოდ დროებით...

ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩი

**ლუქსემბურგი -საქართველო**
**61:87 (21:26, 15:18, 19:20, 6:23)**

***ლუქსემბურგი:*** *შმიტი (8), ბეკერი (3), ვულფი, დელგადო ალმეიდა როსარიო, შარტცი (7), მელშორი (10), ეიტცი (2), შოლტსი, ბრაუნი (4), ჰოფმანი, ბოევერი (2), ჯონსი (25)*

***საქართველო:*** *გამყრელიძე (5), ვ. ბოისა (20), ა. ბოისა, ფაჩულია (16), ცინცაძე (8), ტუღუში, უილიამსი (15), მარკოიშვილი (13), ბერძენიშვილი, ხეცურიანი (3), კილაძე, ცქიტიშვილი (7)*

პაატა თოთაძე

ყველაფერი კარგად არ არის, მაგრამ არც ცუდადაა. ანუ, თუ ძალიან მოვინდომებთ, საქმეც კარგად გვექნება. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებმა შაბათს თავისი მესამე მატჩი გამართა ევროპის 2007 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე და მეორე გამარჯვება მოიპოვა. ქართველთა მეტოქე ლუქსემბურგის ნაკრები იყო. გუნდი, რომელსაც აქამდე ორივე მატჩი ჰქონდა წაგებული - მაკედონიასთან, შინ, 69:94 და სტუმრად, ფინეთთან, 64:97.



ბრძოლის განახლება ქართველებს მომავალი წლიდან მოუწევთ.

ლუქსემბურგის ნაკრები თავიდანვე ჯგუფის აშკარა აუტსაიდერად ითვლებოდა და ამართლებს კიდეც მინიჭებულ სტატუსს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ბოლო მეოთხედამდე მასპინძლები კარგად უძალიანდებოდნენ მეტოქეს. ანგარიშში ჩამორჩენა მხოლოდ 9 ქულა იყო, ბოლო მეოთხედში კი აირივნენ და მატჩიც 26-ქულიანი სხვაობით დათმეს. წინა მატჩებისგან განსხვავებით, ძალიან დაბალი იყო ქართველთა მიერ კალათში ჩაგდებული ბურთების პროცენტული მაჩვენებელი. მართალია, არც ლუქსემბურგელებს ჰქონიათ მეტი, მაგრამ ეს დამშვიდების საბაბი ნამდვილად არ არის. მეტოქეს მოხსნების მხრივაც ვაჯობეთ. მართალია, ჯონსის შეჩერება ჩვენებმა ვერაფრით ვერ მოახერხეს (მან 22 მოხსნაც მიითვალა), მაგრამ თუ მასპინძელთაგან მხოლოდ ერთი კაცი თამაშობდა, ჩვენგან ასეთი ორი იყო. ბოისამ 14 ბურთი მოხსნა, ფაჩულიამ - 10 (აღსანიშნავია, რომ 14 მოხსნიდან ბოისამ 10 შეტევისას მოხსნა). ამ გამარჯვებით საქართველოს ნაკრები ჯგუფში მეორე ადგილზე დამკვიდრდა და პირველობისთვის ბრძოლას ერთი წლის შემდეგ გააგრძელებს - საკვალიფიკაციო ტურნირი 2005 წლის სექტემბრიდან განახლდება. თუ ჩვენი გუნდის თამაშის ხარისხს გავითვალისწინებთ, ჯგუფიდან გასვლა ნამდვილად შეგვიძლია. მაკედონიაში ჩვენმა გუნდმა თავისივე ელემენტარული შეცდომების წყალობით წააგო და არა იმიტომ, რომ მეტოქე გვჯობდა. ასე რომ, თბილისში ამ გუნდის დამარცხება სასურველი ანგარიშით ნამდვილად შესაძლებელია. შეიძლება უფრო დიდი პრობლემა შეგვექმნას ფინეთში, თუმცა, თუ ქართველები სწორად წაიყვანენ თამაშს, მეტოქეს იქაც მოვუგებთ.

შაბათსვე მაკედონიის ნაკრებმა სტუმრად დაამარცხა ფინეთის ნაკრები (87:78) და პირველი წრე, ასე ვთქვათ, უდანაკარგოდ დაასრულა. სტუმართაგან გამოირჩნენ ბლაჟევსკი და ჯონსი (რომელთა ანგარიშზე, შესაბამისად, 22 და 26 ქულაა), ფინელთაგან კი - კოტი და რანიკო. თბილისში საუკეთესო მატინენმა მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა. თბილისში მან 7 სამქულიანი ჩააგდო, საკუთარ კედლებში კი - ვერც ერთი.

წყალბურთი

# საქართველომ მალტა უმწვრთნელოდ დატოვა

ბიბა ბურასაშვილი

*მართალია, საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებს მალტაზე მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე პირველი ადგილი არ დაუკავებია, მაგრამ სხვა ყველაფერში პირველი აღმოჩნდა. ჯერ იყო და, ევროპის ჩემპიონატი საქართველოსა და საფრანგეთის მატჩით გაიხსნა, მერე პირველი გამოეთიშა მედლებისთვის ბრძოლის შესაძლებლობას (თუმცა, ამაზე იმთავითვე არ ჰქონია პრეტენზია). ახლა იყო და...*

შაბათს საქართველოსა და ჩემპიონატის მასპინძელთა მატჩში გაირკვა იმ გუნდის ვინაობა, რომელმაც 16 ნაკრებს შორის პირველმა დაიკავა შესაბამისი ადგილი.

თავდაპირველად დასახულ მიზანს ქართველი წყალბურთელები ასცდნენ, მაგრამ არც ის შედეგი უნდა იყოს ცუდი, რასაც მიაღწიეს. მას შემდეგ, რაც ჯგუფურ ეტაპზე ფრანგებთან ფრედ ითამაშეს, ხოლო სლოვაკებთან და სერბებთან წააგეს, G ჯგუფში გადანაცვლებულმა საქართველოს ნაკრებმა მე-9-10 ადგილებისთვის გააგრძელა ბრძოლა. ბრიტანელებთან გამარჯვებისა და ჰოლანდიელებთან დაზავების შემდეგ მე-11-12 ადგილებისთვის დაიწყეს ბრძოლა. აქ ქართველთა მეტოქეები აღმოჩნდნენ მალტელები, რომლებსაც იოლად გაუმკლავდნენ - 14:6 და, ყველაფერთან ერთად, მასპინძელთა მთავარი მწვრთნელის კარიერაზეც მოახდინეს გავლენა. საქართველოსთან მარცხის შემდეგ მალტის ნაკრების მწვრთნელმა ანტონი ფარუჯამ თანამდებობიდან წასვლის შესახებ განაცხადა: "წყალბურთი ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო, მაგრამ დროა, გადავდგე".



ორი მარცხი, ორი ფრე და ორიც გამარჯვება - ასეთია ჩვენი წყალბურთელების მონაგარი.

ფაქტია, რომ მისი წასვლა საქართველოსთან ცუდმა თამაშმაც განაპირობა, თუმცა, წაგებაში ფარუჯა საკუთარ გუნდს უფრო ადანაშაულებს, ვიდრე საკუთარ თავს: "ბიჭებმა პირველივე პერიოდში გამიცრუეს იმედი. ჩვენმა დაცვამ ბევრი ფანჯარა დატოვა. მეტოქეს დიდ სივრცეს ვაძლევდით და ბოლოს მკაცრადაც დავისაჯეთ. რაც შეეხება თავდასხმას, აქ არასაკმარისი მოთმინების უნარი გამოვავლინეთ იმისთვის, რომ შეტევის დასაგვირგვინებლად შესაფერის დროს დაველოდებოდით".

ერთი სიტყვით, როგორც ჩემპიონატის ორგანიზატორები აცხადებენ, საქართველოს ნაკრებმა მე-11 ადგილით კავკასიის რეგიონისთვის საუკეთესო შედეგს მიაღწია.

თავში ვთქვით, დასახულ მიზანს ავცდითო. საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა სოსო მაისურაძემ მალტაზე გამგზავრების წინ თქვა, თუ ათეულში მოვხვდებით, ჩვენთვის კარგი შედეგი იქნებაო. მაგრამ თუ რიგ ფაქტორებს გავითვალისწინებთ, ერთი ადგილით უარესი საფეხურიც არაა ურიგო. ხოლო თუ ადრეულ შედეგებს გადავავლებთ თვალს, პატარა პროგრესსაც დავინახავთ: 2002 წელს ჩვენმა ნაკრებმა 16 გუნდს შორის მე-15 ადგილი დაიკავა, ხოლო შარშან - მე-13.

გაისად ევროპის ჩემპიონატს პორტუგალია უმასპინძლებს.

TV-სპორტი

**შაბათი. 18 სექტემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**
07:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2000. დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "SAN ANTONIO SPURS" - "LOS ANGELES LAKERS".მე-4 მატჩი
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:25 იტალიის ჩემპიონატი. "იუვენტუსი" - "ატალანტა"
14:10 ესპანეთის ჩემპიონატი. "ატლეტიკო" - "ბარსელონა"
16:00 თავისუფალი დარტყმა
16:15 ბრაზილიის ჩემპიონატი. "კორინთიანსი" - "სან-პაულუ"
18:00 საფეხბურთო უიკენდი
18:40 სახვალიო ტელეპროგრამა
18:55 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
19:55 უკრაინის ჩემპიონატი. "დნეპრი" - "დინამო". პირდაპირი ტრანსლაცია
21:55 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. "მანჩესტერ იუნაიტედი" - "ლივერპული". პირდაპირი ტრანსლაცია
00:50 00:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV - დღიური
03:30 NBA TV - NBA-ს მიმოხილვა
04:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. აღმოსავლეთ კონფერენციის ფინალი. "BOSTON CELTICS" - "NEW JERSEY NETS". მე-3 მატჩი

**НТВ+СПОРТ**
10:00, 16:15, 19:15 პრესცენტრი
10:20, 21:00 "ოლიმპის შვილები"
10:25, 14:15 "ფორმულის ჰარმონია"
10:45 "საჭადრაკო მიმოხილვა"
11:15 გოლფი. "Ryder Cup" აშშ-ში
14:35 ჩოგბურთი. WTA ტურნირი ინდონეზიაში. ფინალი
16:30 ჰოკეი. მსოფლიო თასი. საუკეთესო მატჩები. აშშ - რუსეთი
18:45 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
19:30 მძლეოსნობა. "IAAF Gala" მონაკოში
20:30 "ორშაბათამდე მივატანთ"
21:05 სახვალიო ტელეპროგრამა
21:10 "ჰოკეი-პლუს"
21:25 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ოსკარ დე ლა ჰოია - ბერნარდ ჰოპკინსი
23:30 მოტოსპორტი. შოუ მოტოსპორტის ვარსკვლავთა მონაწილეობით პარიზის სპორტის სასახლე "ბერსიში"
00:10 ახალი ამბები
00:25 "რკინის ფაქტორი". ტელეჟურნალი
00:55 "ჰოკეი-პლუს"

**EUROSPORT**
10:30 მულტისპორტი
11:00 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
11:30 მოტორბოლები. იაპონიის დიდი პრიზი
12:30 მძლეოსნობა. IAAF Gala მონაკოში
13:30 პარაოლიმპიური თამაშები. ოლიმპიური თამაშები ათენში
14:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა გამოსასვლელ დღეებში
17:00 ველოსპორტი. ესპანეთის ტური
17:30 მოტოსპორტი გამოსასვლელ დღეებში
18:00 მძლეოსნობა. IAAF Gala მონაკოში
20:00 ფეხბურთი. ევროგოლები
21:00 მულტისპორტი
21:30 სუმო. განდ ტურნირი (ბაშო) იაპონიაში
22:30 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
00:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა ვარსკვლავური საათი
01:30 ფეხბურთი. ევროგოლები
02:30 ახალი ამბები
02:45 ავტომოტოსპორტი. "ფერარი"
03:15 ახალი ამბები

www.liberty.ge

# თავისუფლება

N6

20 სექტემბერი, ორშაბათი

„თავისუფლების ინსტიტუტის" საგაზეთო დანართი

# რას ფიქრობს ხალხი განათლების რეფორმის შესახებ?

*როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველისთვისაა ცნობილი, თავისუფლების ინსტიტუტი ასოციაცია ალპესთან ერთად ახორციელებს პროექტს, რომლის მიზანიც სკოლის მართვაში საზოგადოების აქტიური ჩართვაა. თავისუფლების ინსტიტუტის შეკვეთით სოციოლოგიური კვლევების ჯგუფმა BCG ჩაატარა კვლევა, რომლის მიზანიც იყო განათლების სასკოლო რეფორმისადმი საზოგადოების დამოკიდებულების გამოვლენა. გამოკითხვა ჩატარდა თბილისსა და იმერეთის რეგიონში. გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის - პირისპირ ინტერვიუს მეთოდი. გთავაზობთ მიღებულ შედეგებს.*

## ზოგადი ინფორმაცია სასკოლო რეფორმის შესახებ

გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა (81%) ინფორმირებულია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის შესახებ. ინფორმირებულთა რიცხვი იმერეთთან შედარებით უფრო მაღალია თბილისში. არასრული ინფორმაციის მიუხედავად, რესპონდენტთა უმრავლესობა განათლების სისტემაში ძირეული რეფორმის გატარების მომხრეა. უფრო მეტიც, რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი მოითხოვს ძირეული და დაუყოვნებელი რეფორმის გატარებას. როგორც ჩანს, საზოგადოება დარწმუნდა, რომ განათლების ახლანდელი სისტემა არ არის სრულყოფილი იმისთვის, რომ მომავალი თაობა აღიზარდოს განათლებული და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მზად მყოფი.




გამოკითხული რესპონდენტები საკმაოდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ზოგადად საშუალო განათლებას. რესპონდენტთა უმრავლესობის (64.8%) აზრით, რეფორმის იდეა უნდა გულისხმობდეს სკოლის მიერ განათლებული თაობის აღზრდას, მაგრამ ამისთვის რეფორმამ პირველ რიგში უნდა გადაჭრას სკოლის ძირეული პრობლემები - სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების საკითხი, გათბობის პრობლემები და სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა. გარდა ამისა, რესპონდენტები თვლიან, რომ აუცილებელია სწავლების ახალი ფორმებისა და მეთოდების დანერგვა, სასწავლო პროგრამების დახვეწა-გამარტივება. ჩამოთვლილი საკითხების მოგვარების შემდეგ, გამოკითხულთა აზრით, საშუალო სკოლას ექნება შესაძლებლობა, აღზარდოს განათლებული თაობა, უკეთესად მოამზადოს მოსწავლეები უმაღლესი სასწავლებლებისთვის და გამოუმუშაოს ბავშვებს ცხოვრებისეული უნარ-ჩვევები.

საყურადღებოა, რომ როდესაც სკოლაში მოსაგვარებელ პრობლემებს ეხება საუბარი, მშობელთა პრიორიტეტები ასე ნაწილდება:

1. გათბობის სისტემის უზრუნველყოფა
2. სასწავლო-სასკოლო პროგრამების დახვეწა-გამარტივება
3. სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის უზრუნველყოფა
4. პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლება
5. სკოლის შენობის ექსტერიერისა და ინტერიერის მოწესრიგება
6. სახელმძღვანელოების გაუმჯობესება.

## დამოკიდებულება სასწავლო პროგრამებისადმი და მათი შეფასება

როგორც უკვე ითქვა, გამოკითხული მოსახლეობა რეფორმისგან სასწავლო პროგრამების დახვეწა-გამარტივებას მოელის. საკითხს მოსახლეობისთვის ორმაგი დატვირთვა აქვს:

1. პროგრამები არ არის თანამედროვე დონის და
2. სასწავლო პროგრამები რთულია, რის გამოც გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილის შვილებს (41.3%) სასკოლო დავალებების მომზადება უჭირთ. აქედან გამომდინარე, რესპონდენტები, რომლებსაც საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა აქვთ, თავიანთ შვილებს დამატებით ამეცადინებენ.

გამოკითხულთა 63.6% მიიჩნევს, რომ სასკოლო პროგრამები გადატვირთულია. თბილისსა და იმერეთს შორის განსხვავებული აზრი არ ფიქსირდება. გარდა ამისა, გამოკითხულთა 69% მიიჩნევს, რომ სასწავლო პროგრამები რიგ შემთხვევაში ბავშვის ასაკობრივ თავისებურებებს არ ითვალისწინებს.

დამატებითი მომზადების აუცილებლობა ზემოთ ნახსენები მიზეზებიდან მომდინარეობს, მაგრამ ყურადღებას იქცევს რესპონდენტთა პასუხი კითხვაზე: ***რატომ ამზადებთ ბავშვს დამატებით?*** გამოკითხულთა უმრავლესობა ერთმნიშვნელოვნად პასუხობს: ***ბავშვის ცოდნის ხარისხის ამაღლების მიზნით***. ე. ი. სასწავლო პროგრამები რთულია და, ამავე დროს, თანამედროვე მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს. ამის გამო სკოლა სათანადო ცოდნას ვერ აძლევს მოსწავლეებს და მშობლები იძულებული არიან, დამატებით მოამზადონ შვილები.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეებს სხვა საგნებთან შედარებით უფრო მეტად დამატებით ამეცადინებენ უცხო ენებში (ინგლისური, გერმანული, რუსული), ქართულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში. რესპონდენტებს მიაჩნიათ, რომ ამ საგნებში უნდა მოხდეს სასწავლო საათების გაზრდა, სხვა საგნებში კი - საათების შემცირება. მოსახლეობა თანამედროვეობის მოთხოვნილებების შესაბამისად აზროვნებს: მომავალ თაობას აძლევს ისეთ განათლებას (ყოველ შემთხვევაში, სურს მისცეს), რისი მოთხოვნილებაცაა ქვეყანაში. ახლანდელი სასკოლო პროგრამები კი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტთა უმრავლესობა (71%) დამატებით ამეცადინებს შვილს სკოლის გარეთ - რეპეტიტორთან, გამოკითხულთა მეხუთედი დამატებით ამეცადინებს შვილს საგნის (სკოლის) მასწავლებელთან.




## 12-წლიანი სწავლებისადმი დამოკიდებულება

ამ საკითხზე რესპონდენტებში აზრთა სხვადასხვაობა არ შეიმჩნევა: გამოკითხულთა უმრავლესობა (72.4%) ფიქრობს, რომ 12-წლიანი სწავლების შემოღება ხელს არ შეუწყობს სკოლის პრობლემური საკითხების გადაჭრას, შედეგი პირიქით, უარყოფითი ექნება. მოსახლეობის აზრით, სწავლების ახლანდელი ვადა სავსებით საკმარისია სასკოლო განათლების მისაღებად და პრობლემების მოგვარება შესაძლებელია 12-წლიანი სწავლების შემოღების გარეშე.

## დამოკიდებულება სასკოლო სახელმძღვანელოებისადმი




გამოკითხულთა ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ დღევანდელი სახელმძღვანელოები თანამედროვე მოთხოვნებს მეტ-ნაკლებად აკმაყოფილებს, ამასთან, უმრავლესობა (75.7%) სკოლებში ალტერნატიული სახელმძღვანელოების არსებობის წინააღმდეგია. რესპონდენტთა უმრავლესობის აზრით, სასკოლო სახელმძღვანელოები აუცილებლად უნდა დაიწეროს საქართველოში. მის შედგენაში მონაწილეობას უნდა იღებდეს განათლების სამინისტრო, მეცნიერები და სკოლის პრაქტიკოსი პედაგოგები. შედგენის შემდეგ საბოლოო შერჩევა უნდა მოხდეს განათლების სამინისტროს მიერ.

სასკოლო სახელმძღვანელოებით მოსწავლეების მომარაგებას რესპონდენტები სახელმწიფოს, განათლების სამინისტროსგან მოითხოვენ. რესპოდენტთა აზრით (93.2%), სახელმძღვანელობის შედგენა და სახელმძღვანელოებით სკოლების მომარაგება მთლიანად განათლების სამინისტროს მოვალეობაა.

## სკოლის მოდერნიზაცია

გამოკითხული მშობელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ სკოლას მთლიანად სახელმწიფო უნდა აფინანსებდეს. სკოლა კი ბიუჯეტის განკარგვაში სრულიად დამოუკიდებელი უნდა იყოს. მათი აზრით, კონკრეტული პრობლემური საკითხები ადგილზე უნდა წყდებოდეს სკოლის ხელმძღვანელობის მიერ, ყოველგვარი გარედან ჩარევის გარეშე. მშობლებს მიაჩნიათ, რომ სკოლის ბიუჯეტს უნდა ადგენდეს, განკარგავდეს და აკონტროლებდეს მშობელთა და მასწავლებელთა სამეურვეო საბჭოები და დირექტორი ერთად. ყურადსაღებია ისიც, რომ რესპონდენტები წინააღმდეგნი არიან ჩამოთვლილთაგან რომელიმე - მხოლოდ დირექტორი ან მხოლოდ სამეურვეო საბჭო - დამოუკიდებლად ადგენდეს, განკარგავდეს და აკონტროლებდეს სკოლის ბიუჯეტს.




გამოკითხულთა უმრავლესობას (74.6%) მიაჩნია, რომ სკოლებში უნდა არსებობდეს სამეურვეო საბჭოები და ეს უნდა იყოს არჩევითი ორგანო, რომლის არჩევნებში ყველა მშობელი და ყველა პედაგოგი მიიღებს მონაწილეობას. რესპონდენტთა აზრით, სამეურვეო საბჭოში უნდა შედიოდნენ მშობლები, პედაგოგები, სკოლის დირექტორი და უფროსკლასელები თანაბარი რაოდენობით. აქვე უნდა ითქვას, რომ სკოლის დირექტორსა და უფროსკლასელებს მნიშვნელოვნად ნაკლები მხარდამჭერი ჰყავს.




სამეურვეო საბჭოებს გამოკითხული მოსახლეობა მნიშვნელოვან საქმიანობებსა და პასუხისმგებლობებს აკისრებს. ესენია:

1. სამეურვეო საბჭო უნდა მონაწილეობდეს სკოლის ფინანსების განკარგვაში
2. სამეურვეო საბჭო უნდა მონაწილეობდეს სკოლის საორგანიზაციო საკითხებში
3. სამეურვეო საბჭო უნდა მონაწილეობდეს დირექტორის არჩევნებში
4. სამეურვეო საბჭო უნდა მონაწილეობდეს სახელმძღვანელოებისა და სასწავლო პროგრამების არჩევაში.

რესპონდენტები თვლიან, რომ სამეურვეო საბჭოები მთავარ როლს უნდა ასრულებდნენ სკოლისთვის ყველა მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაში. როგორც ჩანს, რესპონდენტებისთვის სკოლის დირექტორის ინსტიტუტმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

## სკოლის დირექტორის შერჩევის შესახებ

როდესაც საუბარია სკოლის დირექტორების შერჩევაზე, გამოკითხულთა უმრავლესობა (66.7%) მომხრეა იმისა, რომ აუცილებლად ხდებოდეს დირექტორის არჩევა. გამოკითხულთა მცირე რაოდენობა ფიქრობს, რომ სკოლის დირექტორი უნდა დანიშნოს განათლების სამინისტრომ. რესპონდენტები სამინისტროს სხვა მოვალეობასაც აკისრებენ - მას შემდეგ, რაც სკოლა წარადგენს დირექტორის კანდიდატურას, სამინისტრომ იგი უნდა დაამტკიცოს.




განსხვავებული მოსაზრებები ფიქსირდება სკოლის დირექტორების არჩევითობის პრინციპების შესახებ. საკითხი ყურადღებას იქცევს იმითაც, რომ გამოკითხულთა აზრი იყოფა სამ, თითქმის თანაბარ ნაწილად. რესპონდენტების აზრით:

1. დირექტორის კანდიდატურა უნდა აირჩეს სკოლის კოლექტივიდან, პედკოლექტივის მიერ
2. დირექტორის კანდიდატურა უნდა აირჩეს სკოლის პედკოლექტივის მიერ წინასწარ გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, სადაც მონაწილეობის მიღება შეეძლება ყველა მსურველს
3. დირექტორის კანდიდატურა უნდა აირჩეს სკოლის მშობელთა და მასწავლებელთა სამეურვეო საბჭოს მიერ

როგორც ჩანს, სკოლის დირექტორების არჩევითობაზე კონკრეტულად ჩამოყალიბებული აზრი საზოგადოებაში ჯერ კიდევ არ არსებობს. მიუხედავად ამისა, რესპონდენტები აქვე განსაზღვრავენ, თუ როგორი თვისებების მატარებელი უნდა იყოს სკოლის დირექტორი - იგი უნდა იყოს პროფესიონალი და კარგი ორგანიზატორი. შედარებით დაბალი მოთხოვნაა სხვა თვისებებზე - ჰქონდეს პედაგოგიური პრაქტიკის დიდი გამოცდილება, უყვარდეს ბავშვები და იყოს პატიოსანი ადამიანი.

## განათლების სამინისტროს შესახებ

გამოკითხულთა მნიშვნელოვანი ნაწილი ფიქრობს, რომ დღევანდელი განათლების სამინისტრო ადრე მოქმედი განათლების სამინისტროსგან გამოირჩევა მრავალი ფაქტორით - დემოკრატიულობით, პატიოსნებით, აქტიურობით, ეროვნულობით, პატრიოტიზმით და ა.შ. ასეთი მოსაზრებების მქონეთა რიცხვი გამოკითხულთა მესამედს აღწევს. მესამედი, როგორც დამოუკიდებელი რიცხვი, საკმაოდ მცირეა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ახლანდელი განათლების სამინისტრო ჯერ კიდევ "ახალგაზრდაა" და მოსახლეობის მესამედი უკვე გამორჩეულად დადებითად აფასებს მის საქმიანობას, სამინისტროს საქმიანობა, შესაძლებელია, წარმატებულად ჩაითვალოს.

რესპონდენტები აქვე განსაზღვრავენ, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს განათლების მინისტრს. ესენია:

1. განათლებული
2. პატრიოტი
3. ჭეშმარიტი მართლმადიდებელი

ეს არის სამი ძირითადი თვისება, რომლებიც, რესპონდენტთა აზრით, უნდა ახასიათებდეს ქვეყნის განათლების მინისტრს. თვისებების ჩამონათვალი კიდევ გრძელდება, მაგრამ დანარჩენებს რესპონდენტები ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ. ზოგადად, განათლების მინისტრის გარეგნულ მხარეს რესპონდენტები ყველაზე უმნიშვნელო თვისებად თვლიან: იყოს სიმპათიური - განათლების მინისტრის მიმართ ასეთ მოთხოვნას აყენებს გამოკითხულთა მცირე რაოდენობა.

გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ჰქონდათ საშუალება, დაესახელებინათ განათლების მინისტრის მათთვის სასურველი კანდიდატურა. რესპონდენტებს შესთავაზეს 22 პიროვნების გვარი - ჩვენი საზოგადოებისთვის საკმაოდ ცნობილნი ადამიანებისა, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ თავიანთ პროფესიულ სფეროებში, მათ შორის, განათლების სფეროშიც. პასუხი ერთმნიშვნელოვანია: განათლების მინისტრის პოსტზე რესპონდენტებისთვის საუკეთესო კანდიდატურაა ახლანდელი განათლების მინისტრი.



მსოფლიოს კულინარია

# სადილი ნეაპოლურად

ნინო მურადაშვილი

ნეაპოლელი მზარეულების ნახელავმა განსაკუთრებული მნიშვნელობა გვიან შუა საუკუნეებში მიიღო, როცა ნეაპოლის სამეფო შეიქმნა. ამ დროს ნეაპოლელთა სუფრაზე უმთავრესი ადგილი ბოსტნეულის კერძებს ეკავა. მაშინ ევროპული აღიარება მოიპოვა ბროკოლიმ — ყვავილოვანი კომბოსტოს სახეობამ, რომელიც სარდინებთან, ნიორთან და ლიმონის წვენთან ერთად მზადდებოდა.

მე-17 საუკუნეში ნეაპოლური სამზარეულო სრულიად შეიცვალა, მთავარი ადგილი დაეთმო მაკარონს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბოსტნეული უკვე ძნელად იშოვებოდა, ცომი კი უფრო ადვილი მოსამზადებელი იყო. მალე მაკარონმა მრავალი ფორმა მიიღო: ვერმიშელი, სპაგეტი, მალტალია (ბრტყელ ზოლებად დაჭრილი ცომი), ფუზილი (სპირალისებური ფორმის მაკარონი) და სხვა. ამ დროს ამერიკიდან ახალი პროდუქტები შემოვიდა: პომიდორი, კარტოფილი, წიწაკა, ლობიო, კაკაო. ამან კიდევ უფრო გაამდიდრა ტრადიციული ნეაპოლური კერძები.

მე-19 საუკუნეში არანაკლები მნიშვნელობა ენიჭებოდა თევზს, მოლუსკებს, ხორცს, ბოსტნეულის კერძებსა და პიცას. ეს ყველაფერი მაშინ ქუჩაში იყიდებოდა ცივ მინერალურ წყლებთან და ნაყინთან ერთად. ამავე დროს დაიწყო სპაგეტისა და პიცის საერთაშორისო გავრცელების ეპოქა. ნეაპოლის სამზარეულო სულ უფრო ხშირად ხდებოდა მხატვრებისა და მწერლების აღწერის ობიექტი. დღეს კი ხმელთაშუა ზღვის ნაპირზე, ვულკან ვეზუვის მახლობლად გაშენებული ქალაქი მაკარონისა და პიცის წარმოების მნიშვნელოვანი ცენტრია.

**პიცა Alla Campofranco**

ცომისათვის:
500 გრამი ფქვილი
150 გრამი კარაქი
100 გრამი ღორის ქონი
.
3 კვერცხი
2 კოვზი გახეხილი ყველი
25 გრამი საფუარი

გულსართისათვის:
300 გრამი პომიდორი
300 გრამი ყველი
რეჰანი
პილპილი, მარილი
მცენარეული ზეთი (უმჯობესია ზეითუნის)

ცომი მოზილეთ კვერცხით, კარაქით და თბილ წყალში გაზავებული საფუარით. შემდეგ ჩაუმატეთ გატარებული ღორის ქონი. ტაფას წაუსვით ცოტა კარაქი, მოაყარეთ ფქვილი, დაადეთ ცომი და შეინახეთ თბილ ადგილას ერთი საათით. როდესაც ცომი ამოვა, გააბრტყელეთ, შედეთ ცივ ღუმელში და ნელ ცეცხლზე გამოაცხვეთ. გამზადებულ ცომს დააცადეთ გაცივება, შემდეგ გაჭერით ორად სიბრტყეზე, დაჭერით ყველი და პომიდორი, ნახევარი დაადეთ ცომის ერთ ნახევარს, დაასხით ზეთი, მოაყარეთ პილპილი, რეჰანი და მარილი. შემდეგ იგივე გაიმეორეთ ცომის მეორე ნახევართან.

პიცა შედეთ ცხელ ღუმელში. ათ წუთში მზად იქნება.

**თიკნის ხორცი ყველითა და კვერცხით**

1,5 კილოგრამი თიკნის ხორცი
3 კვერცხი
70 გრამი ღორის ქონი
500 გრამი ბარდა
1 თავი ხახვი თეთრი ღვინო
1 ლიმონი
50 გრამი გახეხილი ყველი
ოხრახუში
მარილი, პილპილი

დაჭერით ხორცი და შეწვით ღორის ქონში ნელ ცეცხლზე. დაუმატეთ ხახვი და ცოტა წყალი. ცალკე ქვაბში მოხარშეთ ბარდა. როდესაც ხორცი შეიწვება, ცეცხლს მოუმატეთ, ხორცს ერთი ჭიქა ღვინო და ცოტა წყალი დაასხით, შემდეგ თავი დაახურეთ ქვაბს და წვა ისევ ნელ ცეცხლზე გააგრძელეთ. ცოტა ხანში დაუმატეთ გამზადებული ბარდა. სუფრაზე მიტანამდე ცოტა ხნით ადრე, ისევ ცეცხლზე დადგით. ათქვიფეთ კვერცხი მარილთან, პილპილთან, ყველთან და ოხრახუშთან ერთად, დაასხით ხორცს და მოურიეთ. წვენი ცოტათი რომ შეიკვრება, კერძი ცეცხლიდან გადმოიღეთ და ლიმონის წვენი მოასხით.

**II Biancomangiare (ბიანკომანჯარე)**

1 ლიტრი რძე
60 გრამი ბრინჯის სახამებელი
150 გრამი შაქარი
ლიმონის კანი

აურიეთ ერთმანეთში ბრინჯის სახამებელი, შაქარი და რძე (რძე თანდათან დაუმატეთ, რომ არ დაიკოშტოს). დაუმატეთ ლიმონის კანი და დადგით ნელ ცეცხლზე. მოურიეთ ხის კოვზით, სანამ არ გასქელდება. შემდეგ ჩაასხით პატარა ფორმებში, დააცადეთ გაციება და შედეთ მაცივარში, სანამ არ გაიყინება.

ბრწყინვალე ვარსკვლავი სოფია ლორენი 20 სექტემბერს 70 წლის ხდება

## სიამაყე და ვნება

სოფია ლორენის ცნობილი ფრაზა, რომ "ყველაფერი, რაც გამაჩნია, სპაგეტის ვუმადლი", კიდევ ერთხელ ამტკიცებს მის არაორდინალობას. მსახიობი, რომლის დანახვაზეც დღემდე იბნევიან მამაკაცები, 70 წლის გახდა. არც მისი ხიბლის საიდუმლო შეცვლილა. სოფია ახლაც მიწიერი, ვნებიანი და მგრძნობიარე ქალის სიმბოლოა; ქალის, რომლისკენ მიზიდულობის ძალაც ისე დიდი იყო, რომ მას უბრალოდ "ლა ფორცას" ეძახდნენ.

ლორენი, რომლის ნამდვილი სახელი სოფია შიკოლონე იყო, ნეაპოლის ღარიბთა უბანში გაიზარდა. ხელმოცარული, ლამაზი დედა კი საკუთარ განუხორციელებელ ამბიციებს თავის შვილზე ცდიდა, შედეგად, 14 წლის სოფია პირველად ეზიარა დიდებას და სილამაზის ადგილობრივ კონკურსში გაიმარჯვა. თუმცა, მისი ნამდვილი ვარსკვლავური გარღვევა უფრო მოგვიანებით შედგა, მაშინ, როცა სოფიამ კინო-პროდიუსერი კარლო პონტი გაიცნო. კარლომ ის თავის რამდენიმე ფილმში ათამაშა. ნწყვილი მალე დაქორწინდა და ორი ვაჟიც გაუჩნდა, მაგრამ არა მანამ, სანამ ლორენს ჰოლივუდის ლეგენდასთან, კერი გრანტთან ჰქონდა რომანი.

1954 წელს მოხდა ერთი მნიშვნელოვანი რამ: ლორენმა ითამაშა ფილმში "ნეაპოლის ოქრო" და არა მხოლოდ დაჩრდილა ჯინა ლოლობრიჯიდა, როგორც იტალიის ყველაზე მომხიბვლელი ექსპორტი, არამედ პირველი ადგილიც დაიკავა პირველი კლასის ვარსკვლავებს შორის. შესაბამისად, ითამაშა ფილმებში: "შავი ორქიდეა" (1959 წ.) და "ორი ქალი" (1961 წ.). ამ სურათმა კი ის პირველ მსახიობად აქცია, რომელმაც "ოსკარი" საუკეთესო ქალი მსახიობის რანგში უცხოური ფილმისთვის მიიღო. 1991 წელს სოფია ლორენმა თავის ჯილდოებს კიდევ ერთი "ოსკარი" მიუმატა - კინემატოგრაფში შეტანილი წვლილისთვის.

**ფაქტები**

იტალიურმა პრესმ 1955 წელს "სოფიას წელიწადი" უწოდა.

1957 წელს ლორენმა კარლო პონტიზე იქორწინა, რისთვისაც კარლო თავის მექსიკელ მეუღლეს დაშორდა. თუმცა, იტალიამ ეს გაყრა არ ცნო და ლორენი-პონტის წყვილს დიდხანს ადანაშაულებდა გახრწნილებაში.

1982 წელს ლორენმა 17 დღე გაატარა ციხეში. ის გადასახადების თავის არიდებისთვის დაისაჯა.

როგორც ამბობენ, სოფიას ფეხშიშველა სიარული უყვარს. ამ ჟესტით ის არ ივიწყებს, რომ უბრალო წარმომავლობისაა.

ლორენის მეასე, საიუბილეო ფილმი "უცხოებს შორის" (2003 წ.) შვილმა, ედუარდო პონტიმ გადაიღო.



© GRAPHIC NEWS

სკანვორდი



TV პროგრამა

20 სექტემბერი

**რუსთავი - 2**

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "შეყვარებული ქალები" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** დისკავერი **13.30** მხ. ფილმი "კრამერი კრამერის წინააღმდეგ" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **17.25** პერეკროსტიკი **18.20** "ტელეღიპუცები" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** თამაში "ჭკვიანი ბავშვი" **23.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი "რკინის არწივი-2". მთ. რ-ში: ლუის ჰოსეტი უმც. მარკ ჰამფრი (18).

**პირველი არხი**

**07.55** მოამბე **08.10** ღამის მოამბე (გამ.) **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "მარსუპილამი" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** მხ. ფილმი "თემო" **11.30** "ამბები ჩვენზე" **12.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** ჩოგბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. **16.30** სერიალი "უშიშრები" **17.00** "ფრაგმენტები სურათისათვის" **17.30** "ჩემი მშვენიერი ლედი" **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-2ს. **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ღამის მატარებელი **00.00** მხ. ფილმი "ათოვდა ზამთრის ბაღებს" (გ) 1-ლი ს.

**TV5**

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.00(შვეიცარია), 02.25(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.05** ოლიმპიური თამაშები. ფრანგების ბედისწერა. დოკ. ფილმი. **08.30** ტელედილა. **12.15** არტ რეპორტაჟი. **15.35** ციფრები და ასოები. ტელეთამაში. **19.05** გადაცემა: სურათის წინ. **22.05** გადაჩემა: ულტრა. **24.25** შემთხვევით ბალთაზარი. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერ ბრესონი. 1966. **02.50** მუშეტი. მხ. ფილმი. რეჟისორი რობერ ბრესონი. 1967. **04.20** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი.

**მზე**

**09.00** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.30** სერიალი "ველური მთვარე" **10.30** "ჰოლივუდი დღეს" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** მინისერიალი "პროექტი "ბორისი" **13.05** "ტელეპროცესი. ერეკლე მე-2" **14.15** "ფარული კამერა" **14.45** "მუსიკა მზეზე" **15.00** სერიალი "მარია ემილია" **16.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ფარული კამერა" **17.50** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.20** ტელეჟურნალი "სცენა" **19.05** სერიალი "ველური მთვარე" **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "პატარა დიდი ბობი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **23.45** მხ. ფილმი "მარადიული სატრფო" (გ) (გარი ოლდმენი)

**მეორე არხი**

**19.00** მულტფილმი "მარსუპილამი" 1-ლი ს. **19.30** "ამბები ჩვენზე" **20.00** "იმღერე რამე" **20.30** სერიალი "წვრილვარსკვლავთა ღამე" 1-2ს. **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "მთვარის გლობუსი" (გ)

**იმედი**

**07.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **07.15, 13.15, 17.20, 20.30, 21.25, 01.30** იმედის მელოდიები **08.30** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **09.10** სერაილი "უკიდურესი ზღვარი" **10.10** თამაში "უდაბნოს სამჭედლოები" **11.30, 01.00** ტვ-მარკეტი **12.10** სერიალი "კლონი" **13.25** მხ. ფილმი "დეტექტივთა კლუბი დაკარგული პრინცესის ძიებაში" (გ) (ჯ. კრონინი) **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 00.45** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ქალთა ოთახი" (გ) (ჯ. მალკოვიჩი) **17.25** ანიმაციური ფილმი "მითიური მეომრები" **18.05** სერიალი "ტყუპები" **19.35** სერიალი "კლონი" **20.35** სერიალი "შატუნი" 1-ლი ს. **21.30** ვაკაჭი-ნიუსი **23.00** მხ. ფილმი "მრისხანების შიში" (გ) (ბრიუს ლი)

**იბერია**

**18.00** მულტსერიალი "ცეცხლის შვილები" 1-2ს. **19.00** მინისერიალი "ადვოკატთა ბიურო" 1-ლი ს. **20.00** დოკ. ფილმი **21.05** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "სიყვარული კლავს" (15)

**ОРТ**

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.10** Алиса Фрейндлих в комедии **"СЛУЖЕБНЫЙ РОМАН". 12.10** Дисней-клуб: "Алладин". **12.30** Лев Дуров в детективе **"ЗА ВСЕ НАДО ПЛАТИТЬ" 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.10** "Угадай мелодию". **15.40** Сериал **"СЫЩИКИ". 16.50** Премьера. "Пять вечеров". Понедельник. **18.20** Смехопанорама **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Жди меня. **21.00, 23.30** Время. **21.30** Гоша Куценко в детективе **"АНТИКИЛЛЕР-2". 1**-я с. **22.40** Спецрасследование. "Дикое золото Магадана". **1**-я с. **23.50** Искатели. "Пропавшая святыня Нижегородского Кремля". **00.20** "Подорожник". **00.50** Алена Свиридова в программе "Русский экстрим. **01.20** Винсент Д'Онофрио в комедии **"БРАТЬЯ НЬЮТОН"**. **03.20** Барри Уотсон в комедии **"ПАРНИ ИЗ ЖЕНСКОЙ ОБЩАГИ" 04.50** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ".**

**НТВ**

**06.00** "Сегодня утром" **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.30** "Сегодня" **10.15** Преступление в стиле "Модерн": мародер. **10.55** Особо опасен. **11.25** Евгений Миронов в фильме **"ВЕЧЕРНИЙ ЗВОН" 13.35** Сериал **"АДВОКАТ". 15.35** Криминальная Россия. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ТАКСИСТ". 18.35** Криминальная Россия. **19.40** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-VI: ГАДАЛКА". 20.50** Сериал **"МЕСТО ПОД СОЛНЦЕМ". 22.00** Страна и мир. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.15** "Школа злословия" **00.45** Самые сильные люди мира.

# ოპერის თეატრის განახლებულმა შემოქმედებითმა კოლექტივმა შაბათობა მოაწყო

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის განახლებულმა შემოქმედებითმა კოლექტივმა დღეს დასუფთავების აქცია ჩაატარა.

აქციაში თავად თეატრის ხელმძღვანელი დავით საყვარელიძე და ფირმა “ჯაკომოს” წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეზოს ტერიტორიის დალაგების შემდეგ აქციის მონაწილეებმა თეატრში გადაინაცვლეს და ყველასთვის ცნობილი დარბაზის ცენტრალური ჭაღი გაწმინდეს.

დავით საყვარელიძის თქმით, აქცია სიმბოლურ ხასიათს ატარებს. “ოპერას ჰყავს ახალი ხელმძღვანელობა, განახლდა შემოქმედებითი კოლექტივი და იგეგმება მრავალი სხვა სიახლეც.

მისივე ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ოპერის თეატრში არსებული დავალიანება უახლოეს ხანში მთლიანად დაიფარება. თეატრის თანამშრომლების მიმართ სახელმწიფოს 1 200 ათასი ლარის დავალიანება აქვს გასაცემი.

*(ინტერ-პრესი)*

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობაზე**

**იურისტი**

**მოთხოვნები**

- უმაღლესი იურიდიული განათლება
- სამოქალაქო კოდექსის და შრომითი კანონმდებლობის სრულყოფილი ცოდნა
- არანაკლებ 3 წელი იურისტად მუშაობის გამოცდილება
- ინგლისური ენის ცოდნა
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში უნდა შეავსონ ანკეტები და დაურთონ უმაღლესი განათლების დიპლომის ასლი. ანკეტების მიღება იწარმოებს 9 სექტემბრიდან 22 სექტემბრამდე.

**მისამართი:**
**ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**




**ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრი ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის დაკვეთით**

**აცხადებს კონკურსს**

**საინფორმაციო სამსახურის პროდიუსერის თანამდებობაზე**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- ახალი ამბების პროგრამის ხელმძღვანელობა;

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება მენეჯმენტში
- ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- მართვის თანამედროვე პრინციპების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი
- უცხო ენის ცოდნა
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

*განცხადების მიღება იწარმოებს 23 სექტემბრამდე.*
*დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ადამიანური რესურსის მენეჯმენტის ცენტრს.*

**მისამართი:** მელიქიშვილის 12, სასტუმრო საქართველო, V სართული. ტელეფონები: 22 13 23, 22 13 32, pmc@internet.ge

**ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობა აცხადებს კონკურსს შემდეგ თანამდებობებზე: რადიოს საინფორმაციო და ანალიტიკური პროგრამების პროდიუსერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- საინფორმაციო სამსახურის კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავება;
- საინფორმაციო და საზოგადოებრივ პოლიტიკური პროგრამების ხელმძღვანელობა

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
- სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

**რადიოს უცხო და საქართველოს ენებზე მაუწყებლობის პროდიუსერი**

**ფუნქციები და მოვალეობები**
- შესატყვისი მიმართულების კონცეფციისა და სტრატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა;
- მაუწყებლობის კოორდინაცია, მონიტორინგი და მენეჯმენტი

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები**
- უმაღლესი განათლება შესაბამის სფეროში
  სასურველია დამატებითი განათლება მენეჯმენტში
- უცხო ენის ცოდნა
- სასურველია რადიოში მუშაობის გამოცდილება
- სტრატეგიული დაგეგმვისა და მართვის გამოცდილება
- ორგანიზებულობა
- კომუნიკაბელობა
- გუნდური მუშაობის უნარი

მსურველებმა უნდა შეავსონ ანკეტები ს.ს.ი.პ. საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის მოქალაქეთა მისაღებში 9 სექტემბრიდან 22 სექტემბრამდე.

**მისამართი:**
**ქ. თბილისი, კოსტავას ქ. 68**




თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.